სკანდალი უშიშროების საბჭოში: აშშ გაერო-ს სამშვიდობო მისიებს ბლოკავს A5

ქართველმა პროფესორმა „ობეზიანნიკში" საკუთარი თვალით იხილა პირველი რუსეთი A6

პოლიცია პოლიციელს იჭერს A7



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 2 ივლისი, 2002 წელი. №30

ფასი 50 თეთრი

## ზურაბ ჟვანია: არსებული ხელისუფლება უნდა შეიცვალოს

თამარ მჭედლიშვილი

*სტრასბურგიდან დაბრუნებული ზურაბ ჟვანია "24 საათის" საკონფერენციო დარბაზში გამართულ ბრიფინგზე აცხადებს, რომ საქართველოში ხელისუფლება უნდა შეიცვალოს, თანაც მშვიდობიანი, ანუ არჩევნების გზით. მისივე თქმით, 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა* ***"არ მოხდეს დესტაბილიზაცია, ახალი კატაკლიზმები, ქუჩის გამოსვლები. ეს კი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად შეძლებს საარჩევნო ურნებთან მისული მოსახლეობა საკუთარი ნების გამოხატვას. თუ მოსახლეობას ამის საშუალება არ ექნება, მაშინ ამ პრობლემის გადაწყვეტამ, შესაძლოა, მეტად დრამატული ხასიათი მიიღოს. ამ შემთხვევაში არც ქუჩას გამოვრიცხავ. მაგრამ თუ ადამიანებს ექნებათ ელემენტარული თავისუფლება, მათ ვერანაირი მოწოდებებით ვერ გამოიყვან ქუჩაში"..***

სწორედ მაშინ, როდესაც რეანიმირებული "მოქალაქეთა კავშირის" ახალი თუ ძველი წევრებისათვის ყველაზე აქტუალურია პრეზიდენტის მემკვიდრის ვინაობის დადგენა, ჟვანიას გუნდი ქვეყნის კონსტიტუციური წყობის შეცვლასა და საქართველოს საპარლამენტო რესპუბლიკად ქცევის აუცილებლობაზე საუბრობს. ყოველ შემთხვევაში, როგორც ჟვანიამ გაზეთ "24 საათს" განუცხადა, რამდენიმე პოლიტიკურ ჯგუფთან უკვე დიდი ხანია, მიმდინარეობს კონსულტაციები. ამ წამოწყების უშედეგოდ დასრულების შემთხვევაშიც კი, ჟვანიას სჯერა, რომ საქართველოს პრეზიდენტი იქნება ის, ვისაც ხალხი აირჩევს. **"ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მომავალი პრეზიდენტი არ იქნება ამ ხელისუფლების მემკვიდრე. საქართველოს ხალხი შეძლებს თავისი არჩევანის გაკეთებას. ეს თვითონ შევარდნაძის პრობლემაა, თუკი ვინმე ესახება საკუთარ მემკვიდრედ",** - ამბობს ზურაბ ჟვანია. რაც შეეხება ავთანდილ ჯორბენაძის ფავორიტობას, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ამბობს, რომ, საკუთარი მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, მას ნამდვილად არ შურს სახელმწიფო მინისტრისა.

გაგრძელება A3 გვერდზე



ბესო გულაშვილის ფოტო

## რობერტ ჰანტერი: საქართველო არ არის არშემდგარი ქვეყანა

შოთა უტიაშვილი

*რობერტ ჰანტერი 1993-98 წლებში იყო აშშ-ს ელჩი ნატოში. იგი არის "ახალი ნატოს" ერთ-ერთი უმთავრესი არქიტექტორი და პროგრამა "პარტნიორობა მშვიდობისათვის" ავტორი. ამჟამად ელჩი ჰანტერი გახლავთ "რენდ კორპორეიშენის" უფროსი მრჩეველი.*

რობერტ ჰანტერი ამ დღეებში "24 საათის" რედაქციაში გვესტუმრა, სადაც შედგა ჩვენი საუბარი.

**- რა წარმოადგენს შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტებს ცივი ომის შემდეგ?**

- საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აშშ-ს საგარეო პოლიტიკა სრულებით შეიცვალა. "ცივი ომის" წლებში ჩვენი უმთავრესი მიზანი იყო საბჭოთა კავშირისა და მისი მოკავშირეების შეკავება, კომუნიზმის გავრცელების აღკვეთა და მსოფლიო ეკონომიკური ზრდის გაძლოლა. ამ სამი მთავარი მიზნიდან დარჩა მხოლოდ ერთი - მსოფლიო ეკონომიკის გაძღოლა. ჩვენც, საქართველოსი არ იყოს, გარდამავალ, გაურკვეველ ეტაპზე ვიმყოფებით, როდესაც მკაფიოდ განსაზღვრული ამოცანები და ინსტრუქციები აღარ არსებობს. თუმცა, ამერიკის შეერთებულ შტატებს საგარეო პოლიტიკის წარმოების დიდი გამოცდილება აქვს, საქართველოსაგან გასხვავებით, რომელსაც 1921 წლის შემდეგ ამგვარი გამოცდილება აღარ ჰქონია.

შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაზე საუბრისას, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს უზარმაზარი პოტენციური ძლიერება. უპირველეს ყოვლისა, აქ უდიდესი სამხედრო ძალა იგულისხმება. არც ერთ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს აშშ-ს დამარცხების უნარი არ შესწევს. მართალია, 11 სექტემბრის შემდეგ ჩვენ ვიცით, რომ საფრთხე ამერიკასაც ემუქრება, მაგრამ ეს, ეგრეთ წოდებული, ასიმეტრიული საფრთხეა. ნებისმიერ სუსტ ქვეყანას აშშ-ს წინააღმდეგ ისეთი ფსიქოლოგიური ან დამანგრეველი იარაღის გამოყენება შეუძლია, როგორებიცაა ტერორიზმი თუ მასობრივი განადგურების იარაღი. მეორეს მხრივ, ამერიკა გლობალიზაციის პროცესში მყოფი მსოფლიოს ნაწილია და მის ცხოვრებაში აქტიურად არის ჩართული, ოღონდ არა მხოლოდ რაიმე მორალური ან პოლიტიკური ვალდებულებების გამო.

გაგრძელება A8 გვერდზე

## „ახალი ჩარჩო" - საიდუმლო გრიფით

რუსიკო ნიკურაძე
*საკ. კორ. მოსკოვში*

*რუსი დაპლომატები ამტკიცებენ,რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების ხელში რუსეთთან თანამშრომლობის ხელშეკრულება არ გაფორმდება*

მოსკოვში გრძელდება საქართველო-რუსეთის ექსპერტთა კონსულტაციები ახალი "ჩარჩო" ხელშეკრულების სამხედრო ბლოკის საკითხებზე.

მოლაპარაკებების თაობაზე ნებისმიერი ინფორმაცია, ქართველი დიპლომატების მხრიდან, როგორც წესი, დახურული და გასაიდუმლოებულია, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატები კი, საკუთარ ჟურნალისტებთან ენამჭევრობენ და მასობრივი ინფორმაციის ბეჭდურ და ელექტრონულ საშუალებებს მოლაპარაკებების მიმდინარეობაზე მასალას ოპერატიულად აწვდიან.

რატომ იციან რუსმა ჟურნალისტებმა საქართველო-რუსეთის ამ ისტორიულად ჩიხში შესული მოლაპარაკებების პროცესზე ყოველთვის ყველაზე მეტი და რატომ აქვს იგივე რუ-

გაგრძელება A2 გვერდზე


თერჯოლა და ჭიათურა - ახალი სიტყვა ქართულ არჩევნებში A2

სოსო (სამსონ) ჭანტურია - დეპუტატი, გამგებელი თუ კრიმინალი? A3

"თბილგაზი" "საქგაზისთვის" დავალიანების გასტუმრებას ვერ ახერხებს A4

ადვოკატს ადამიანის წამებაში ადანაშაულებან A7

ფერებით საუბრის ხელოვნება B4


## „დემოკრატიული ფრონტი" „დემოკრატიული შტურმისთვის" ემზადება

თამარ ხორბალაძე

გუშინ თბილისს, იმერეთს და სამეგრელოს მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლების კიდევ ერთმა ტალღამ გადაუარა. თბილისის მერიის წინ, ქონების მართვის სამინისტროსთან, ჭიათურაში და მთლიანად იმერეთში, ხობში და, ზოგადად, სამეგრელოში ქუჩაში გამოსულ ხალხს, ერთი შეხედვით, საერთო მოტივები არ ჰქონიათ. ელექტროენერგიის გამოთიშვით, შიმშილობის აქციითა თუ თვითლიკვიდაციის მუქარით ეს ადამიანები საკუთარი ლოკალური პრობლემების გადაწყვეტას ითხოვდნენ. თუმცა, მათ ერთი საერთო მიზეზი მაინც ჰქონდათ – უკმაყოფილება სხვადასხვა დონის ქართველ ხელისუფალთა მიერ წარმოებული პოლიტიკით.

გაგრძელება A3 გვერდზე

## სამშვიდობო ოპერაციას კვლავ რუსები გააგრძელებენ

ზაზა წულაძე

გუშინ, მოსკოვში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალმა სპეცწარმომადგენელმა საქართველოში, შვეიცარიელმა დიპლომატმა ქალმა ჰაიდი ტალიავინიმ პირველად დააფიქსირა გაეროს პოზიცია, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალებისთვის მანდატის კიდევ ექვსი თვით გაგრძელებას ეს ორგანიზაციაც უჭერს მხარს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## დიდი ჯაზმენი თბილისში



B1

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

## მსოფლიოს უდიდესი კომპანიაც თაღლითობს

### ბუში, შესაძლოა, საკუთარი თავის დაპატიმრებაც მოუხდეს

თორნიკე შარაშენიძე

ამერიკის კორპორაციული სკანდალების კასკადი კვლავინდებურად გრძელდება და, როგორც ჩანს, ახლო მომავალში დასრულება არ უწერია. ამჯერად საბუღალტრო თაღლითობაში ამხილეს აშშ-სა და მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კომპანია, ფინანსური და სამრეწველო გიგანტი "ჯენერალ ელექტრიკი." ამ კომპანიის ხარჯთაღრიცხვაში გაყალბების მოცულობამ 2,1 მლრდ დოლარს მიაღწია. დარღვევას ადგილი ჰქონდა 1999-2000 წლებში მაშინ, როცა გიგანტს თავკაცობდა უკვე ლეგენდად ქცეული, ამერიკელ საქმოსანთა იდეალი ჯეკ უელჩი.

გაყალბება შეეხო კომპანიის საპენსიო ფონდს, რომლის ხარჯზეც გაბერეს შემოსავალი. როგორც მრავალი სპეციალისტი ირწმუნება, ამგვარი პრაქტიკა საკმაოდ გავრცელებულია ამერიკულ კორპორაციულ გიგანტებში. კერძოდ, ცნობილი ინვესტორი უორენ ბუფეტი აცხადებს, აშშ-ის უდიდესი ბობოლები, "ჯენერალ მოტორზი" და "ექსონი", ხშირად მიმართავდნენ და მიმართავენ ამ ხერხს. მოტივი მეტად იოლი გასაგებია, უოლ სტრიტის სპეციალისტები ყოველთვის წინასწარ აქვეყნებენ ხოლმე ვარაუდს კომპანიათა მოგება-წაგებათა შესახებ. როცა კომპანიის ფინანსური წელი გასრულდება და კომპანია შედეგებს დაიანგარიშებს, დიდი შანსია აღმოჩნდეს, რომ მოგება იმდენი არ იყო, რამდენსაც უოლ სტრიტი ვარაუდობდა. ეთიკა და კანონი მოითხოვს, რომ ამ შემთხვევაშიც ყველაფერი პატიოსნად გამოაქვეყნო, მაგრამ ეს ნიშნავს ინვესტორთა დაპანიკებას, აქციათა კურსის დაცემას და ა.შ. ამიტომ კომპანიათა უმრავლესობა (ბაფეტს თუ ვენდობით, ძირითადად, ბობოლები, რომელთაც წაგებაზე ფიქრიც კი არ სურთ) ნემსის ყუნწში ძვრება, ოღონდაც უოლ სტრიტის პროგნოზი გაამართლოს და გადაჭარბოს კიდეც, თუკი, ალბათ, ეს მეტისმეტ გაყალბებასთან არ იქნება დაკავშირებული.

გაგრძელება A4 გვერდზე

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 28 | ☼ |
| ქუთაისი | 28 | ☼ |
| ბათუმი | 26 | ☼ |
| სოხუმი | 27 | ☼ |
| ფოთი | 27 | ☼ |
| თელავი | 27 | ☼ |
| ზუგდიდი | 28 | ☼ |
| გორი | 25 | ☼ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2050 |
| ევრო | 2.1927 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3798 |
| რუბლი | 0.0700 |


A2 ინფორმაცია · A3 პოლიტიკა · A4 ეკონომიკა · A5 უცხოეთი · A6 საზოგადოება · A7 სამართალი · A8 ინტერვიუ

B2 სტილი · B3 რეკლამა · B4 კულტურა · B5 კულტურა · B6 სპორტი · B7 სპორტი · B8 სხვადასხვა

■ ■ ■

**თბილისი.** "თბილწყალკანალის" გადაწყვეტილებით, დღეს დილიდან წყლის მიწოდება შეუწყდება უშიშროების, განათლების, იუსტიციის, სოფლის მეურნეობის და ეკონომიკის სამინისტროებს, საქტელერადიომაუწყებლობას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, პარლამენტს და ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციას,რომელსაც აქვს დიდი დავალიანება. "თბილწყალკანალში" აცხადებენ, რომ გადაწყვეტილება კატეგორიულია და ამის მიზეზი 15 მლნ 750.000 ლარიანი დავალიანებაა.

"თბილწყალკანალის" განცხადებით, აღნიშნულ ობიექტებს წყლის მიწოდება მხოლოდ დავალიანების დაფარვის შემთხვევაში აღუდგებათ.

ამას გარდა, "თბილწყალკანალის" ინფორმაციით, საავარიო სიტუაციების გამო დღეს თბილისის მოსახლეობის წყლით მომარაგება 40 პროცენტით არის შემცირებული. გამაფრთხილებელი წერილები მიიღო ასევე დავალიანების მქონე ყველა საავადმყოფომ და სამშობიარო სახლმა. ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის ნიკა აბსანძის განცხადებით: **"საავადმყოფოების დავალიანება მართლაც ძალიან ბევრი დაგროვდა. კარგად გვესმის "თბილწყალკანალის" ხელმძღვანელობის, მაგრამ ასეთი მკაცრი ღონისძიებების გატარება სამედიცინო ობიექტების მიმართ, მაინც ყოვლად გაუმართლებლად მიმაჩნია. ვფიქრობ, ამ მხრივ, "თბილწყალკანალმა" გამონაკლისი უნდა დაუშვას."**

■ ■ ■

**თბილისი.** ორშაბათს სახელმწიფო კანცელარიასთან, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ესკორტის გამოსასვლელთან დაახლოებით 10 შავოსანი დედა საპროტესტო აქციას მართავს მოკლული შვილებისა თუ ოჯახის წევრების საქმეების გამოძიების მოთხოვნით.

როგორც "პრაიმ-ნიუსს" აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ განუცხადა, არავინ არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ეს საქმეები გამოიძიონ.

შავოსანი დედები მანამდე სისტემატურად მართავდნენ აქციებს პარლამენტისა და გენერალური პროკურატურის შენობის წინ.

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი აცხადებს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვაზიანის ბაზიდან 13 სატანკო ტყვიამფრქვევისა და 24 რადიოსადგურის დატაცების ფაქტის გამოძიება აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

მან "პრაიმ-ნიუსთან" ინტერვიუში თქვა, რომ, ჯერჯერობით, მთავარი სამხედრო პროკურატურის მიერ წარმოებული გამოძიებით სამი ადამიანია დაკავებული, მაგრამ "ბატალიონებისა და ასეულების მეთაურებზე ჯოხი არ უნდა გადატყდეს."

მისი აზრით, ასეთი სერიოზული იარაღის დატაცების შესახებ გადაწყვეტილება არ შეიძლება მიღებული ყოფილიყო ბატალიონის, ან ასეულის რგოლების ოფიცერთა დონეზე.

გამოძიება მაღალჩინოსნებზე უნდა გავიდეს, რომლებიც პასუხს აგებენ ჩადენილი დანაშაულისთვის, განაცხადა ირაკლი ბათიაშვილმა.

მისი თქმით, ამ საქმის გამოძიება პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს მუდმივ კონტროლზე ეყოლება, რადგან გამორიცხული არ არის, რომ "ეს იყო დაგეგმილი დივერსია ქართული არმიის დისკრედიტაციის მიზნით, ვაზიანში ნატოს მრავალეროვნული სწავლებების დაწყების წინ."

"არ არის გამორიცხული, რომ აქ ჩარეულია უცხო ქვეყნების აგენტურა," თქვა მან, თუმცა გამოძიების დასრულებამდე ამა თუ იმ ქვეყნის დამსახურებაზე საუბრისგან თავი შეიკავა.

ვაზიანის ინციდენტთან დაკავშირებით, სამხედრო პროკურატურამ უკვე დააკავა ვაზიანის სატანკო ბატალიონის მეთაური, მაიორი ვაჟა გუთაშვილი და ამ ქვედანაყოფის უფროსი ლეიტენანტი ლევან პაპაშვილი, რომლებსაც ბრალად წაუყენეს სახელმწიფო ქონების დატაცება, დანაშაულის დაფარვა და სამსახურეობრივი გულგრილობა.

კიდევ ერთი დაკავებულის ვინაობას მთავარი სამხედრო პროკურატურა ჯერ არ ახმაურებს.

■ ■ ■

**თბილისი.** „ნებისმიერი სისტემის რეფორმირებისთვის აუცილებელია კვალიფიციური კადრები, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია პენიტენციური სისტემის რეფორმა," — განაცხადა იუსტიციის მინისტრმა როლანდ გილიგაშვილმა დღეს — იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრში სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთათვის სპეციალური კურსის გახსნისას.

პირველად საქართველოში, იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრში გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების ფინანსური მხარდაჭერით პენიტენციური სისტემის თანამშრომლები ერთთვიან, უფასო კურსს გაივლიან.

იუსტიციის მინისტრის მოადგილის კახა კობერიძის თქმით, წლეულს პენიტენციური სისტემის კიდევ 100 თანამშრომელი მზადდება.

„სასწავლო ცენტრში ამ კურსების გავლის შესაძლებლობა აქვთ იმ ადამიანებსაც, რომლებიც პენიტენციურ სისტემაში არ მუშაობენ,"— აცხადებს მინისტრი.

პენიტენციური სისტემის თანამშრომლებს სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორები, პოლიციისა და პროკურატურის თანამშრომლები მოამზადებენ სისხლის სამართალში, სისხლის სამართლის პროცესში, ადამიანის უფლებებში, სასჯელაღსრულებით სამართალში, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში, გააცნობენ ევროპის პენიტენციური სისტემის წესებს.

კურსდამთავრებულები 3 აგვისტოს გამოცდას ჩააბარებენ და შესაბამის სერთიფიკატსაც მიიღებენ.

■ ■ ■

**თბილისი.** სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მიოკარდის განმეორებითი ინფარქტით 51 წლის მსჯავრდებული, აზერბაიჯანის მოქალაქე ვიდალი იბრაგიმოვი გარდაიცვალა.

იბრაგიმოვისათვის ეს ინფარქტი მეოთხე იყო.

მსჯავრდებული სამართალდამცველებმა 1996 წელს დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების რეალიზაციის ბრალდებით დააკავეს. მას 12 წლით პატიმრობა ჰქონდა მისჯილი.

■ ■ ■

**მცხეთა.** ხანგრძლივი წვიმების გამო ჟინვალის წყალსაცავში წყლის დონემ ნორმაზე მეტად მოიმატა. ჟინვალი თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ მოინახულა. ამჟამად ყველაფერი კეთდება წყალსაცავის უსაფრთხოებისთვის - გახსნილია სარქველები და ზედმეტი წყალი გენერატორების გვერდის ავლით თვითდინებით გაედინება წყალსაცავიდან. კონტროლზეა აყვანილი წყლის ხარისხი. 3 დღის განმავლობაში დედაქალაქს წყალი გრაფიკით ექნება. ქალაქის მერიის განცხადებით, ამ დღეებში დასრულდება ახალი წყალსაცავის მშენებლობა, რომლის ექსპლუატაციაში გაშვებაც წყალმომარაგებაში საგრძნობი იქნება.

გადაბმულმა წვიმებმა დედაქალაქს დიდი ზიანი მიაყენა. არაოფიციალური ინფორმაციით, იგი მიწისძვრით მიყენებულ ზარალს უახლოვდება. წვიმების შედეგად დაიტბორა და მწყობრიდან გამოვიდა გზები, ჩამოწვა ქანები, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში 4 სახლი და 2 სახლის კედელი ჩამოიშალა, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში ჩამოინგრა 2 კედელი, წვიმების შედეგად დამბალი და მორყეულია კიდევ არაერთი. შეკეთებას საჭიროებს სანიაღვრე კოლექტორები, დაზიანებები ელექტრომეურნეობაშიც აღინიშნება. მიმდინარეობს წყალდიდობის სალიკვიდაციო სამუშაოები.

■ ■ ■

**სიღნაღი.** სიღნაღის რაიონის პოლიციამ დააკავა წნორში მცხოვრები 53 წლის ტარიელ ხატიაშვილი, რომელმაც წნორში მდებარე სამელიორაციო ორგანიზაცია „ალაზნის არხიდან" მოიპარა რკინის ჭიშკარი. ნივთმტკიცება ამოღებულია.

საქმეს საგამოძიებო დეპარტამენტის სიღნაღის ქვეგანყოფილება იძიებს.

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისის პოლიციამ დააკავა სამჯერ ნასამართლევი 42 წლის გიორგი ლომიძე, რომელმაც ქვიტირის სასაფლაოდან მოიპარა ალუმინის ფიგურები — ბოძები. საქმეს საგამოძიებო დეპარტამენტის ქუთაისის განყოფილება იძიებს.

■ ■ ■

**ზესტაფონი.** ზესტაფონის რაიონის პოლიციამ დააკავა სოფელ დილიკაურში მცხოვრებნი: 21 წლის სულხან ქლიბაძე, 24 წლის რაინდი ჩიბინიძე და 24 წლის კახა კოჩაძე. მათ ამავე სოფელში გამავალი ნავთობის მილსადენის მონაკვეთზე მოიპარეს 500 ლარის ღირებულების 150 მეტრი შესაღობი მავთულის ბადე.

საქმეს საგამოძიებო დეპარტამენტის ზესტაფონის განყოფილება იძიებს.

■ ■ ■

**გურჯაანი.** კახეთის შს სამხარეო სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა ამხილეს გურჯაანის რაიონის კოოპერატივ „მელაანის" დირექტორი, იმავე რაიონის სოფელ მელაანში მცხოვრები 53 წლის არჩილ ასკილაშვილი, რომელმაც 1998 წლის აგვისტოში ყალბი დოკუმენტების გამოყენებით მცირე ბიზნესის განვითარების ფონდიდან მიიღო 49.700 ლარი სესხით, საიდანაც 28.500 ლარი მიითვისა.

მოკვლეული მასალები გადაეგზავნა საგამოძიებო დეპარტამენტის სამხარეო სამსახურს.

■ ■ ■

**ავსტრია.** გუშინ ამოიწურა ორწლიანი ვადა, რომლის განმავლობაშიც ავსტრიის ბანკების ანონიმური ანგარიშების მფლობელებს უნდა წარმოედგინათ ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტები და ანგარიშები სახელობითი უნდა გაეხადათ.

დღეიდან ავსტრიის საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებებს მხოლოდ სახელობითი ანგარიშების გახსნის უფლება ექნებათ. ოფიციალურმა ვენამ ეს ნაბიჯი ევროკავშირის საფინანსო წრეების ზეწოლის შედეგად გადადგა. ევროპაში აქტიურად მიმდინარეობს ბრძოლა "შავი ფულის" გარეცხვისა და შემოსავლების დამალვის წინააღმდეგ.

ანონიმური ანგარიშების გარდაქმნის მიზნით საბანკო რეფორმის პირველი ეტაპი 2000 წლის 1 ნოემბერს დაიწყო, როდესაც ავსტრიის ბანკებმა აკრძალეს ანონიმურ ანგარიშებზე ფულადი ანგარიშების მიღება. ანონიმური ანგარიშების მფლობელთა მონაცემები, რომლებმაც საკუთარი ანგარიშები გუშინდლამდე სახელობითი არ გახადეს, ავსტრიის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ელექტრონული ბაზის მეშვეობით შემოწმდება.

ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ავსტრიის ბანკების ანონიმურ ანგარიშებზე განთავსებული იყო 100 მილიარდი დოლარი, რომელიც, ძირითადად, ანონიმურ მეანაბრეებს ეკუთვნოდათ.

■ ■ ■

**საფრანგეთი.** დღეიდან საფრანგეთის ყოფილი ეროვნული ვალუტა ფრანკი მხოლოდ ამ ქვეყნის ცენტრალურ ბანკში გადაიცვლება. ცენტრალური ბანკი და მისი დაწესებულებები ფრანკის მონეტების გადაცვლას ევროზე განახორციელებენ 2005 წლის 17 თებერვლამდე. რაც შეეხება ფრანკის ბანკნოტებს, მათი გადაცვლა დასრულდება 2012 წლის 17 თებერვალს. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ფრანგული ფრანკები მხოლოდ კოლექციონერთა ინტერესის საგანი გახდება.

საფრანგეთის ცენტრალური ბანკის მონაცემებით, მიმოქცევაში ჯერ კიდევ მოძრაობს 3,1 მილიარდი ევროს ეკვივალენტის ფრანკები. ამასთან, ნაღდი ფულის დიდი ნაწილი საფრანგეთის საზღვრებს გარეთ მოძრაობს.

■ ■ ■

**სომხეთი.** სომხეთში მასობრივი ინფორმაციის ელექტრონული საშუალებებით თამბაქოს ნაწარმისა და მაგარი სპირტიანი სასმელების რეკლამირება აიკრძალა. ამით სომხეთში შეიცვალა კანონი "რეკლამის შესახებ", რომელიც 1996 წლიდან მოქმედებდა. თუმცა შეზღუდვა არ შეეხო სომხეთში წარმოებულ კონიაკს. როგორც სომხეთის ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, ამით მთავრობამ გადაწყვიტა, დახმარებოდა სასმელს ბაზრის შენარჩუნებაში.

ახალი კანონის თანახმად, თამბაქოს ნაწარმის რეკლამის განთავსება აკრძალულია ისტორიისა და კულტურის ობიექტებთან, ასევე სასწავლო დაწესებულებებთან შორიახლოს.

■ ■ ■

**ჩეჩნეთი.** 30 ივნისს ჩეჩნეთის სამხრეთში, მთებში ფედერალური ძალების სპეცოპერაცია დაიწყო. ჩრდილოეთ კავკასიაში ჯარების გაერთიანებული დაჯგუფების სარდლის, გენერალ-პოლკოვნიკ ვლადიმირ მოლტენსკის განცხადებით, ორშაბათს, დილით მთებში დესანტი გადასვეს, რომელმაც ალყაში მოაქცია ბანდიტების ჯგუფი. ფედერალები ბოევიკების განადგურებას დღის ბოლომდე გეგმავენ. გენერალმა არ დააზუსტა, თუ სად მიმდინარეობს სამხედრო ოპერაცია. მოლტენსკიმ განაცხადა, რომ ბოევიკების წინააღმდეგ ოპერაციები, პრაქტიკულად, შეუწყვეტლივ მიმდინარეობს და კარგი შედეგი მოაქვს. მისი აზრით, ასლან მასხადოვს აღარ ჰყავს ძალები, რომ ფედერალურ ჯარებს წინააღმდეგობა გაუწიოს, რადგან გაზაფხულზე ბოევიკებს დიდი დანაკარგი ჰქონდათ. სარდალი მიიჩნევს, რომ წლის ბოლოსთვის ჩეჩნეთში კონსტიტუციის მისაღებად ყველა აუცილებელი პირობა იქნება შექმნილი.

■ ■ ■

**კუბა.** კუბის ლიდერმა ფიდელ კასტრომ რუსეთი ღალატში დაადანაშაულა. მან განაცხადა, რომ სსრკ-ს დაშლის შემდეგ კუბასთან დადებული სავაჭრო და სხვა სახის შეთანხმებების მოქმედების შეჩერება რუსეთის მხრიდან ღალატის ტოლფასი იყო. გარდა ამისა, კასტრო არ მიესალმება რუსეთის აშშ-ს მოკავშირეობის ფაქტს.

კუბელი კომუნისტების გაზეთი "გრანმა" კუბის ლიდერის სიტყვების ციტირებას ახდენს: "მე, "ღალატის" გარდა, სხვა სიტყვის შერჩევა მიჭირს, თუმცა, არ ვცდილობ, პასუხისმგებლობა რომელიმე კონკრეტულ ლიდერს დავაკისრო". კასტროს აზრით, რუსეთი დასავლურ კაპიტალიზმთან და იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან იდეოლოგიურ ბრძოლაში დამარცხდა.

■ ■ ■

**ჩინეთი.** ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ფუჯიანის პროვინციაში კვირას რამდენიმედღიანი კოკისპირული წვიმების შედეგად მეწყერი ჩამოწვა, რომელმაც 10 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, 22 კი დაშავდა.

ჩინეთის უმეტეს ნაწილში უკვე ორი კვირაა, გადაუღებლად წვიმს. ამის შედეგად დაიტბორა 18 პროვინცია და დაიღუპა 543 ადამიანი. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, წყალდიდობა 69 მილიონ ჩინელს შეეხო, 700,000 უსახლკაროდ დარჩა, 590,000 სახლი დაინგრა.

**Associated Press, Reuters, ინტერფაქსი, პრაიმ-ნიუსი, მედია-ნიუსი.**

# თერჯოლა და ჭიათურა - ახალი სიტყვა ქართულ არჩევნებში

თამარ მჭედლიშვილი

***წინასწარი ინფორმაციით, თერჯოლაში მაჟორიტარი დეპუტატი სოციალისტი როლანდ მესხი გახდა, ხოლო ჭიათურაში საპარლამენტო არჩევნები საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილმა თეიმურაზ ჯაფარიძემ მოიგო. ეს მონაცემები მედიას საერთაშორისო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენელმა დავით ყიფიანმა მიაწოდა.***

"სამართლიანმა არჩევნებმა" სრულად მოიცვა ყველა საარჩევნო უბანი და იქ საკუთარი დამკვირვებლები წარადგინა. ამ ორ რაიონში გამართულ არჩევნებს ორგანიზაციის წევრები "უპრეცედენტოს" უწოდებენ. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ასეთი შეფასება არჩევნებმა არა გაყალბებისა და რეკორდული რაოდენობის ურნების დაწვის გამო დაიმსახურა, არამედ - პირიქით.

როგორც "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლები აცხადებენ, **"ჭიათურისა და თერჯოლის ხელახალ საპარლამენტო არჩენებზე არ დაფიქსირებულა არც ერთი სერიოზული დარღვევა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა ეჭვის ქვეშ დაგვეყენებინა ამ არჩევნების სამართლიანობა. თუმცა, მცირე რაოდენობის ტექნიკური სახის დარღვევებს მაინც ჰქონდა ადგილი, რომლებიც, სამწუხაროდ, ისევ და ისევ საარჩევნო კომისიების წევრების მიერ საქართველოს საარჩევნო კოდექსის არასათანადო ცოდნამ და კოდექსის მთელმა რიგმა ნაკლოვანებებმა გამოიწვია".**

სამაგიეროდ, საკმაოდ საინტერესოდ განვითარებულა მოვლენები დაბა ხარაგაულის ორ საარევნო უბანზე, სადაც თვითმმართველობის განმეორებითი არჩევნები ტარდებოდა. როგორც დამკვირვებლებმა განაცხადეს, არჩევნების სრული ბოიკოტი არა ამომრჩევლებმა, არამედ თავად კომისიების წევრებმა გამოაცხადეს. არჩევნების გამართვა მხოლოდ საოლქო-საარჩევნო კომისიის ძალისხმევით მოხერხდა.

მთლიანობაში, "სამართლიანი არჩევნები", რომელმაც 2 ივნისის არჩევნების სრული მონიტორინგი განახორციელა, მოუწოდებს პარლამენტს და ხელისუფლებას, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, დღეიდანვე დაიწყონ აქტიური მუშაობა საარჩევნო კოდექსის სრულყოფისათვის. ორგანიზაციის წევრების რწმენით, დღეს მოქმედ საარჩენო კოდექსში უამრავი ხარვეზია, რომელიც სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

# ინჯიაც კი გრანტებს ებრძვის

სოფო ბუკია

**"შეიქმნას გრანტების შემსწავლელი საგამოძიებო კომისია,"** - ამ მოთხოვნით, კავშირგაბმულობის ყოფილმა მინისტრმა, პარლამენტარმა ფრიდონ ინჯიამ პრესკონფერენცია გამართა. ბიურომ ერთხელ უკვე განიხილა ინჯიას ინიციატივა. თავად ინჯიას იმედი აქვს, რომ პარლამენტი გაითვალისწინებს მის მოთხოვნას. თუმცა, ისიც შესაძლოა, პარლამენტის გადაწყვეტილებით, კრედიტებისა და გრანტების ხარჯვის შესწავლა დროებით საგამოძიებო კომისიასა და მის ხელმძღვანელს, მიხეილ ოსაძეს დაეკისროს.

გრანტების შესწავლის სურვილი ინჯიას **"საქართველოში ბოლო 10 წლის განმავლობაში შემოსულმა და უკვალოდ გამქრალმა ასეულმა მილიონმა დოლარმა"** გაუღვივა. არც ისე დიდი ხნის წინ, კორუფციაში ეჭვმიტანილ ინჯიას აინტერესებს, რა იქნა ის დიზელის საწვავი, რომელიც მეგრელ გლეხს 2000 წლის გაზაფხულზე უნდა მიეღო და 20 ლიტრის ნაცვლად, ერთ ოჯახზე მხოლოდ 7 ლიტრი რომ დაურიგდა. ამ საქმესთან დაკავშირებით, არაერთი საჩივარი დაიწერა სამხარეო პროკურატურის სახელზე, თუმცა, როგორც ინჯია აცხადებს, პასუხისმგებელი პირი ვერ მოიძებნა, რის გამოც საქმე დაიხურა. ინჯიამ ჯანდაცვის სამინისტროც არ დატოვა უყურადღებოდ და მის დაქვემდებარებაში მყოფი სადაზღვევო კომპანია უპასუხისმგებლობაში დაადანაშაულა, რადგან, ინჯიას აზრით, ეს უწყება არამიზნობრივად ხარჯავს სახელმწიფო თანხებს.

**"უნდა განვაცხადო, რომ ჩემი მინისტრობის პერიოდში, არ გაყიდულა კავშირგაბმულობის არც ერთი მოქმედი ობიექტი, რომელიც მოსახლეობას ემსახურებოდა... იმ დროს, სამინისტრო ამის კატეგორიული წინააღმგეგი იყო,"**- ამაყად გაიხსენა საკუთარი მინისტრობის პერიოდი ინჯიამ. რამდენიმე დღის წინ ქონების მართვის სამინისტროს მიერ გაყიდული შპს "ინფოკომის" შექმნაც მისი მინისტრობის პერიოდს ემთხვევა. ინჯია აცხადებს, რომ კავშირგაბმულობის



*"უნდა განვაცხადო, რომ ჩემი მინისტრობის პერიოდში, არ გაყიდულა კავშირგაბმულობის არც ერთი მოქმედი ობიექტი."*

იური ლობოდინის ფოტო

აღნიშნული ობიექტი სოლიდური თანხით ამდიდრებდა სახელმწიფო ბიუჯეტს, ამიტომ მისი გაყიდვის ფაქტს დიდ შეცდომად მიიჩნევს.

რაც შეეხება "მოქალაქეთა კავშირის" სარეაბილიტაციო ყრილობაზე მარტვილის დელეგაციის მიერ წარმოთქმულ ბრალდებას, თითქოს ბატონმა ინჯიამ მარტვილის ყველა საწარმო ჯართის სახით თურქეთში გაყიდა, ყოფილი მინისტრის რწმუნებით, სრული სიცრუეა. **"ეს ხალხი დაქირავებულია ან გაქირავებული... არჩევნების ცნობილი გამყალბებლები არიან. არ მესმის, რაში სჭირდება ჟორბენაძეს თავის პარტიაში ამნაირი ხალხი,"**- უკვირს ინჯიას, რომლის უწყებასაც მისი **"მინისტრობის პერიოდში არც ერთი ცენტის გრანტი არ მიუღია".**

# „ახალი ჩარჩო„ - საიდუმლო გრიფით

პირველი გვერდიდან

სულ პრესაში რუსულ დიპლომატიას ხმის უპირატესობა ქართულთან შედარებით-ამაზეც ღირს დაფიქრება. ყველაფერი შეგნებულად ხომ არ ხდება? ვიღაცა ხომ არ აჩუმათებს მოლაპარაკებების ყველასათვის საინტერესო დეტალებს? რუსეთის პარლამენტში დღეს ხშირად გაიგონებთ, რომ ასეთი "ცხრა ბეჭდის ქვეშ" მოქცეული დოკუმენტი ჯერ არ ახსოვს რუსეთის სხვა სახელმწიფოებთან საერთაშორისო თანამშრომლობის მატიანეს .

საჯაროობის ნაცვლად, მოსკოვში თბილისიდან მოსული დირექტივების შესაბამისად, "ჩარჩოზე" მუშაობა "საუკუნის პროცესად" იქცა.. მოგეხსენებათ, საუკუნის პროცესს იმიტომ ჰქვია ასე, რომ მის შესახებ სიმართლეს მხოლოდ მომდევნო თაობები იგებენ.

ქართველი დიპლომატების გარდა, კაცმა არ იცის, სად და რაშია ჩვენი სიმართლე იმ ყბადაღებულ "ახალ ჩარჩოში", რომელსაც, რუსი დიპლომატების და პარლამენტარების კომენტარით, **"არანაირი პერსპექტივა არ გააჩნია საქართველოს დღევანდელი ხალისუფლების ხელში".**

საქმე ისაა, რომ საქართველო-რუსეთის ახალი ჩარჩო ხელშეკრულების სოციალურ-ეკონომიკურ ანუ ჰუმანიტარულ ბლოკში მიღწეულ შეთანხმებებსაც კი, ხელი შეუშალა ორ ქვეყანას შორის ამტყდარმა ენერგეტიკულმა სკანდალმა. ასე რომ, მიღწეულის გადახედვაც არ იქნება გამორიცხული.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა "24 საათისათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ **"კონსულტაციები, ე.წ. სამხედრო ბლოკის საკითხებზე, უკავშირდება საქართველოდან რუსეთს სამხედრო ბაზების გაყვანაზე არსებულ მხარეთა ტრადიციულ უთანხმოებებს და იმას, რომ მოსკოვი არ დაუშვებს აჭარიდან და ახალქალაქიდან საკუთარი ბაზების საბოლოოდ გაყვანას –არც ახლა, არც უახლოეს მომავალში".** რუსი დიპლომატები განსხვავებულ პოზიციებს და პრინციპულ საკითხებში უთანხმოებას რუსეთ-საქართველოს სრული პოლიტიკური გაუცხოებით ხსნიან.

**"სამხედრო საკითხის განხილვის დროს ითქვა, რომ რუსეთი ვერ შეურიგდება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის ირგვლივ არსებულ სამართლებრივ ვაკუუმს. რუსეთს არასოდეს მოუხვევია თავზე საკუთარი ჯარისკაცები და თუ საქართველოს არ სურს სამშვიდობოთა იქ ყოფნა, მათი გაყვანის შემდეგ მომხდარზე მთელი პასუხისმგებლობა საქართველოს ხელმძღვანელობამ უნდა იკისროს,"**- აცხადებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი რუსული პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში.

ფაქტია, რომ მოსკოვში გამართულ მოლაპარაკებებზე სამხედრო ბლოკის საკითხებში ყველაზე პრობლემური შეიქნა კონფლიქტის ზონაში რუსი ჯარისკაცების უმანდატოდ დარჩენის პერსპექტივა და იმის დაფიქსირება,რომ 31 ივლისის შემდეგ რუს ჯარისკაცებს გაეროს დამკვირვებელთა მისიაც კუდში გაჰყვება. რუსეთმა ამ მოლაპარაკებებზე კიდევ ერთხელ შეახსენა ქართველებს,რომ სამშვიდობო მანდატის გაგრძელება დამოკიდებული იქნება გაეროს უშიშროების საბჭოს სხვა წევრი ქვეყნების პოზიციაზეც. ამავე ბლოკში შედის აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხიც,რომლის გაურკვევლად საქართველო-რუსეთის სახელმწიფოთაშორის ურთიერთობას პერსპექტივა არ უწერია.

რუსული დიპლომატიური წყაროები ამტკიცებენ,რომ აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის გარკვევას ხელს უშლის აფხაზეთის დღევანდელი ლიდერის ჯანმრთელობის მდგომარეობაც. როგორც ირკვევა, მოსკოვი ყოყმანობს აფხაზეთის პრეზიდენტის მომავალ კანდიდატურაზე. ჩვენი ინფორმაციით, არძინბას შემცვლელს ინტენსიურად დაეძებს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ე.წ. აფხაზური ლობიც - საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის შაბანოვის მეთაურობით. ამ საქმეში როგოზინის კომიტეტს არც ბორის პასტუხოვის კომიტეტის ქართულ საკითხებზე მომუშავე ექსპერტები ჩამორჩებიან. დსთ საქმეთა კომიტეტის ექსპერტმა "24 საათს" უთხრა,რომ **"მოსკოვში 28 ივნისს ჩატარდა მოსკოვის აფხაზური დიასპორის წარმომადგენელთა დახურული შეხვედრა, რომელზეც არძინბასა და ჯერგენიას რეჟიმის ოპოზიციის წარმომადგენლებმა იმსჯელეს აფხაზეთში ხელისუფლების ცვლის პროცესზე, ამ პროცესში კი მოსკოვი აქტიურად ჩაერევა".**

აფხაზეთის მომავალი ლიდერისა და იქ რუსეთის სამშვიდობო მისიის გაურკვეველი მომავალი ორი ქვეყნის დიპლომატიას ჩიხში აქცევს . რუსი დაპლომატები არ გამორიცხავენ, რომ აუცილებელი გახდეს პუტინ-შევარდნაძის პირდაპირი დიალოგი.რუსეთში იმასაც ამბობენ, რომ ჩარჩო ხელშეკრულება რომც გაფორმდეს, მას რუსეთის პარლამენტი რატიფიკაციას არ აღიარსებს, ისევე, როგორც მის წინამორბედ, თითქმის უნაკლო, მაგრამ დღეს - მორალურად მოძველებულ ხელშეკრულებას.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ზექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

# ზურაბ ჟვანია: არსებული ხელისუფლება უნდა შეიცვალოს

პირველი გვერდიდან

განახლებული "მოქალაქეთა კავშირის" ყრილობას დაემთხვა ევროსაბჭოს წარმომადგენლების საჯარო შეფასებები, 2 ივნისს გამართული ადგილობრივი არჩევნების შესახებ.

**"მე არ მქონია სტრასბურგში საჯარო გამოსვლები ამ თემაზე. ვესაუბრე მხოლოდ გენერალურ მდივანს, ასამბლეის პრეზიდენტს, კომიტეტების თავმჯდომარეებს. თავად საქართველოში არჩევნებს ესწრებოდა უცხოელ დამკვირვებელთა ჯგუფი, რომელთაც მეტად უარყოფითი დასკვნა გააკეთეს. მე საჯარო გამოსვლა მქონდა მხოლოდ ლტოლვილთა საკითხთან დაკავშირებით. საგულისხმოა, რომ ორი კვირით ადრე ევროსაბჭოში შევიდა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის, ასლან აბაშიძის მეტად ნიშანდობლივი განცხადება, რომლის მიხედვით, აფხაზეთის კონფლიქტის წარმოშობა თბილისის დაუკმაყოფილებელი ამბიციების ბრალი ყოფილა. იქვე იყო მოცემული კონფლიქტიდან გამოსვლის გზები. ეს არის თბილისში მოქმედი აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების გაუქმება, ბლოკადის მოხსნა, სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა. ნიშანდობლივია, რომ ამ ფაქტზე ხელისუფლებას რეაგირება არ მოუხდენია. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ჩვენი ხელისუფლება მზად არის, შეეგუოს აფხაზეთის დაკარგვას, მაგრამ - არამც და არამც სახელისუფლებო სავარძლებისა,"** – ამბობს ჟვანია.

რაც შეეხება "მოქალაქეთა კავშირის" რეანიმირებას, იგი ამ ფაქტს ბრეჟნევისდროინდელი საბჭოთა ეპოქის აღდგენის მცდელობად აფასებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ დღეს ხალხს არ ექნება ელემენტარული სოციალური გარანტიებიც კი. **"იმათი მისამართით, ვინც განსხვავებულად აზროვნებს, გამოიყენებენ გამოთქმებს: მოღალატეები, ჩამშვებები, გამყიდველები. სამწუხაროა, რომ რეანიმაციის მცდელობა ხდება დღეს, როდესაც ეჭვგარეშეა, რომ ჩვენმა ქვეყანამ გააკეთა დემოკრატიული არჩევანი",** – აცხადებს იგი. ჟვანიას ეჭვი ეპარება, რომ ახალი მმართველი პარტია ქვეყანაში რამის გაკეთებას შეძლებს. მით უფრო, რომ "მოქკავშირმა" მთავარ ამოცანად მომავალ საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება დაისახა **"და ეს მაშინ, როცა ქვეყანაში ასეთი უმძიმესი სოციალური პირობებია".**

ერთი სიტყვით, ზურაბ ჟვანია, არსებული ხელისუფლების შეცვლის გარდა, სხვა ალტერნატივას ვერ ხედავს და, ამ მიზნის მისაღწევად, მზად არის დიალოგი გამართოს ყველა პოლიტიკურ ძალასთან. რაც შეეხება მომავალ საპარლამენტო არჩევნებს, ჟვანია აცხადებს: **"ჩვენ გველის უმნიშვნელოვანესი არჩევნები და მე თავს ვალდებულად მივიჩნევ, ყველაფერი გავაკეთო იმისათვის, რომ იგი მშვიდობიანად ჩატარდეს, რომ არ განმეორდეს იგივე მანიპულაციები, რაც 2 ივნისს მოხდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ძალიან მძიმე შედეგებით დასრულდება".** მას სამართლიანი არჩევნების ერთ-ერთ გარანტად საერთაშორისო ორგანიზაციები ეიმედება, რომლებთანაც მუდმივად ექნება ურთიერთობები.

# ველანდ მოძინსკი: ჩვენ გთავაზობთ, თქვენ გადაწყვიტეთ!

საზღვრის დაცვის დეპარტამენტი სამხედროდან პოლიციურ უწყებად გადაკეთდება

ვერიკო თევზაძე

*გუშინ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში ჟურნალისტებს შეხვდა გერმანიის სასაზღვრო პოლიციის უმაღლესი რანგის დელეგაცია. სასაზღვრო დაცვის დეპარტამენტის პრესსამსახურში "24 საათს" განუცხადეს, რომ შარშან ზაფხულში, თბილისში იმყოფებოდა გერმანიის სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელი უდო ბურგჰოლდერი. მასთან შეხვედრისას გადაწყდა, რომ გერმანიის სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელობა ქართველ კოლეგებს რეფორმების გატარებაში დაეხმარებოდა.*

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის, დავით გულუას თქმით, რეფორმისათვის საჭიროა სტრუქტურული და იურიდიული საფუძვლების შექმნა. საზღვრის დაცვის დეპარტამენტი სამხედრო უწყებიდან პოლიციურ სტრუქტურად უნდა ჩამოყალიბდეს.

**"დასავლურ სტანდარტებზე გადასვლას ვაპირებთ არა იმიტომ, რომ მოდას ვართ აყოლილნი, ამას მოითხოვს ჩვენი რეალობა. საქართველო სატრანზიტო ქვეყანაა, საზღვარზე უამრავი დანაშაული ხდება. უნდა ვებრძოლოთ დანაშაულს და, ამასთანავე, უზრუნველვყოთ სამართლებრივი მხარე. ჩვენს უწყებას აქტიურად ეხმარება აშშ. სერიოზული ურთიერთობები გვაქვს ნატოსთან, ევროკავშირთან და სხვა ორგანიზაციებთან. გერმანელ კოლეგებთან კონტაქტები გულისხმობს არა მარტო რეკომენდაციებს, არამედ პრაქტიკულ დახმარებას,"** - განაცხადა გენერალ-მაიორმა გულუამ. მისივე თქმით, რეფორმები მოიცავს 2003-2006 წლებს და, სავარაუდოდ, სამი ეტაპისგან შედგება. ამ უწყებას ექნება ოპერატიული მუშაობისა და გამოძიების უფლება. საბაჟო სამსახური სასაზღვრო უწყებაში არ გაერთიანდება.



*დავით გულუა და ველანდ მოძინსკი*
ლევან ხერხეულიძის ფოტო

გერმანელი ექსპერტები შეისწავლიან საკონტროლო გამშვებ პუნქტებს. ისინი მოინახულებენ წითელი ხიდზე, სადახლოში, აეროპორტსა და ბათუმში მდებარე გამშვებ პუნქტებს, გერმანელები ასევე ჩავლენ ყაზბეგსა და დედოფლისწყაროში.

გერმანული მხარე აცხადებს, რომ, ჯერჯერობით, კონკრეტულ საკითხებზე საუბარი ნაადრევია.

**"ჩვენ არ ვცდილობთ, რომ ქართული სასაზღვრო უწყება მაინცდამაინც გერმანულ მოდელზე მოეწყოს. ჩვენ გთავაზობთ გამოცდილებას, დანარჩენი თქვენ უნდა გადაწყვიტოთ. რასაკვირველია, აუცილებელია ადგილობრივი პრობლემებისა და სპეციფიკის გათვალისწინება,"** - განუცხადა ჟურნალისტებს გერმანიის სასაზღვრო ძალების უფროსმა ველანდ მოძინსკიმ.

გერმანელთა დელეგაცია თბილისში ათ დღეს იმუშავებს. როგორც საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ "24 საათს" განუცხადა, 4 ივლისს დელეგაციას გერმანიის სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელი უდო ბურგჰოლდერიც შემოუერთდება. გერმანელი ექსპერტები 11 ივლისს დატოვებენ თბილისს, გამგზავრების წინ ისინი პრესკონფერენციას გამართავენ.

# „დემოკრატიული ფრონტი„ „დემოკრატიული შტურმისთვის„ ემზადება

პირველი გვერდიდან

გუშინ ამ ადამიანებს არ შეერთებიან, ანუ ასეთი "მომხიბლავი შანსი" არ გამოუყენებიათ "ნაციონალებს", რომლებიც ჯერ კიდევ პარასკევს მასობრივი გამოსვლების ორგანიზებით იმუქრებოდნენ.

ვანო მერაბიშვილმა ეს პროცესები სასექტემბროდ გადადო, როცა **"ხალხს ყელში ამოუვა ხელისუფლების თავგასულობა".**

კობა დავითაშვილი კი აცხადებს, რომ სახალხო დაუმორჩილებლობის გამოცხადება მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების მოსმენამდე ყოვნდება.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში "ნაციონალების" სახელით შეტანილი ორი კერძო სარჩელის განხილვა დანიშნულია დღეს, დღის სამი და ოთხი საათისთვის. ასე რომ, სასამართლო გადაწყვეტილება, შესაძლოა, უკვე დღეს გახდეს ცნობილი.

მიუხედავად იმისა, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო, პროცესების დაჩქარებას საჭიროდ არ მიიჩნევს დავით ბერძენიშვილი, რომელიც ამბობს, რომ დემოკრატიული ფრონტი დემოკრატიულ შტურმს სექტემბრისთვის დაიწყებს და არსებობს იმედი, რომ ეს შტურმი უშედეგოდ არ დამთავრდება. მანამდე კი ბერძენიშვილი არ გამორიცხავს სხვადასხვა სახის საპროტესტო აქციების, გამაფრთხილებელი გამოსვლების მოწყობას და ამბობს, რომ ხელისუფლებას ვატერლოოს საშემოდგომოდ მოუწყობენ.

"24 საათის" კითხვას იმის თაობაზე, რომ ასეთი "დემოკრატიული შტურმის" შესახებ განცხადებები "ნაციონალებს", შესაძლოა, ხელისუფლების დამხობის მოწოდებად ჩაეთვალოთ, რესპოდენტი **"პროტესტის კანონიერი ფორმების გამოყენების"** დაპირებით პასუხობს. ბერძენიშვილი აცხადებს, რომ არჩევნების შედეგების უგულვებელყოფა და შევარდნაძის მიერ, სახელისუფლებო პარტიის მოსალოდნელი გამარჯვებების შესახებ შაბათს გაკეთებული განცხადებები ნათელყოფს, რომ მთელ საქართველოში, როგორც ეს გია ნოდიამ შეაფასა, **"ბათუმიზაციის"** პროცესი ხორციელდება. ამას კი საზოგადოება წინ აუცილებლად უნდა აღუდგეს.

ბერძენიშვილს, ასევე, მიაჩნია, რომ ის სოციალური ხასიათის გამოსვლები, რომლებიც ამ ბოლო პერიოდში გახშირდა, საერთო დემოკრატიზაციის შემადგენელი ნაწილია.

"ნაციონალების" ასეთი, საკმაოდ რადიკალური პოზიციის ფონზე, ტრადიციულად შედარებით "ზომიერი" გახლდათ საკითხის კომენტირებისას სტრასბურგიდან საქართველოში დაბრუნებული "გაერთიანებულ დემოკრატთა" ლიდერი ზურაბ ჟვანია. თუმცა, გუშინ ისიც აცხადებდა, რომ თუ საქართველოს მოსახლეობას ელემენტარული არჩევანის თავისუფლება არ დაუტოვეს, ხალხი ქუჩაში თავისით, ყოველგვარი მოწოდებების გარეშეც გამოვა და ამაზე პასუხისმგებლობა, უდავოდ, თავისუფლების შემზღუდველ ხელისუფლებას დაეკისრება.

დღეს განსაკუთრებულად საინტერესოა სახალხო დაუმორჩილებლობის იდეის ინიციატორის - მიხეილ სააკაშვილის პოზიცია, რომელმაც ეს აზრი თანაპარტიელებს ჯერ კიდევ სტრასბურგიდან შემოუგდო და, სიმართლე უნდა ითქვას, ისინი თავიდან გაურკვევლობაშიც ჩააგდო.

თუმცა, სააკაშვილი ერთი კვირაა მოდის ევროპის კონტინენტიდან (მისი ზუსტი ადგილსამყოფელის დადგენა, ძველი და ახალი თანამოაზრეების გამოკითხვის შემდეგ, მხოლოდ კონტინენტის ფარგლებამდე მოვახერხეთ). ადგილმდებარეობის გარდა, დაზუსტებით არც მისი საქართველოში ჩამოსვლის დღეა განსაზღვრული.

მართალია, მერაბიშვილის ინფორმაციით, სააკაშვილი გუშინ ღამით უნდა ჩამოსულიყო საქართველოში (იგივე ინფორმაცია თითქმის დაადასტურა დავითაშვილმაც), მაგრამ ისიც თქვა, რომ მსგავსი რამ უკვე რამდენიმე დღის განმავლობაში ესმის და ამიტომ, სანამ ფაქტის წინაშე არ დადგება, დაბეჯითებით ვერაფერს იტყვის.

# სამშვიდობო ოპერაციას კვლავ რუსები გააგრძელებენ

პირველი გვერდიდან

შვეიცარიელმა დიპლომატმა ამის შესახებ რუსეთის დედაქალაქში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებაში რუსეთის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელს, ვალერი ლოშჩინინის განუცხადა.

**"გაეროს მიაჩნია, რომ დსთ-ს სამშვიდობო ძალები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კონფლიქტის ზონაში მშვიდობის შენარჩუნების თვალსაზრისით,"** – თქვა ტალიავინიმ.

ერთი კვირით ადრე, ამავე პოზიციით გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატები. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა რიჩარდ ბაუჩერმა განაცხადა, რომ **"ვაშინგტონი მანდატის გაგრძელებას კიდევ ექვსი თვით უჭერს მხარს. ამერიკას ასევე სურს აფხაზეთის ირგვლივ პოლიტიკური დიალოგის დაჩქარება, რათა სწრაფად მოხდეს სტატუსისა და დევნილთა დაბრუნების საკითხების გადაწყვეტა".**

დსთ-ს სამშვიდობო ძალებს აფხაზეთში ყოფნის მანდატი 30 ივნისს ამოეწურა და უკვე ორი დღეა, ცისფერჩაფხუტიანები საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ იმყოფებიან. სამართლებრივი ვაკუუმის წარმოქმნით აშკარა უკმაყოფილებას გამოხატავენ აფხაზური და რუსული მხარეები. **"რუსეთს არავისთვის მოუხვევია თავზე აფხაზეთში სამშვიდობო ძალების შეყვანა, ეს სჭირდებათ კონფლიქტის მონაწილე მხარეებს და, პირველ რიგში, საქართველოს. თუ ეს ქვეყანა გადაწყვეტს, მაშინ ჩვენ გავიყვანთ აფხაზეთიდან სამშვიდობო ძალებს, მაგრამ ამის შემდეგ მთელი პასუხისმგებლობა ქართულმა მხარემ თავის თავზე უნდა აიღოს,"** – განაცხადა გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთმა დიპლომატმა, რომელმაც არ ისურვა თავისი ვინაობის დასახელება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო აფხაზეთში გაეროს სამხედრო დამკვირვებლებისთვის მანდატის გაგრძელებაზე 31 ივლისს იმსჯელებს. ექსპერტთა აზრით, შეერთებული შტატები, გაერო და რუსეთი მანამდე ყველაფერს იღონებენ, რომ თბილისი დსთ-ს ძალებისთვის მანდატის გაგრძელებაზე დაითანხმონ. **"გაეროს უშიშროების საბჭოს პოზიცია ცალსახა იქნება. ჩვენი ჯარისკაცების გარეშე გაერო თავის დამკვირვებლებს აფხაზეთში ვერ დატოვებს,"** – აღნიშნა რუსმა დიპლომატმა.

თავისი პოზიციის გასამყარებლად, სამი დღის წინ მოსკოვი დსთ-ს აღმასკომში უკვე შევიდა სამშვიდობო ძალებისთვის მანდატის 2002 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელების მოთხოვნით.

როგორც ჩანს, თბილისი, რომელიც ბოლო დრომდე უშედეგოდ ცდილობდა აფხაზეთში სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციას, კვლავაც იძულებული გახდება, აფხაზეთში რუსების დარჩენას, ამჯერად უკვე, წლის ბოლომდე დათანხმდეს.

# სოსო (სამსონ) ჭანტურია - დეპუტატი, გამგებელი თუ კრიმინალი?

გიორგი ასანიშვილი

*ფრაქცია "XXI საუკუნე" აპირებს, პარლამენტის რიგგარეშე სესიის დღევანდელ სხდომაზე პარლამენტარ სოსო (სამსონ) ჭანტურიასთვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი დააყენოს. ამ მიზნის მიღწევის შემთხვევაში, ფრაქცია მომავალ ამოცანად უკვე ჭანტურიას აბაშის გამგებლის თანამდებობიდან გადაყენებას დაისახავს.*

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე "XXI საუკუნის" წარმომადგენლებმა აბაშის მაჟორიტარ დეპუტატს (და ამასთან, რაიონის გამგებელს) ბრალდებების ნიაღვარი დაატეხეს თავს.

**"თავისი არსით, სოსო ჭანტურია არის უარყოფითი პიროვნებების კრებითი სახე. ფიზიონომიის ჩათვლით, მასში დადებითი არაფერია,"** - აცხადებს ფრაქციის თავმჯდომარე ვახტანგ ბოჭორიშვილი. იგი გაოცებას ვერ მალავს იმის გამო, რომ აბაშის რაიონის საკრებულოში არჩეული უამრავი ღირსეული ადამიანის გვერდის ავლით, პრეზიდენტმა შევარდნაძემ გამგებლად მაინცადამაინც ის შეარჩია, ვინც "კრიმინალური წარსულის" გამო, ერთხელ უკვე დაითხოვეს ამ თანამდებობიდან.

პრესკონფერენციაზე იმასაც გაესვა ხაზი, რომ არჩევნების შედეგების გაყალბების გამო, თავის დროზე, საკონსტიტუციო სასამართლომ უკანონოდ სცნო სოსო ჭანტურიას სადეპუტატო უფლებამოსილება, მაგრამ პარლამენტმა ეს არ გაითვალისწინა და იგი - ედუარდ შევარდნაძის რჩეული - დღემდე აბაშელი ამომრჩევლების "რჩეულადაც" რჩება.

**"სოსო ჭანტურია მიწაზე რომ დადის, უკვე ეს არის, თავისთავად, სამარცხვინო. 2000 წელი რომ მიილია, ხალხი ქრისტეს დაბრუნებას ელოდა, მაგრამ მის ნაცვლად, რაიონების გამგებლებად სოსო ჭანტურიასა და მედიკო მეზვრიშვილის მსგავსი პერსონები დაბრუნდნენ,"** - აბაშის დეპუტატ-გამგებელს, როგორც ჩანს, პარლამენტარ ელიზბარ ჯაველიძის რელიგიურ შეხედულებებზეც გვარიანად უმოქმედია.

მის კოლეგას, ჯემალ გამახარიას მიაჩნია, რომ პრეზიდენტის კადრები არსად ბრწყინავენ, მაგრამ ყველაზე უარესი და უვარგისი ხალხი თანამდებობებზე მაინც სამეგრელოში ინიშნება და ეს მიზანმიმართულად კეთდება, რადგან **"ედუარდ შევარდნაძე დღემდე ებრძვის ამ რეგიონს."** პარლამენტარის თქმით, დისკრედიტირებული კადრების დაწინაურება თავად პრეზიდენტსაც არ მოუტანს სიკეთეს. ჯემალ გამახარია ვარაუდობს, რომ თუ საკადრო პოლიტიკა სერიოზულად არ გადაისინჯება, სამეგრელოში, შესაძლოა, დესტაბილიზაცია დაიწყოს.

როგორც ირკვევა, სოსო ჭანტურია ახლადდანიშნული გამგებლებიდან ერთადერთი არ არის, ვის მიმართაც დეპუტატებს და, საერთოდ, საზოგადოებას პრეტენზიები აქვს. პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ფრაქციის - "მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისთვის" – თავმჯდომარის, კოტე კემულარიას მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, გამგებლების დანიშვნის გამო, აბაშის გარდა, მეტად დაძაბული მდგომარეობაა, აგრეთვე, ხობში, თელავში, ყაზბეგსა და რიგ სხვა რაიონებში.

შექმნილი მდგომარეობის გამო, პარლამენტარები, აღმასრულებელი ხელისუფლების გარდა, თავის თავსაც ადანაშაულებენ: ორიოდე თვის წინათ, საარჩევნო კოდექსში შესწორებების შეტანის დროს, სულ შვიდი ხმა დააკლდა იმას, რომ გამგებლის თანამდებობა, დანიშვნითის ნაცვლად, არჩევითი ყოფილიყო. ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა გამოთქვეს სურვილი, რომ უახლოეს მომავალში საარჩევნო კანონი კიდევ ერთხელ გადაისინჯოს და გამგებლის შერჩევა თავად საკრებულოს პრეროგატივა გახდეს.

# ანტიკორუფციული ზღაპრის სერიალი გრძელდება

მაია მოსიაშვილი

*ვინ მფარველობს კორუფციას? - რუსთავის მერიისა და ქვემო ქართლის ადმინისტრაციის მორიგი დაპირისპირების მიზეზი სამხარეო ანტიკორუფციული კომისია ხდება.*

ოთხშაბათს მთავრობის სხდომაზე გუბერნატორი ლევან მამალაძე, პრეზიდენტისა და მთავრობის წინაშე, ქვემო ქართლის სამხარეო ანტიკორუფციული კომისიის ორწლიანი მუშაობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს.

ორი დღით ადრე კი, რუსთავის მერი მერაბ ტყეშელაშვილი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამხარეო კომისიის წევრთა არაკორუმპირებულობას ეჭვქვეშ აყენებს და აცხადებს, რომ მის შემადგენლობაში არის რამდენიმე ადამიანი, რომელთა წინააღმდეგ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეა აღძრული: **"ჩემთან მოვიდა პენსიონერთა ჯგუფი. მათ თქვეს, რომ მათი კუთვნილი ფული მიითვისა ადამიანმა, რომელიც დღეს სამხარეო ანტიკორუფციულ კომისიაში მუშაობს."**

ტყეშელაშვილმა აღნიშნული კომისიის მაკომპრომეტირებელი მეორე ფაქტიც დაასახელა. მისივე თქმით, კომისიაში "რუსთავცემენტისა" და "მადნეულმშენის" დირექტორები არიან შეყვანილნი: **"ამ წარმოებებში კორუფციის, აღურიცხაობისა და განუკითხაობის ფაქტები არსებობს. ისმის კითხვა, რატომ ჰყავთ გამორჩეული რომელიმე ორგანიზაცია? არ მინდა პიროვნულად ვინმეს ხელი დავადო, მაგრამ, ალბათ, არც მათ აქვთ ყველაფერი წესრიგში. მე ეჭვქვეშ ვაყენებ ამ კომისიის მუშაობას და ქმედითუნარიანობას იმიტომ, რომ შერჩევის პრინციპია დარღვეული - რატომ არ უნდა იყოს იქ, მაგალითად, მეტალურგიული კომბინატის დირექტორი ან რუბეროიდების ქარხნის დირექტორი?"**

"კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამხარეო კომისიის" მდივნის, ნუგზარ ჩალაძის ინფორმაციით, მათ ორი თვის წინ მართლაც შეიყვანეს "რუსთავცემენტისა" და "მადნეულმშენის" დირექტორები კომისიაში, რადგან პრეზიდენტის 1999 წლის ერთ-ერთი რეკომენდაციით, კომისიაში ჩართულნი უნდა იყვნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები და, მათ შორის, ბიზნესმენებიც: **"ცემენტის ქარხანამ მოგვმართა, რათა ცემენტის ფალსიფიკაციის საკითხი განგვეხილა. ფალსიფიკაციის მასშტაბები იმდენად დიდია, რომ გადავწყვიტეთ, ქარხნის დირექტორი კომისიაში შეგვეყვანა, როგორც სპეციალისტი."**

ოთხშაბათის მოხსენებაში ლევან მამალაძე მეტალურგიული კომბინატის კრიზისის, აგრეთვე "რელასში" არსებული მდგომარეობის თაობაზე საკმაოდ ვრცლად ისაუბრებს. ამ თემებზე ანტიკორუფციულ კომისიაში საკმაოდ დიდხანს მუშაობდნენ. სამხარეო ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ ეს ის საკითხებია, რომლებზეც პასუხის გაცემა მერიის სამსახურებს მოუწევთ და მათი მხრიდან დაპირისპირების მიზეზიც ეს არის.

ბოლოთქმა: ანტიკორუფციული ზღაპრების სერიალი ჩვენს ქვეყანაში 1997 წლის 30 იანვრიდან, პრეზიდენტ შევარდნაძის ბრძანებულებით დაიწყო. მას შემდეგ ყოველ წელს გადამწყვეტი ბრძოლა ცხადდება კორუფციის წინააღმდეგ, თუმცა უშედეგოდ. კორუფციის დონე საქართველოში თანდათან მატულობს. ამის მიზეზად რა აღარ სახელდება, გარდა ერთისა: ჩვენთან ანტიკორიფციულ ზღაპარს არა კორუფციის, არამედ პოლიტიკური ოპონენტების დასამარცხებლად იყენებენ ის ადამიანები, რომლებიც თავად წარმოადგენენ ამ სენის პოტენციურ წყაროს.

# რიგგარეშე სესია მუშაობას იწყებს

გიორგი ასანიშვილი

დღეს მუშაობას იწყებს პარლამენტის რიგგარეშე სესია, რომლის დღის წესრიგით გათვალისწინებულია რამდენიმე პარლამენტარისთვის (რევაზ ადამია, მერაბ ტყეშელაშვილი, სოსო ჭანტურია) სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტა, აგრეთვე, "ვალად" შემორჩენილი კანონპროექტების განხილვა, დროებითი საპარლამენტო კომისიების დაკომპლექტება, რიგ კოდექსებში (საბაჟო, ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის) ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.

თუმცა, ყველაზე ხმაურიანი თემა, ალბათ, მაინც 2002 წლის პირველი ოთხი თვის ბიუჯეტის შესრულების თაობაზე მთავრობის ანგარიში იქნება. პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე გიორგი ბარამიძემ და ალეკო შალამბერიძემ მოითხოვეს, რომ ამ საკითხზე მოხსენება ფინანსთა მინისტრმა კი არ გააკეთოს, როგორც ეს დღის წესრიგით არის გათვალისწინებული, არამედ სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ, რომელმაც გასული წლის მიწურულს, 2002 წლის იანვარ-აპრილის ბიუჯეტის შესრულებაზე პირადად აიღო პასუხისმგებლობა. პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ოპოზიციონერი დეპუტატები იმით დაამშვიდა, რომ სახელმწიფო მინისტრი აუცილებლად დაესწრება რიგგარეშე სესიას და პარლამენტარებს ექნებათ მისთვის კითხვების დასმის საშუალება.

პარლამენტის სპიკერის ვარაუდით, ნაყოფიერად მუშაობის (ამაში, ალბათ, კვორუმის არსებობა იგულისხმება) შემთხვევაში, რიგგარეშე სხდომა ორ დღეში დასრულდება, ხოლო თუ საკანონმდებლო ორგანო "ჩვეულებრივად" იმუშავებს, სესია პარასკევამდე გაგრძელდება.

# რუსეთის სახელმწიფო ტელეკომპანია ევროპას იპყრობს

სოფო კვინტრაძე

რუსეთის სახელმწიფო ტელეკომპანია (РТР) ევრონიუსის (EuroNews) აქციების 20 პროცენტის ყიდვას აპირებს. ამის ინიციატორი ევრონიუსის გენდირექტორი მარტინ უიტლია, რომელიც გასულ კვირას საქმიანი წინადადებით ეწვია მოსკოვს. ჯერჯერობით, უცნობია ზუსტი თანხა, რასაც "ერ-ტე-ერი" აქციებში გადაიხდის, მაგრამ გავრცელებული ინფორმაციით, ლაპარაკია 20 მილიონ აშშ დოლარზე.

ევრონიუსი ოცდაოთხსაათიან საინფორმაციო მაუწყებლობას ეწევა. იგი ევროპაში სი-ენ-ენის ანალოგად ითვლება. არხი 1993 წლიდან არსებობს და მისი შტაბ-ბინა საფრანგეთში, ქალაქ ლიონშია მოთავსებული. მისი მაუწყებლობა ხორციელდება ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ და პორტუგალიურ ენებზე, ხოლო 2001 წლის სექტემბრიდან -- რუსულ ენაზეც. ევრონიუსის აქციების 51 პროცენტი საერთაშორისო კონსორციუმ Secemie-ს ეკუთვნის, რომელშიც ევროპის ქვეყნების 20 საზოგადოებრივი ტალეკომპანიაა გაერთიანებული. მათ შორისაა რუსეთიც, რომელიც კონსორციუმში ერ-ტე-ერითაა წარმოდგენილი და Secemie-ს აქციების 1,8 პროცენტს ფლობს. აქციების დანარჩენი 49 პროცენტი ბრიტანულ კომპანია აი-ტი-ენს (ITN) ეკუთვნის.

ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს გახდა ცნობილი, რომ ბრიტანული კომპანია ევრონიუსში თავისი წილის გაყიდვას აპირებდა. ყველაზე რეალურ მყიდველად ფინანსურ წრეებში ასახელებდნენ გერმანულ კომპანია დოიჩე ველეს (Deutsche Welle). აქციების ყიდვის სურვილი ჰქონდათ ფრანგულ და ამერიკულ კომპანიებსაც. მაგრამ ახლახან ლიონში გამართულ აქციონერთა კრებაზე გამოცხადდა, რომ აი-ტი-ენის აქციების 20 პროცენტს რუსეთი შეისყიდის. რუსეთის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთება ევრონიუსის ხელმძღვანელობამ იმით ახსნა, რომ რუსული სარეკლამო ბაზარი დღითიდღე იზრდება.

ერ-ტე-ერის გენერალური დირექტორი ანტონ ზლატოპოლსკი აცხადებს: **"ჩვენ სერიოზულად ვართ დაინტერესებულნი ამ აქციების ყიდვით. ამიტომ არ გამოვრიცხავთ, რომ დახმარებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტს მივმართოთ, რადგან საუბარია რუსეთის სახელმწიფოს წარმომადგენლობაზე ევროპულ საინფორმაციო ჰოლდინგში."**

ჯერჯერობით უცნობია, ვინ იყიდის აი-ტი-ენის აქციების დანარჩენ 29 პროცენტს.

რაც შეეხება რუსეთის მიერ აქციების ყიდვის საერთაშორისო მნიშვნელობას, ევრონიუსის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ეს პოლიტიკურად კორექტული ნაბიჯია და არ ნიშნავს რუსეთის მიერ ევროპის საინფორმაციო ბაზრის ექსპანსიას, ან გაკონტროლებას.

როგორც ჩანს, ერ-ტე-ერი სერიოზულ ნაბიჯებს დგამს მსოფლიო საინფორმაციო სივრცეში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად. ამის დადასტურებაა "ერ-ტე-ერ-პლანეტა" - ახალი არხი, რომელიც 1 ივლისიდან თანამგზავრის საშუალებით გავრცელდება დასავლეთ ევროპაში. ერ-ტე-ერის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ "ერ-ტე-ერ-პლანეტა" არ არის კომერციული არხი და მისი მაუწყებლობა პირველ რიგში გამიზნული იქნება უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისათვის.

# მსოფლიოს უდიდესი კომპანიაც თაღლითობს

## ბუშს, შესაძლოა, საკუთარი თავის დაპატიმრებაც მოუხდეს

პირველი გვერდიდან

ყველაზე "უწყინარი" გაყალბება კი საპენსიო ფონდების ხარჯზეა შესაძლებელი. ეს ნაკლებად თვალში საცემია, ვიდრე შემოსავლის პირდაპირი გაბუქვა, რადგან საპენსიო ფონდს იშვიათად ამოწმებენ. ჰოდა, ბობოლებიც სწორედ ამით არიან დაკავებულნი. როგორც ზემოთ ვახსენეთ, "ჯენერალ ელექტრიკი" მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კომპანიაა. მისი მოღვაწეობა თითქმის ყველა სფეროს წვდება -- დაწყებული საავიაციო ძრავების მშენებლობით და დამთავრებული სატელევიზიო მაუწყებლობით ("ჯენერალ ელექტრიკს" ეკუთვნის ცნობილი "ენ-ბი-სის" არხი). "ჯენერალ ელექტრიკი" რამდენიმე წლის განმავლობაში მსოფლიოს ყველაზე შემოსავლიანი კომპანია იყო და დღესაც ერთ-ერთი უპირველესია. მას კონკურენციას მხოლოდ "მაიკროსოფტი" თუ უწევს.

"ჯენერალ ელექტრიკის" სკანდალს ერთი დღით უსწრებდა პრეზიდენტ ბუშის მრისხანე გამოსვლა, რომელშიც მან დაგმო კორპორაციათა თაღლითობები და განაცხადა, რომ საქმოსანი თაღლითები ისევე უნდა დაისაჯონ, როგორც ჩვეულებრივი კრიმინალები, მათ ციხეში უნდა ამოჰყონ თავი. მაგრამ ბუშს ამგვარი რეფორმის დაწყება, შესაძლოა, თეთრ სახლში მოუხდეს. საქმე ის გახლავთ, რომ საბუღალტრო სკანდალში ჩათრეულია ნავთობკომპანია "ჰელიბერტონი," რომელსაც ერთ დროს ახლანდელი ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი ედგა სათავეში. თაღლითობა, რომელშიც "ჰელიბერტონის" ედება ბრალი, "ჯენერალ ელექტრიკთან" შედარებით მოკრძალებულია -- 100 მლნ დოლარი, მაგრამ რა ვუყოთ, რომ ამ თაღლითობის ჩადენისას, 1998 წელს, კომპანიას სწორედ ჩეინი მართავდა?

საერთოდ ტეხასელი ბუში თავისი გარემოცვითურთ ერთობ დაახლოებულია მენავთობეებთან და ენერგოსექტორთან ("ენრონი" ხომ მის საარჩევნო კამპანიას აფინანსებდა). ამიტომ, თუკი კანონები გამკაცრდება და კორპორაციული თაღლითობა სისხლის სამართლის დანაშაულთან იქნება გათანაბრებული, ბუშმა იმაზე მაინც უნდა იზრუნოს, რომ კანონი მენავთობეებს არ შეეხოს.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 26 ივნისი – 2 ივლისის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6526 | 0.6485 | 0.0055 |
| US$ | 1.5324 | | 0.9939 | 0.0084 |
| €uro | 1.5421 | 1.0061 | | 0.0084 |
| ¥en | 183.18 | 119.53 | 118.79 | |

### 2002 წლის 2 ივლისიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1927 | ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3798 | ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4917 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.2050 | ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.4063 | ლარი |
| იაპონური იენი. | 10 | 0.1845 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0700 | ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4528 | ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3792 | ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.1215 | ლარი |

# „თბილგაზი" „საქგაზისთვის" დავალიანების გასტუმრებას ვერ ახერხებს


ვახტანგ ცაავა

სოფიკო ოხანაშვილი

*გუშინ ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები გავრცელდა "თბილგაზისა" და "საქგაზის" ხელმძღვანელებს შორის მოლაპარაკებების შესახებ. მერიის ინფორმაციით, გუშინ საღამოს ხუთ-ექვს საათზე ლეონიდ დეიკალო და ვახტანგ ცაავა, შეთანხმების მისაღწევად, ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ. ეს ვერსია უარყვეს "თბილგაზისა" და "საქგაზის" პრესცენტრებში. კომპანიებისთვის ასევე უცნობი აღმოჩნდა მერიის მეორე ინფორმაციაც, რომლის თანახმადაც, ქართულ მხარეს მილიონიანი კრედიტის გარდა, ხუთასორმოცდაათი ათასი ლარი ჰქონდა მობილიზებული. მხოლოდ ერთი რამ არ იწვევს ეჭვს, თბილისს გაზი არ აქვს და არც არავინ იცის, როდის აღუდგება ბუნებრივი აირის მიწოდება დედაქალაქს.*

"თბილგაზისა" და "საქგაზის" შეთანხმების თანახმად, თბილისის გაზგამანაწილებელ კომპანიას "საქგაზისთვის" მთლიანი დავალიანების, შვიდი მილიონ სამასი ათასი ლარის ანგარიშში, მილიონ შვიდასი ათასი ლარი უნდა გადაერიცხა. დეიკალო მხოლოდ ამ პირობის შესრულების შემდეგ ჩაურთავდა თბილისს გაზს. მუნიციპალიტეტის შუამდგომლობით კომერციული ბანკიდან მილიონი ლარი "საქგაზის" ანგარიშზე საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმების დღესვე, 28 ივნისს ჩაირიცხა. დარჩენილი შვიდასი ათასი ლარი "თბილგაზს" თავისი მევალეებისგან მიღებული თანხებით უნდა დაეფარა. აქედან სამასი ათასი ლარი ფინანსთა სამინისტროს უნდა გადაეხადა, სამასი ათასი – მერიას, დარჩენილი ასი ათასი ლარი კი "თბილგაზს" სხვა აბონენტებისგან უნდა მიეღო.

**"ჩვენ უნდა აგვენაზღაურებინა საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანება. ხაზინის ოფიციალური მონაცემებით, ამ თანხამ, დაახლოებით, ორასორმოცდაათი ათასი ლარი შეადგინა. პარასკევ დილით ჩვენ ყველა დავალიანება დავფარეთ",** - აღნიშნეს ფინანსთა სამინისტროში. ამას არ ადასტურებს "თბილგაზის" ხელმძღვანელობა. ვახტანგ ცაავას თქმით, ფინანსთა სამინისტრომ დაპირებული თანხის გადახდაზე უარი განაცხადა, თუმცა, "თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილების მიზეზის დასახელებისაგან თავი შეიკავა. "თბილგაზის" ხელმძღვანელობის პოზიციას "საქგაზშიც" იზიარებენ. **"ამჟამად ჩვენს ანგარიშზე მხოლოდ მილიონი ლარია ჩარიცხული. ჩვენი პოზიცია უცვლელი დარჩება, ანუ თბილისს გაზს არ მივაწვდით მანამ, სანამ მილიონ შვიდასი ათასი ლარი მთლიანად არ ჩაირიცხება ჩვენს ანგარიშზე",** - აღნიშნეს "საქგაზში".

**"თბილისელებს ხუთ-ხუთი ლარი რომ გადაეხადათ დავალიანებებიდან, თბილისი ახლა გაზის გარეშე აღარ იქნებოდა. აი, ეს სათხოვარი მაქვს მე მათთან",** - განაცხადა "თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა. მერიაში ამას სხვაგვარად ხსნიან. იქ "საქგაზისათვის" გაზის საფასურის წინაწარ გადახდას არაკანონიერად მიიჩნევენ. მერიის პრესმდივნის, სოფიკო ნარჩემაშვილის თქმით, **"დეიკალო ითხოვს ივლისის გადასახადს. ჩვენ ივნისის თანხები დაფარული გვაქვს. როგორ შეიძლება, ინკასატორი მივიდეს ადამიანთან და უთხრას, წინასწარ გადაიხადე ივლისის გადასახადიო. რა ლოგიკაა, არ მესმის. ელემენტარულად, მოსახლეობამ წინასწარ როგორ უნდა გამოიანგარიშოს, რამდენ გაზს დახარჯავს თვის განმავლობაში".**

# სოლომონ პავლიაშვილმა არ იცის, ვის მიჰყიდა „ინფოკომი"


სოლომონ პავლიაშვილი


"ინფოკომის" თანამშრომლებმა ქონების მართვის სამინისტროსთან საპროტესტო აქცია მოაწყეს

გოგიტა ბუხაიძის ფოტოები

სოფო კვინტრაძე

"ინფოკომის" თანამშრომლებმა ქონების მართვის სამინისტროს წინ აქცია გამართეს. აქციის მონაწილეები სამინისტროს მიერ "ინფოკომის" გაყიდვას აპროტესტებდნენ.

ტენდერი "ინფოკომის" გაყიდვაზე, პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, 2001 წელს გამოცხადდა. კავშირგაბმულობის ობიექტი შპს "ინფოკომი", რომელიც საბანკო ოპერაციებს ახორციელებს და დეპეშებითა და ტელექსით მომსახურებას ეწევა, წამგებიან საწარმოთა ნუსხაში შეიტანეს და მისი გაყიდვა გამოაცხადეს. თუმცა, "ინფოკომის" გენერალური დირექტორის ომარ შამანაძის თქმით, მათი ორგანიზაცია მოგებაზე მუშაობს და შარშან მოგებამ 110 ათასი ლარი შეადგინა. გარდა ამისა, შამანაძის განცხადებით, "ინფოკომს" ბიუჯეტში ყოველწლიურად 400 ათასი ლარი შეაქვს.

ქონების მართვის სამინიტროს წინ შეკრებილი თანამშრომლები აცხადებენ, რომ სამინისტრომ "ინფოკომი" მიზერულ თანხად გაყიდა, ხოლო პრივატიზაციის ნაცვლად მოხდა ორგანიზაციის "პრიხვატიზაცია".

**"350 ათას დოლარად "ინფოკომის" გაყიდვა ნიშნავს მის გაჩუქებას. ეს არის სამი ათასი კვადრატული მეტრის ფართი რუსთაველის გამზირზე და ამას ემატება კიდევ ინვენტარი. მთლიანობაში, სასაცილოა ამ ყველაფრის ასე მცირე თანხად გაყიდვა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ კორუფციული ინტერესებია ჩადებული, თორემ როგორ შეიძლება სახელმწიფომ თავისი ქონება ასე გაანიავოს?** - აცხადებს "ინფოკომის" პროფკომიტეტის თავმჯდომარე ვენერა მახათაძე.

აქციის მონაწილეები ტენდერის შედეგების გაუქმებას მოითხოვენ. მათი პროტესტი გაამწვავა იმ ფაქტმაც, რომ ქონების მართვის სამინისტროში "ინფოკომის" ახალი ინვესტორის შესახებ ინფორმაციას თითქმის არ ფლობენ.

**"ერთადერთი, რაც ქონების მართვის მინისტრის მოადგილემ გენო მალაზონიამ გვითხრა, ის არის, რომ "ინფოკომი" კომპანია "ცენტრინვესტმა" იყიდა, რომელიც 2002 წლის იანვარშია დაფუძნებული. არავინ იცის, რა საქმიანობას ეწევა ეს კომპანია, რა საწესდებო კაპიტალი გააჩნია,** - აცხადებს "ინფოკომის" გენერალური დირექტორი ომარ შამანაძე.

ქონების მართვის მინისტრი სოლომონ პავლიაშვილი აქციის მონაწილეებს დახურულ კარს მიღმა შეხვდა. თუმცა, როგორც შეხვედრიდან გამოსული "ინფოკომის" თანამშრომლები აცხადებენ, მათი მოთხოვნა ტენდერის შედეგების გაუქმების თაობაზე არ შეცვლილა, ამიტომაც ისინი საქმის სასამართლოში შეტანას აპირებენ.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ სოლომონ პავლიაშვილმა ჟურნალისტებისთვის კომენტარი გააკეთა.

**"სიმართლე თუ გინდათ, "ინფოკომის" თანამშრომლებს არავინ ეკითხება პრივატიზაციის საკითხს. ხოლო რაც შეეხება თანხას, რაზეც მაგათ აქვთ პრეტენზია, უკვე ოთხი თვეა იციან, რომ ამ თანხად იყიდებოდა. საწყისი ფასი 700 ათასი დოლარი იყო, მაგრამ არ გამოჩნდა მყიდველი, მერე ეს თანხა განახევრდა. 350 ათასადაც რომ არ გაყიდულიყო, კიდევ განახევრდებოდა,** - განაცხადა სოლომონ პავლიაშვილმა.

მინისტრი არ ფლობს ინფორმაციას "ინფოკომის" ახალი ინვესტორის შესახებ, თუმცა აცხადებს, რომ "ცენტრინვესტის" მიერ შემოთავაზებული პირობები სავსებით დამაკმაყოფილებელია.

# პერსონალურ კომპიუტერთა რაოდენობამ მილიარდს გადააჭარბა

*გასული საუკუნის 70-იანი წლების შუა პერიოდიდან დღემდე, მსოფლიოს მასშტაბით, დაახლოებით, ერთი მილიარდი პერსონალური კომპიუტერი გამოვიდა. ასეთია კონსალტინგური ფირმა Gartner-ის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგები. ამ მანქანების 75 პროცენტი პროფესიონალური, ან სამუშაოსთან დაკავშირებული მიზნებისთვის იქნა გამოყენებული, დანარჩენი 25 პროცენტი კი – პირადი, ან საოჯახო მოხმარებისთვის. კომპიუტერების დაახლოებით 81.5 პროცენტი დესკტოპების სახით იქნა წარმოებული.*

თუმცა ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მომდევნო მილიარდს პერსონალური კომპიუტერები გაცილებით სწრაფად შეასრულებენ. მუდმივად შემცირებადი ფასები, Internet-ის ზრდა და განვითარებად ქვეყნებში კომპიუტერული ტექნიკის სწრაფი გავრცელება, 2007-2008 წლებისთვის პერსონალური კომპიუტერების ამჟამად არსებულ რაოდენობას გააორმაგებს.

"პერსონალურ კომპიუტერებზე ასეთ მოთხოვნას განაპირობებს მათი სერიოზული პოტენციალი ინტელექტუალური კაპიტალის მართვის, ადამიანების შესაძლებლობების გახსნისა და კომპანიების მოგებისკენ წაყვანის საქმეში," -- ნათქვამია Gartner-ის ანალიზში. "თუმცა ბაზრის გაფართოება მოითხოვს, არსებული პერსონალური კომპიუტერების ზომების დაპატარავებასა და გაიაფებას," -მიაჩნიათ Gartner-ში.

ამ აზრს გარკვეულწილად იზიარებს Intel-ის ადამიანთა და პრაქტიკული საქმიანობის კვლევების ჯგუფის ხელმძღვანელი ქრისტინ რაილიც. ამ ორგანიზაციაში გამოკვლევებს სოციალური სფეროს მეცნიერები, დიზაინერები და ანთროპოლოგები აწარმოებენ და სწავლობენ იმას, თუ როგორ ურთიერთობს ადამიანი მანქანებთან.

მაგალითად, ინდოეთში, რომელიც კომპიუტერებისთვის ერთ-ერთ უდიდეს ბაზრადაა მიჩნეული, მომხმარებლებს სურთ გაცილებით მკაცრი საზღვრის გავლება სამსახურსა და ოჯახურ ცხოვრებას შორის, აცხადებს რაილი და დასძენს, რომ ამის გამო პერსონალური კომპიუტერები მხოლოდ საოფისე ტექნიკად აღიქმება. მფლობელებს ისინი ჩაის ურიკებით გადააქვთ დასახლებული პუნქტებიდან უფრო მოშორებით.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ აშშ-ში ხელმომწერები გაცილებით ხშირად და უფრო ფართო მიზნებისთვის იყენებენ თავიანთ პერსონალურ კომპიუტერებს, ვიდრე dial-up ტიპისას. გარდა ამისა, Broadband-ის მომხმარებლები თავიანთ კომპიუტერს განიხილავენ, როგორც აუცილებელ სასარგებლო ნივთს.

პერსონალური კომპიუტერების მოხმარების გააქტიურებამ გამოიწვია სწრაფი მოდერნიზაცია და პერსონალურ, კომპიუტერების მფლობელთა რაოდენობის მატება.

მსოფლიოში წარმოებულ პერსონალურ კომპიუტერთა უმეტესობა განვითარებად ქვეყნებში წავიდა. აშშ-მა მათი 38.8 პროცენტი, ანუ 394 მილიონი მიიღო; დაახლოებით, 25 პროცენტი ევროპაში, მხოლოდ 11.7 პროცენტი წავიდა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, რომელიც ყველაზე სწრაფად განვითარებად ბაზრად მიიჩნევა.

დიზაინის მხრივ, პერსონალური კომპიუტერების უმრავლესობა დესკტოპების სახით იწარმოება. ნოუთბოქებზე მხოლოდ 16.4 პროცენტი, ხოლო სერვერებზე კი – 2.1 პროცენტი მოდის. მიუხედავად ამისა, მოსალოდნელია, რომ ეს ორი ბაზარი (ნოუთბუქების და სერვერების) მომავალში ყველაზე დიდი მოგების მომტანი იქნება მწარმოებლებისთვის.

მემილიარდე პერსონალური კომპიუტერი, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის აპრილში გაიყიდა.

*CNET News.com*

# სკანდალი უშიშროების საბჭოში: აშშ გაერო-ს სამშვიდობო მისიებს ბლოკავს

**გაერო-ს მისია საფრთხეში**

ბოსნიის სამშვიდობო მისიის გადასარჩენად გაერო-ს 72 საათი აქვს. აშშ-მ ვეტო დაადო მის გაგრძელებას იქამდე, სანამ ამერიკელი სამშვიდობოები ახლადაარსებული სისიხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოდან იმუნიტეტს მიიღებენ.

**სამშვიდობო ოპერაცია:** 1995 წლის დეიტონის შეთანხმების თანახმად

**გაერო-ს პოლიციის მომზადების მისია:** 1500 შეუიარაღებელი პოლიციელი (მათ შორის 46 ამერიკელი), რომელმაც 17000-იანი მრავალეთნიკური საპოლიციო ძალები უნდა მოამზადოს

**ნატო-ს მისია:** 18000 ჯარისკაცი (მათ შორს 3100 ამერიკელი), რომელთა მოვალეობაა საბრძოლო მოქმედებების შეჩერება და ბოსნიის აღდგენაში სამოქალაქოების დახმარება.




წყაროები: გაერო, ნატო © GRAPHIC NEWS




ამერიკელი მშვიდობისმყოფები

REUTERS

მსოფლიო ჟანდარმი მსოფლიო სასამართლოს წინააღმდეგ – დაახლოებით ასე აფასებდნენ ვითარებას დიპლომატები უშიშროების საბჭოში მას შემდეგ, რაც აშშ-მ ბოსნიაში გაერო-ს ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციის გაგრძელებას ვეტო დაადო.

გაერო-ს მსოფლიოს 15 სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, საქათველოშიც აქვს მისიები, რომელთაგან ზოგის ფუნქცია მხოლოდ კონფლიქტის მიმდინარეობაზე დაკვირვებაა, ზოგისა კი მშვიდობის დასამყარებლად ან შესანარჩუნებლად იძულებითი ღონისძიებების განხორციელება. ყოველ 6 თვეში ერთხელ, უშიშროების საბჭო განიხილავს მისიების საქმიანობის შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში აგრძელებს მათ. უშიშროების საბჭოში 5 დიდ ქვეყანას, მათ შორის, აშშ-ს, უფლება აქვს, ვეტო დაადოს ნებისმიერ გადაწყვეტილებას.

სწორედ ეს უფლება გამოიყენა აშშ-მ 30 ივნისს, როდესაც მან ვეტო დაადო უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას ბოსნია-ჰერცოგოვინაში გაეროს მისიის გაგრძელების შესახებ. მისიას მანდატი პირველ ივლისს ეწურებოდა. სრული ქაოსის თავიდან ასაცილებლად, მოგვიანებით უშიშროების საბჭო შეთანხმდა, მისიას 3 დღით გაუგრძელოს მანდატი. გაეროში ჯერაც იმედოვნებენ, რომ ამ სამ დღეში დიპლომატიური და სამართლებრივი მანევრების გამოყენებით შეძლებენ მისიის გადარჩენას.

ამჟამად, ბოსნიაში გაეროს ეგიდით ე.წ. ეს-ფორი, ანუ "სტაბილიზაციის ძალები" და საპოლიციო საწვრთნელი ცენტრი მოქმედებს. ეს-ფორს, რომელიც ნატო-სა და პარტნიორი ქვეყნების 18 ათასი ჯარისკაცისაგან შედგება და პასუხისმგებელია ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნებაზე, პრინციპში, გაერო-ს მანდატის გარეშეც შეუძლია არსებობა, რადგან იგი ნატო-ს ეგიდით მოქმედებს. თუმცა, გერმანიასა და ირლანდიას მათი კონსტიტუციები მხოლოდ გაერო-ს ეგიდით მიმდინარე ოპერაციებში აძლევენ მონაწილეობის მიღების უფლებას. რაც შეეხება საპოლიციო ტრეინინგის ცენტრს, რომელიც ბოსნიისთვის პოლიციას ამზადებს, იგი, ფაქტობრივად, განწირულია, თუ სამ დღეში ევროკავშირმა მისი საკუთარი კონტროლის ქვეშ აყვანა ვერ მოასწრო.

ბოსნიის მისია რომც გადარჩეს, აშშ აცხადებს, რომ სხვა სამშვიდობო მისიებსაც დაბლოკავს, სანამ არ მიიღებს გარანტიებს, რომ ამერიკელი მშვიდობისმყოფელები, ისევე როგორც სხვა ამერიკელი მოქალაქეები საზღვარგარეთ, ახლადშექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციისაგან დაცული იქნებიან. აღსანიშნავია, რომ უშიშროების საბჭოს სხვა ქვეყნებს არათუ არ მოუთხოვიათ მსგავსი იმუნიტეტი, არამედ, ბრიტანეთისა და საფრანგეთის წინამძღოლობით, აქტიურად უჭერდნენ მხარს ამ სასამართლოს შექმნას. სწორედ ბრიტანეთმა და საფრანგეთმა, გაერო-ს გენერალურ მდივან კოფი ანანთან ერთად, პირველებმა გააკრიტიკეს აშშ-ს ობსტრუქცია.

შეერთებული შტატები თავიდანვე წინააღმდეგი იყო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნისა, რადგან, როგორც აშშ-ს წარმომადგენელმა გაერო-ში ნეგროპონტემ განაცხადა, "ჩვენ განსაკუთრებული გლობალური პასუხისმგებლობა გვაკისრია, ამიტომ ბევრი სახელმწიფო ეცდება ჩვენს წინააღმდეგ პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო განხილვების წამოწყებას. ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ ამერიკის მოქალაქენი პასუხისმგებელნი იყვნენ იმ სასამართლოს წინაშე, რომლის იურისდიქციასაც ჩვენ არ ვცნობთ". რომის ხელშეკრულების თანახმად, ჰააგის სასამართლო უფლებამოსილი იქნება, გამოიძიოს 1 ივლისის შემდეგ (რაც იმას ნიშნავს, რომ ეს სასამართლო არძინბას ვერ გაასამართლებს) ჩადენილი გენოციდის, სამხედრო და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის ნებისმიერი ფაქტი, ვის მიერაც არ უნდა იყოს ჩადენილი იგი. სწორედ ეს დებულება იწვევს აშშ-ს განსაკუთრებულ შეშფოთებას. ამის გამო მოახდინა მან თავისი ხელმოწერის ანულირება და, ფაქტობრივად, უშიშროების საბჭოს შანტაჟს ახორციელებს. სხვათა შორის, ეს დებულება ძალზე შემაშფოთებელი უნდა იყოს ისრაელისთვისაც, რადგან იგი შესაძლებლობას ქმნის, ებრაელი სამხედროები და პოლიტიკოსები არაბებმა გაასამართლონ. საერთოდ, ეს სასამართლო, როგორც გაერო-ს სისტემაში შექმნილი საერთაშორისო ორგანო, სავარაუდოდ, გეოგრაფიული წარმომადგენლობის პრინციპით დაკომპლექტდება, რაც იმას ნიშნავს, რომ იქ მოსამართლეებისა და პროკურორების უმრავლესობა განვითარებადი ქვეყნებიდან იქნება. სასამართლოს მოწინააღმდეგეთა მტკიცებით, აფრიკელი მოსამართლე, სიტყვაზე, ისეთივე პროფესიონალი და მიუკერძოებელი იქნება, როგორც ეკვადორელი მსაჯი იტალია-კორეის მატჩზე.

მიუხედავად ამერიკელების წინააღმდეგობისა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ ფორმალურად უკვე დაიწყო მუშაობა, რადგან ქვეყნების საკმარისმა რაოდენობამ - 74-მა უკვე მოახდინა მისი რატიფიცირება. სულ ქარტიაზე 139 სახელმწიფოს აქვს ხელი მოწერილი. ამიერიდან ამ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე მომხდარი ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის დანაშაულები უკვე ახალი სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ ექცევა.

სამშვიდობო ძალების პერსონალის დაცვა, როგორც ჩანს, ამერიკელებისთვის მხოლოდ საბაბი იყო სასამართლოს ობსტრუქციისათვის. საფრანგეთმა და ინგლისმა მას რამდენიმე კომპრომისული წინადადება შესთავაზეს, მაგრამ აშშ-მ ყველა უარყო.

საერთოდ, აშშ-ს და, განსაკუთრებით, ბუშის ადმინისტრაციას ბევრი აკრიტიკებს იმის გამო, რომ ვაშინგტონი ბლოკავს საერთაშორისო რეჟიმების შექმნას. შეგახსენებთ, რომ აშშ-მ უარი თქვა კლიმატის ცვლილების კიოტოს პროტოკოლის, ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის, ბირთვული გამოცდების საყოველთაო აკრძალვის და სხვა უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებაზე.

## არაფატზე ზეწოლა იზრდება

შეერთებული შტატების ადმინისტრაცია უკვე ერთხმად მოითხოვს იასირ არაფატისაგან, რომ მან დატოვოს პალესტინის ადმინისტრაცის ხელმძღვანელის პოსტი და გზა გაუხსნას რეფორმებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, აშშ აღარ დაუჭერს მხარს დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნის იდეას და ადმინისტრაციას ფინანსურ და სხვა სახის დახმარებას შეუწყვეტს, - განაცხადეს კვირას საღამოს სატელევიზიო ტოკ-შოუებში კოლინ პაუელმა და კონდოლიზა რაისმა.

არიელ შარონმა, დიკ ჩეინისა და კონდოლიზა რაისთან ერთად, საბოლოოდ დაარწმუნა პრეზიდენტი ბუში, რომ არაფატის ხელისუფლებაში დარჩენის შემთხვევაში ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარება შეუძლებელი იქნება. ბუშმაც პალესტინისაგან არჩევნების ჩატარება და ახალი ლიდერების არჩევა მოითხოვა. არაფატმა, იმის დასამტკიცებლად, რომ იგი მზად არის ამერიკასთან თანამშრომლობისათვის, არჩევნების ჩატარებაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ დასძინა, რომ ოკუპაციის პირობებში ვერც ეს და ვერც ადმინისტრაციის რეფორმის გატარება ვერ მოხერხდება.

არაფატის ეს ნაბიჯი მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს დათმობად. ჯერ ერთი, არჩევნების ჩატარება მშვენიერი მიზეზია იმისათვის, რომ ისრაელის მხრიდან ოკუპაციის შეწყვეტა მოითხოვოს და ალბათ, ებრაელებიც იძულებულები იქნებიან, ამაზე დათანხმდნენ. მეორეც, ექსპერტები ერთხმად ირწმუნებიან, რომ არაფატი ამ არჩევნებს იოლად მოიგებს, რადგან, როგორც პალესტინის წარმომადგენელი გაერო-ში - ნასერ კიდვა აცხადებს, იგი პალესტინელი ხალხისათვის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბოლოდ იქცა. ამ შემთხვევაში არაფატი, რომელსაც ისრაელი ტერორისტების მთავარ დასაყრდენად მიიჩნევს, კიდევ უფრო განიმტკიცებს პალესტინაში საკუთარ პოზიციებს.

არადა, არაფატის სანაცვლოდ ამერიკა პალესტინელებს არცთუ ისე ბევრს სთავაზობს: დროებით სახელმწიფოს, გაურკვეველი საზღვრებითა და გაურკვეველი კომპეტენციებით. ამიტომაც, ბუშის ახალ გეგმას ბევრი დასაწყისიდანვე განწირულად მიიჩნევს, მით უმეტეს, რომ, ყველაფრის მიუხედავად, არაფატი არაბული სახელმწიფოების სრული მხარდაჭერით სარგებლობს.

## კაშაგანი: დიდი აღმოჩენა კასპიის ზღვაში

კაშაგანის საბადო 7-9 მილიარდ ბარელ ნავთობს შეიცავს, – განაცხადეს ყაზახეთის სახელმწიფო ნავთობკომპანიისა და კომპანია "აჯიპის" წარმომადგენლებმა. "აჯიპი" ორი წელი აწარმოებდა სადაზვერვო სამუშაოებს კასპიის ზღვის ყაზახეთის სექტორში, სადაც გეოლოგები დიდი ნავთობსაბადოს არსებობას ვარაუდობდნენ.

მათი ვარაუდი დადასტურდა. სტრუქტურაში ნავთობის საერთო მარაგმა, შესაძლოა, 38 მილიარდ ბარელს მიაღწიოს, – განაცხადა "აჯიპის" წარმომადგენელმა პიეტრო კავანამ.

გეოლოგები აგრძელებენ დაზვერვით სამუშაოებს მიმდებარე ოთხ სტრუქტურაში: კალამკასში, სამხრეთ-დასავლეთ კაშაგანში, აკტოტასა და კაირანში. წინასწარი შეფასებით, ოთხივე მათგანი პერსპექტიულადაა მიჩნეული.

კაშაგანის ათვისებას 7 მილიარდი დოლარის ინვესტიცია დასჭირდება. ამ მიზნით უკვე შეიქმნა კონსორციუმი, რომელშიც რამდენიმე უმსხვილესი ნავთობკომპანია შევიდა, მათ შორის: "ენი" (იტალია) "ბრიტიშ გაზი", "ექსონ-მობილი" (აშშ) "როიალ დაჩ შელი" (ჰოლანდია-ინგლისი) და "ტოტალფინაელფი" (საფრანგეთი), რომელთაგან თითოეულის წილი 16,66 პროცენტს შეადგენს. 8,3-8,3 პროცენტი ეკუთვნით "ფილიპს პეტროლიუმსა" (აშშ) და "ინპექსს" (იაპონია).

## ელცინი: მე სტაბილურობის გარანტი ვარ

ელცინის უკანასკნელი გამოჩენა ბელორუსში ყველასთვის ნამდვილი სიურპრიზი აღმოჩნდა. ისინი, ვინც ელცინის პოლიტიკურ კარიერას დასრულებულად მიიჩნევდნენ, გაოცებული დარჩნენ მისი განცხადებით, რომ იგი ყოველდღე მართავს შეხვედრებს მთავრობის წარმომადგენლებთან, მათ შორის, პუტინსა და კასიანოვთან და კვლავინდებურად სტაბილურობის გარანტია. ისინი, ვინც ელცინს გამოუსწორებელ ლოთად თვლიდნენ, გააოცათ იმ ფაქტმა, რომ რამდენიმე წელია, ელცინი საერთოდ აღარ სვამს, ხოლო ისინი ვინც ფიქრობდნენ, რომ ხუთი ინფარქტისა და გულის რამდენიმე ოპერაციის შემდეგ ელცინს ცალი ფეხი სამარეში ედგა, ყოფილი პრეზიდენტის შესანიშნავმა ჯანმრთელობამ გააკვირვა.

არავისთვის საიდუმლო არ არის ის, რომ ელცინის "ოჯახი" და მისი გუნდი (პრემიერი კასიანოვი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ვოლოშინი, "პროპაგანდის" მინისტრი ლესინი, ერთიანი ენერგოსისტემის შეფი ჩუბაისი) კვლავაც დიდი გავლენით სარგებლობს და რიგ შემთხვევებში პუტინის სანკტ-პეტერბურგის დაჯგუფებასაც სჯაბნის.

## "პარიზის პრინციპები" მართლაც არსებობს

სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ვარდან ოსკანიანმა განაცხადა, რომ "ყარაბაღის კონფლიქტის გადაჭრას პარიზისა და კიუესტის სამიტებზე შემუშავებულ პრინციპებზე დაყრდნობით შესაძლებლად მიიჩნევს". ეს პრინციპები კი სხვა არაფერია, თუ არა ტერიტორიების გაცვლა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, რომლის თანახმადაც აზერბაიჯანს მეგრის ოლქი გადაეცემა, რომელიც რესპუბლიკას ნახიჭევანთან დააკავშირებს, ხოლო მის სანაცვლოდ სომხეთი ლაჩინის დერეფანს მიიღებს. ეს ზოლი სომხეთს მთიან ყარაბაღთან აერთებს.

სულ რამდენიმე დღის წინ ოსკანიანი ამ პრინციპების არსებობას კატეგორიულად უარყოფდა და სომხეთისაგან რაიმე ტერიტორიის გასხვისებას აბსოლუტურად გამორიცხულად მიიჩნევდა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ, სომხეთის დელეგაციის პროტესტის მიუხედავად, მთიანი ყარაბაღის საკითხებში სპეციალური მომხსენებელი დანიშნა. მომხსენებლის პოსტი ბრიტანელმა ტერი დევისმა დაიკავა.

# ჰონკონგი: წარუმატებელი ექსპერიმენტი?

ლინა პანტელეევა

1997 წლის 1 ივნისს ბრიტანეთის ყოფილი კოლონიის, ჰონკონგის, ცენტრალურ მოედანზე ბრიტანეთის დროშა დაუშვეს და მის ადგილას ჩინეთის დროშა აღიმართა. ასე დაიწყო ბრიტანეთ-ჩინეთის პოლიტიკური ექსპერიმენტი და ახალი ეტაპი ჰონკონგის ისტორიაში. ჰონკონგს მინიჭებული აქვს ავტონომიის მაღალი დონე (ფორმულა "ერთი ქვეყანა ორი სისტემის" ფარგლებში), რომელზეც მხარეები 1997 წელს შეთანხმდნენ.

1984 წელს პეკინსა და ლონდონს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის თანახმად, ჰონკონგი დამოუკიდებლობისთვის უნდა მოემზადებინათ: ჩინეთისთვის გადაცემიდან 50 წლის მანძილზე ჰონკონგი შეინარჩუნებს განსაკუთრებულ პოლიტიკურ და სოციალურ სისტემას, ხოლო პეკინი მხოლოდ მის საგარეო პოლიტიკასა და თავდაცვას გააკონტროლებს. თუმცა, ჯერ მხოლოდ ხუთი წელი გავიდა, ჰონკონგელი აქტივისტები იმედგაცრუებულები არიან და მიიჩნევენ, რომ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის მხარდაჭერისათვის ხელსაყრელი მომენტი იქნა გაშვებული. მათი აზრით, ავტონომიური რეგიონის მმართველს, ტუნს, და მის მხარდამჭერ კონსერვატორებს, რომლებიც ჰონკონგის სუპერმდიდარ ელიტას წარმოადგენენ, ქვეყანა ავტოკრატული სისტემისკენ მიჰყავთ, რაც პეკინისთვის უფრო მისაღებია.

2002 წლის 1 ივლისს საკმაოდ მოკრძალებულად აღინიშნა ჩინეთის მმართველობაში ჰონკონგის ყოფნის ხუთი წელი, რადგან, როგორც მიიჩნევს მოსახლეობის უმრავლესობა და ოპოზიცია – საზეიმოდ არა აქვთ საქმე. გაიმართა საპროტესტო გამოსვლები, მაგრამ საკმაოდ მცირე მასშტაბის, რადგან ხელისუფლებამ ამისთვის სათანადო ზომები მიიღო: ჰონკონგში არ შეუშვეს ანტისამთავრობო ძალების აქტიური წარმომადგენლები, მობილიზებულ იქნა პოლიცია. 5 წლის თავზე ჰონკონგი დანაპირები წინსვლის მაგივრად ეკონომიკურ სიძნელეებსა და პოლიტიკურ უკუსვლას განიცდის. თუ 1997 წელს ჰონკონგელთა 62% ოპტიმისტურად იყო განწყობილი ქვეყნის მომავლის საკითხთან დაკავშირებით, 2002 წელს მათი რიცხვი 26%-მდე შემცირდა.



ჰონკონგი

REUTERS

1997 წლის ფინანსურმა კრიზისმა დიდი ზარალი მიაყენა ჰონკონგის ეკონომიკას და მას შემდეგ ვითარება უარესდება – უმუშევრობამ 7,4%-იან ზღვარს მიაღწია, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 1%-ს არ აღემატება, განახევრდა ფასები უძრავ ქონებაზე და სხვ. ჰონკონგში საგრძნობლად გაიზარდა ეკონომიკური მოტივით თვითმკვლელობათა რიცხვი.

ჰონკონგის ეკონომიკური პრობლემები პეკინის პოლიტიკური გავლენის შედეგი ნაკლებად არის – ჰონკონგის, როგორც სავაჭრო ცენტრის, როლის დაკნინებაზე გავლენას უფრო ახდენს ჩინეთის, გლობალური ეკონომიკური გიგანტის, აღმოცენება. ჩინეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებამ და საერთაშორისო ვაჭრობისთვის კარის ფართოდ გახსნამ ჰონკონგის, როგორც ისტორიულად დომინანტი კომერციული ცენტრის, მნიშვნელობა შეამცირა. დღეს ჰონკონგს კონკურენციას უწევს შანხაი. გარდა ამისა, ჰონკონგი შუამავლის როლს ასრულებდა ჩინეთსა და ტაივანს შორის 10 მლრდ. დოლარიან ვაჭრობაში. როგორც ჩანს, ჰონკონგი ამ ფუნქციას მალე დაკარგავს, რადგან პეკინი და ტაიპეი პირდაპირი კავშირების დამყარებას ცდილობენ.

ეკონომიკურ პრობლემებზე უფრო მწვავედ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვისა და პოლიტიკური რეჟიმის საკითხები დგას. ჰონკონგის ავტონომიური რეგიონის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური ტუნ ჩიჰვაა. 1 ივლისს ქვეყნის ჩინეთის მმართველობაში გადასვლის 5 წლისთავი და ტუნის მმართველობის მეორე ვადის დასაწყისი აღინიშნა. ტუნის ოპონენტები აცხადებენ, რომ იგი ჰონკონგის 6.7-მილიონიან მოსახლეობაში პოპულარობით არ სარგებლობს. თუმცა მოსახლეობას თავისი ნების გამოხატვის საშუალება არა აქვს, რადგან მმართველს ხალხი არ ირჩევს. იგი 800-წევრიანი კომიტეტის მიერ ინიშნება, რომელშიც პროპეკინური კურსის წარმომადგენლები ჭარბობენ. პროდემოკრატიული მოძრაობის აქტივისტი, საკანონმდებლო საბჭოს ერთ-ერთი წევრი აცხადებს: "ხუთი წლის განმავლობაში ტუნი იგნორირებას უკეთებდა პოლიტიკურ რეფორმებზე საჯარო კონსულტაციების გატარების ყველა მოთხოვნას. არსებულ სისტემაში პოლიტიკური ძალაუფლება მდიდრებისა და იმათ ხელშია თავმოყრილი, ვინც პეკინთან კავშირშია".

რამდენიმე ხნის წინათ ტუნმა ახალი "ანგარიშვალდებულების სისტემა" შესთავაზა საკანონმდებლო საბჭოს, რომლის მეშვეობითაც მინისტრების საქმიანობის კონტროლი უფრო ადვილი ხდება. თუმცა, კრიტკოსები მიიჩნევენ, რომ ახალი სისტემის ამოქმედებით არაფერი იცვლება, რადგან მინისტრები პრეზიდენტის წინაშე არიან ანგარიშვალდებულნი და არა საზოგადოების, ან საკანონმდებლო ორგანოს წინაშე.

გარდა ამისა, ჰონკონგში ბოლო პერიოდის განმავლობაში აშკარა რეგრესი შეიმჩნევა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის სფეროში. ამაზე მიუთითებს სულ ერთი კვირის წინ მომხდარი შემთხვევა – ჰონკონგის საიმიგრაციო სამსახურის წარმომადგენლებმა ქვეყანაში არ შეუშვეს ჩინური წარმოშობის ამერიკელი ადამიანების უფლებების ცნობილი დამცველი ჰარი ვუ. ასეთი შემთხვევები საკმაოდ ხშირია. გარდა ამისა, აეროპორტიდანვე მოხდა "ფალუნ გონგის" (მოძრაობის, რომელიც ჩინეთში აკრძალულია, რადგან "ბოროტ კულტად" არის მიჩნეული) 100 წევრის დეპორტაცია. ისინი ჰონკონგში საპროტესტო აქციებში მონაწილეობის მიღებას აპირებდნენ. ოპოზიციური ჯგუფები აცხადებენ, რომ ჩინეთის მთავრობამ ჰონკონგის ტერიტორიაზე იმ პირების შესვლა შეზღუდა, რომლებიც ანტისამთავრობო განწყობილებაში არიან ეჭვმიტანილი.

ამგვარად, ჩინეთის მმართველობაში გადასვლის შედეგები ჰონკონგისთვის არც თუ ისე სახარბიელოა. იმისდამიუხედავად, რომ ჩინეთის პრეზიდენტი ძიან ძემინი ჯიუტად აცხადებს, რომ ფორმულამ "ერთი ქვეყანა, ორი სისტემა" იმუშავა, სინამდვილე საპირისპიროს გვიჩვენებს. იქნება თუ არა ექსპერიმენტის მომავალი ისეთივე არასახარბიელო, როგორიც მისი სინამდვილეა?

## რუსული ჟესტი, ანუ დაუჯერებელი ამბავი

თამარ მაისურაძე

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ბოლო დღეებში გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთი ქართველების ბედით დაინტერესებულა. თითქოს მათ, ვინც მეორე მსოფლიო ომის ინვალიდებად იწოდებიან და მათაც, ვისაც, სულ ცოტა, 5 წელი რუსეთში უმუშავია, რუსეთის ხელისუფლება პენსიით უზრუნველყოფსო. ინფორმაციის მიხედვით, ჩვენს მოხუცებს 45 დოლარის ოდენობის პენსია დაენიშნებათ. საინტერესოა, ეს ჰუმანური ჟესტია თუ ამის უკან რაიმე პოლიტიკური დაინტერესება იმალება?

საპენსიო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ **ზაზა სოფრომაძემ** ეს ინფორმაცია ჩვენგან გაიგო. **"ოფიციალურ დონეზე მსგავსი რამ არ მსმენია. შეიძლება ჩვენს მთავრობაში ფლობენ ამ ინფორმაციას,** – გვითხრა მან და დაუმატა, **- რუსეთში საპენსიო სისტემა რეფორმის პროცესშია. იმ სუფთა სადაზღვევო პრინციპებით, რაც იქ მუშაობს, ამ ხალხს პენსიას ვერ მისცემენ."**

საერთოდ, ყველა ქვეყანა პენსიით თავის მოქალაქეს თვითონ უზრუნველყოფს. გამონაკლის შემთხვევაში როგორ იქნება ქართველების საქმე - მიიღებენ თუ არა პარალელურად რუსულ და ქართულ პენსიას, ვერ გეტყვით. ამაზე ვერც ზაზა სოფრომაძემ გვიპასუხა. **"დეტალებზე ჯერჯერობით ძნელია საუბარი, რადგან ყველაფერი იდეის დონეზე რჩება. თუმცა, არის ერთი პრობლემაც: ჩვენ რა ვიცით, რამდენი ადამიანი მუშაობდა რუსეთში. ამ ინფორმაციის მოპოვებას დრო და ფინანსები სჭირდება. ეს კი ჩვენი პრობლემა არ არის, იმათ მოაგვარონ,"** – ამბობს იგი.

რაც შეეხება მთავრობას, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის **თამაზ გიორგაძის** თქმით, **"მსგავსი საკითხი ადრეც დაუსვამთ რუსეთის დუმაში, თუმცა, სასესიო მოსმენაზე არ გაუტანიათ, რადგან რუსებს უარი უთქვამთ საქართველოს მოქალაქეების პენსიით უზრუნველყოფაზე."**

და მაინც, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის დუმა მოწყალებას გაიღებს და ჩვენს პენსიონერებს რუსულ პენსიას დაუნიშნავს, თამაზ გიორგაძე თვლის, რომ ამ ფაქტით ჩვენი პარლამენტი კმაყოფილი დარჩება. რაც შეეხება პოლიტიკურ შეფასებას, იგი თავს იკავებს, თუმცა, ამბობს, რომ ეს დადებით შედეგს არ მოიტანს.

## თბილისის ქუჩების აღდგენას 40 მილიონი ლარი სჭირდება

ქეთი ქადაგიშვილი

გასული წლიდან დღემდე დედაქალაქში სულ 21 ქუჩა შეკეთდა. შეკეთდა ხაზოვანისა და ზუბალაშვილების ქუჩები, კაპიტალური რემონტი გაუკეთდა წერეთლის გამზირს. ამჟამად კი აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს ნუცუბიძის მესამე მიკრორაიონში მე-16ე კორპუსთან მისასვლელ ქუჩაზე. უახლოეს მომავალში ქალაქის კეთილმოწყობის სამმართველო ჩოდრიშვილის ქუჩაზე ტრამვაის ხაზის აღებასა და იქ ორკილომეტრიანი გზის გაკეთებასაც გეგმავს. თუმცა, ჩასატარებელ სამუშაოებთან შედარებით, ეს ზღვაში წვეთია. კეთილმოწყობის სამმართველოს მთავარი ინჟინრის მერაბ შავლაძის თქმით, თბილისის ქუჩების 80 პროცენტი მთლიანად შესაკეთებელია. მათ აღდგენას, სულ ცოტა, 40 მილიონი ლარი სჭირდება.

სამმართველო, ძირითადად, მსოფლიო ბანკის თანხების იმედად არის. შარშან თბილისის ქუჩების კეთილმოწყობისთვის ქალაქის ბიუჯეტიდან 2 მილიონ 400 ათასი ლარი გამოიყო, ხოლო მსოფლიო ბანკმა 10 მილიონ 300 ათასი ლარით დააფინანსა. წლეულს კი ქუჩების შესაკეთებლად ქალაქის ბიუჯეტში 4 მილიონ 400 ათასი ლარია გათვალისწინებული. **"მდგომარეობას მთლიანად მოშლილი საკომუნიკაციო სისტემაც ართულებს, მისი შეკეთების გარეშე ქუჩას ვერ აღვადგენთ. ამიტომ თითოეული ქუჩის შეკეთებას საკმაოდ სოლიდური თანხა სჭირდება. წელსაც მსოფლიო ბანკის დახმარების იმედი გვაქვს. თუ ბანკმა არ დაგვაფინანსა, ქალაქის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით ვერფერს გავხდებით,"** - ამბობს შავლაძე.

## ფასიან სკოლებში სწავლების მსურველთა რაოდენობა იზრდება

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოში გიმნაზიების რიცხვი, ბოლო ათწლეულში, ორჯერ გაიზარდა.

გიმნაზიების შინაარსიდან და მათი სწავლების ფორმიდან გამომდინარე მათში აღრიცხულ მოსწავლეთა კონტინგენტიც მზარდი ტენდენციით ხასიათდება: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობს 716.700 მოსწავლე, მათ შორის 12.100 ფასიან სკოლებში ეუფლება სწავლა-განათლებას.

1997-98 სასწავლო წელთან შედარებით, საუკუნის დასაწყისში ფასიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 18.5 პროცენტით მეტი მოსწავლე სწავლობს.

მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდა ქვეყნის საშუალო პროფესიულ სასწავლებლებში. 2000-2001 სასწავლო წელს პროფტექნიკუმებში 32.500 მოსწავლე სწავლობდა, რაც 24 პროცენტით ნაკლებია 1990 წელთან შედარებით.

მოსწავლეთა კონტინგენტის შემცირებისა და ინჟინერ-პედაგოგიურ მუშაკთა სოციალური დაუცველობის გამო, დიდია სასწავლებლებიდან მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა დენადობის მაჩვენებელი.

## გალის სკოლებს ქართული სახელმძღვანელოებით სექტემბრამდე მოამარაგებენ

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ვახტანგ ყოლბაიამ, რამდენიმე კვირის წინ, თხოვნით მიმართა განათლების მინისტრს ალექსანდრე კარტოზიას გალის რაიონის ქართული სკოლებისთვის გამოეყო სახელმძღვანელოები. ამასთან დაკავშირებით, ვახტანგ ყოლბაიამ მიიღო საპასუხო წერილი, სადაც ალექსანდრე კარტოზია განათლების სამინისტროსთან არსებულ შპს „სასკოლო ბიბლიოკოლექტორს" ავალებს, საკუთარი საწესდებო ფონდიდან გამოყოს თანხები გალის რაიონის რამდენიმე სკოლის სახელმძღვანელოებისთვის. ამისთვის დაახლოებით 1.000 ლარია საჭირო.

კარტოზიას მითითებით, გალის რაიონის რამდენიმე სკოლა არა მარტო სახელმძღვანელოებით, არამედ მხატვრული ლიტერატურითა და მეთოდური სახელმძღვანელოებითაც მომარაგდება. რაც შეეხება დანარჩენ სკოლებს, მათი წიგნებით მომარაგების საკითხს, ალექსანდრე კარტოზიას განკარგულებით, განათლების სამინისტროს სხვა უწყებები მოაგვარებენ.

გალის რაიონის ძველ საზღვრებში 38 ქართული სკოლა იყო, თუმცა მათგან - 35 ამჟამად რუსულ-აფხაზურია. ოფიციალური სოხუმი გალის რაიონის ახალი საზღვრების შესაბამისად მიიჩნევს, რომ მთლიანად გალის რაიონში 22 სკოლაა.

დღემდე გალის რაიონის ქვედა ზონის სამ სკოლაში თვითნებურად მიმდინარეობს ქართულად სწავლება, რომლებიც ხშირად ოფიციალური სოხუმის რევიზიის მსხვერპლნი ხდებიან.

ეუთოს 2001 წლის დასკვნაში ნათქვამია, რომ გალის რაიონში სეპარატისტთა მიერ ქართულად სწავლების აკრძალვა ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევაა. (*მედია-ნიუსი*).

## ტელე-რადიომაუწყებლობის რეფორმა საქართველოში

სამხრეთ კავკასიაში დემოკრატიული სტაბილურობის განმტკიცების მიზნით, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა მეორე გენერალური დირექტორატის მედიის განყოფილება, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელშეწყობით, 5 ივლისს გეგმავს სამუშაო შეკრებას თემაზე: „მაუწყებლობის რეფორმა საქართველოში".

შეხვედრაზე განიხილავენ მაუწყებლობის სფეროში არსებულ მდგომარეობას და მის სამომავლო რეფორმას, საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციის ტრანსფორმაციას დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ორგანიზაციად, ქვეყანაში სამაუწყებლო სექტორის რეგულირებას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

სამუშაო შეკრებაში მონაწილეობას მიიღებენ დიდი ბრიტანეთის კულტურის, მედიისა და სპორტის დეპარტამენტის საერთაშორისო მაუწყებლობის ხელმძღვანელი ქეროლინ მორისონი, ავსტრიის ფედერალური კანცელარიის მედიის განყოფილების ხელმძღვანელი მათის თრაიმერი და ევროპის საბჭოს მედიის განყოფილების წარმომადგენელი მარიო ოთაიმერი.

ღონისძიების საორგანიზაციო საკითხებს ხელმძღვანელობს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი ნანა ავალიანი.

## მუხრან მდივანი ესაუბრა, ზოდელავამ დაუბარა

თამარ მაისურაძე



ქალაქის მერიის წინ შეკრებილი ხალხის დანახვა დღეს აღარავის უკვირს. გუშინ მერიის წინ ერთდროულად ორი აქცია მიმდინარეობდა. მარცხნივ მიწისძვრით დაზარალებულები იდგნენ და თავიანთ პრობლემებზე სასაუბროდ ქალაქის მერს ან ვინმე სხვას ელოდნენ. მარჯვნივ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაღუპულთა მშობლებს, ცოლებს და შვილებს მოეყარათ თავი. ესენიც მერს ელოდნენ.

**"ერთი აქეთ გვიკრავს თავს, მეორე - იქით. მერიამ ჩვენი საკითხი ისე გადაწყვიტა, როგორც ცხვრის ფარის. ჩვენთვის არაფერი უკითხავს",**– გვითხრა მიწისძვრის შედეგად დაზარალებულმა ნანა ჭკუასელმა, რომელიც ფიქრობს, რომ, თუ ახლავე არ მიაქცევენ ყურადღებას, ზამთრის გატარებაც ქუჩაში მოუწევს.

მიწისძვრით დაზარალებულები ქალაქის მერს რამდენიმე დღის წინ მერიასთან დახვედრიან. როგორც თავად გვითხრეს, **"ეს ფული, ასი წელი, თქვენი იქნებაო,"** უთქვამს ზოდელავას და დაუბარებია, **"მობრძანდით, მიღებაზე ჩაეწერეთო". "მოვედით და გამოკრულია განცხადება, მიწისძვრით დაზარალებულები არ მიიღებიანო,"** – ამბობდა თამუნა მამულაშვილი, რომელიც დაზარალებულთათვის განკუთვნილ 3-წლიან ხელშეკრულებას აბსურდულს უწოდებს და ამბობს, რომ ყველა მუხლი კოდირებულია. **მიწისძვრით** დაზარალებულები არ ხუმრობენ. **"თბილისში დაზიანებული 20 ათასი ბინაა. ყურადღება მოგვაქციონ. თორემ, ყველა მივადგებით რუსეთის საელჩოს. პოლიტიკოსების საყურადღებოდაც ვამბობთ - ვისაც ამ მთავრობის გადაგდება უნდა, 20 ათასი ოჯახი გვერდში გვიგულონ."** ასეთი მუქარით დასრულდა მიწისძვრით დაზარალებულთა გუშინდელი აქცია. მერიიდან არც მათთან ჩამოსულა ვინმე და არც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაღუპულთა ჭირისუფლებთან. ეს უკანასკნელნი ქალაქის მთავრობისგან ერთჯერად დახმარებას ითხოვდნენ. **"ჩვენთვის არავის არასდროს ხელი არ გამოუწვდია. ჩვენ, შვილდაკარგულ, გაუბედურებულ დედებს და ომში დაღუპულთა შვილებს არაფერი გვეკუთვნის? შვილო, ისეთ დღეში ვიყავი, ქუჩაში გადაგდებულ პურს ვიღებდი და ბავშვს ვაჭმევდი, არ ვიცი, დამიჯერებთ თუ არა, მაგრამ, გეფიცებით, ასე იყო,"** – გვითხრა ერთმა შავოსანმა დედამ. მიწისძვრით დაზარალებულთა ჯგუფისგან განსხვავებით, მეორე აქციის რამდენიმე მონაწილეს ვიცე-პრემიერთან მუხრან მდივანთან საუბრის პატივი ერგო. **"მუხრან მდივანი გველაპარაკა. ბიუჯეტიდან თქვენთვის გასაცემი თანხები არ გვაქვს, იქნებ თქვენი რაიონების გამგეობები დაგეხმაროთო,"** – ასეთი პასუხით გამოუსტუმრებია ვიცე-პრემიერს ისინი.

მერიაში, ვერც ერთ, ვერც მეორე აქციებთან დაკავშირებით კომენტარი ვერ მივიღეთ. როგორც გვითხრეს, პასუხის გამცემი არავინ იყო - გაზის პრობლემით არიან დაკავებულნი, ამათთვის არ სცალიათო.

## ჯანდაცვის რეფორმა

### ავთანდილ ჯორბენაძის წარმატებული და წარუმატებელი სავიზიტო ბარათი

მაკა ჯაიანი

ჯანდაცვის ყოფილი, დღევანდელი სახელმწიფო მინისტრი და "მოქალაქეთა კავშირის" ახალი თავმჯდომარე - მხოლოდ ეს შეიძლება თქვას ავთანდილ ჯორბენაძეზე მან, ვინც უკანასკნელი წლების საქართველოს სოციალური პოლიტიკით არ დაინტერესებულა. დანარჩენებისთვის ავთანდილ ჯორბენაძეს, ადამიანს, რომლის ხელშიც მიზანმიმართულად იყრის თავს სახელისუფლო ბერკეტები, ორი სახე აქვს. სახე წარმატებული ფუნქციონერის, ჯანდაცვის მსოფლიო თუ ევროსტრუქტურები ჯანმრთელობის რეფორმის მისეული ხედვით რომ აღაფრთოვანა და სახე წარუმატებელი მინისტრის, რომლის მიერ განხორციელებულმა ჯანმრთელობის რეფორმამ ადამიანებს სამუდამოდ დაავიწყა გზა სტაციონარებისკენ.

კუთხურობა ნამდვილად არ არის ერთადერთი ასპექტი, რომლითაც ავთანდილ ჯორბენაძე ედუარდ შევარდნაძეს ჰგავს. "მოქალაქეთა კავშირის" საპატიო თავმჯდომარის მსგავსად, კავშირის ახალი თავმჯდომარეც მიღებული და დაფასებული აღმოჩნდა საერთაშორისო საზოგადოებისთვის. რა თქმა უნდა, თავის მასშტაბებში. მაგალითად, ამ ორი წლის წინათ კოპენჰაგენში შეკრებილმა საერთაშორისო ექსპერტებმა აღტაცება ვერ დამალეს, როდესაც ჩვენმა დელეგაციამ მათ "საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული პოლიტიკა" და "საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის განვითარების სტრატეგიული გეგმა" წარუდგინა. ბელგიელებს ისიც უთქვამთ, ჩვენ რომ ასეთი დოკუმენტი გვქონდეს, რაღა გვიჭირდაო.

ამ აღიარებას, ისევე როგორც ჩვენი პრეზიდენტის საერთაშორისო მიღწევებს, სამშობლოში მოსახლეობის სკეფსისი და გაღიზიანება ხვდებოდა. სოციალური პრობლემით დატვირთული ქართველებისთვის მნიშვნელოვანი აღარ იყო ხელისუფლების რესპექტაბელობა. ისინი სიამოვნებით გაცვლიდნენ საერთაშორისო მასშტაბის გრანდებს რიგით პოლიტიკოსებზე, ოღონდ კი ცხოვრებაში შვება ეგრძნოთ. რეალობა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა იმისგან, რაც ქაღალდზე ეწერა. რეალობა იყო უშუქობა, უხელფასობა, უსამართლობა, განუკითხაობა და ამ ფონზე აზრს კარგავდა ყველაფერი, რაც ქვეყნის გარეთ, თუნდაც, ამ ქვეყნის სახელით კეთდებოდა. ადამიანებს საკუთარი თავი გასჭირვებოდათ.

რეფორმები საქართველოსთვის აუცილებელი იყო. ერთიანი საბჭოთა სივრცის დანგრევა ქვეყანაში მოქმედი ყველა სისტემის დანგრევას ნიშნავდა. დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, ღირდა თუ არა სოციალისტური წყობის ქვეყანაში, სადაზღვევო ბაზრის განვითარების გარეშე, კაპიტალისტური ელემენტების შემოტანა. ფაქტია, ეს სწორედ ასე მოხდა. რეფორმამ ჯანმრთელობის სფეროში ბიუჯეტი ზედმეტი დანახარჯებისგან გაათავისუფლა, საზოგადოებას კი, ერთის მხრივ ექიმებს, მეორეს მხრივ - მათ პაციენტებს, მოქმედების სრული თავისუფლება მიანიჭა, მოტივით: ბაზარი ყველაფერს დაარეგულირებს. ნორმალურ ქვეყანაში ასეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ქართული სინამდვილე სხვაა.

ორ წელიწადში საქართველოს ჯანმრთელობის რეფორმას ათი წელი უსრულდება. არ ვიცი, რას იტყვიან ყველაზე ხანდაზმული ქართული რეფორმის ათი წლისთავზე საერთაშორისო ექსპერტები, მაგრამ მათ დღევანდელ შეფასებებში კმაყოფილება ნაკლებად იგრძნობა. გაერთიანებული ერების განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებულ ჰუმანური განვითარების 2001-2002 წლების ანგარიშში ნათლად წერია, რომ: საქართველოში "ავადმყოფობას, შესაძლოა, მოჰყვეს ოჯახის ვალში ჩავარდნა და სიღარიბე"; "საქართველოს მოსახლეობის ძირითად ნაწილს ხელი არ მიუწვდება ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე"; "ადამიანები აუცილებლობის შემთხვევაშიც კი არ მიმართავენ ექიმს, რადგან ვიზიტის საფასურის გადახდა არ შეუძლიათ".

ბუნებრივია, საუბარი ეხება შეზღუდული შემოსავლების მქონე მოქალაქეებს. საქართველოში კი მოსახლეობის უმრავლესობა ასეთია. მათი 21 პროცენტი ექიმთან მისვლას ახერხებს, მაგრამ მკურნალობას - ვერა, წამლის შეძენა არ შეუძლია. ძვირი წამლები და ძვირი სამედიცინო მომსახურება ჩვენი ჯანდაცვის ლიბერალური რეფორმის დამსახურებაა. წესით, რეფორმამ, ჯანმრთელობისა იქნება თუ სხვა სფეროსი, მოსახლეობის უმრავლესობის მდგომარეობა უნდა გააუმჯობესოს. "ანგარიში" კი სხვას გვეუბნება: "მიუხედავად ჯანმრთელობის დაცვის სფეროში რამდენიმე წლის განმავლობაში ჩატარებული რეფორმებისა, სამედიცინო მომსახურება დღემდე ხელმიუწვდენელია მათთვის, ვინც ამ საჭიროების წინაშე დგას."

კიდევ ერთი დამსახურება, რომელსაც ჯანმრთელობის რეფორმას ვერ დაუკარგავ. საქართველოში არიან ბავშვები, რომელთაც ექიმი არ უნახავთ. საზოგადოებას ამის შესახებაც საერთაშორისო ორგანიზაციებმა ამცნეს. გასულ წელს გაეროს ბავშვთა ფონდისა და ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული ექიმთა მობილური ბრიგადები საქართველოს მთიან რაიონებში ავიდნენ. სწორედ იქ აღრიცხეს მათ 4000-მდე ბავშვი, რომელსაც იქამდე არავითარი აცრა არ ჩატარებოდა და ექიმი თვალით არ ენახა. მსგავს ფაქტებს წააწყდნენ დიაბეტიან ბავშვთა სწავლების პროგრამის წარმომადგენლებიც. მათ აღრიცხეს 500-მდე ბავშვი, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა იქამდე არც ერთ ექიმს არ დაეფიქსირებინა.

ასეთი გახლავთ ჯანმრთელობის ქართული რეფორმის შუქ-ჩრდილები, რეფორმისა, რომლის ნაკლოვანებების გასამართლებლად ყოველთვის ქვეყნის ფინანსურ დეფიციტსა და ბიუჯეტის ქრონიკულ სეკვესტრირებაზე აკეთებენ აპელირებას; იმავე ნაკლოვანებების ხაზგასასმელად კი იხსენებენ იმ მილიონობით დოლარს, რომელიც მსოფლიო ბანკმა ჯანმრთელობის სფეროს რეფორმირებისთვის გამოუყო საქართველოს. ასეა თუ ისე, ქვეყნის საზღვრებს გარეთ ნაქები, შიგნით კი ნაგინები ეს რეფორმა გახლავთ ის საქმე, რომელიც "მოქალაქეთა კავშირის" ახალმა თავმჯდომარემ, სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში, ჯანდაცვის მინისტრის პოსტზე ყოფნისას აკეთა.

## ქართველმა პროფესორმა ობეზიანნიკში საკუთარი თვალით იხილა პირველი რუსეთი

რუსიკო ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

მოსკოვში რომ დრაკონული სარეგისტრაციო რეჟიმი მოქმედებს, სიახლეს არ წარმოადგენს. ამ კანონის დამრღვევ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს მოსკოვური მილიცია მკაცრად ექცევა. განსაკუთრებული ბოროტი სიხარულით აკავებენ საქართველოს მოქალაქეებს, და არც ეს არ არის სიახლე – მეტროებში, ქუჩებში, ავტორეიდების დროს დაკავებულ ქართველებს ნიშნისმოგებით უკითხავენ ლექციას სავიზო რეჟიმის კანონებზე, საქართველო-რუსეთს შორის სავიზო რეჟიმის შემოღების ისტორიაზე ...და მიდის გაუთავებელი დავა დაკავებულსა და მილიციონერს შორის იმაზე, თუ ვინ იყო პირველი. ასეთი დებატები ურჩი მოქალაქის გაჩხრეკით და, მილიციაში მიტინგის გამართვისათვის, ფულადი ჯარიმით მთავრდება.

ასეთ სიურპრიზებს თითქმის ყოველდღე აქვს ადგილი მოსკოვში, სადაც ოფიციალურად 700 ათასი ქართველია რეგისტრირებული და ერთი ამდენი არალეგალურად სტუმრობს ან ცხოვრობს. ასე რომ, რუსეთის საემიგრაციო სამსახურსა და ლუჟკოვის კანონით გულმიცემულ მილიციას მოქმედების სრული თავისუფლება აქვს.

მოსკოვში ჩამოსული ყველა ჩვენი თანამემამულე ვალდებულია სამი დღის ვადაში გაიაროს რეგისტრაცია, რისთვისაც საცხოვრებელი ადგილის ვიზების სამმართველოში უნდა გამოცხადდეს და დროებით ჩაეწეროს, ვისთანაც სტუმრობს. თუკი მოსკოვში ჩამოსული ქართველი სასტუმროში ჩერდება, სასტუმრო ვალდებულია, ვიზაში ჩარტყმული სპეციალური ბეჭდით დაადასტუროს, რომ ესა თუ ის მოქალაქე მათთანაა გაჩერებული.

საკონსულო მომსახურების დროს მოსკოვში რეგისტრაციის წესებზე სათანადო ინფორმაციის გაუცემლობაა, ალბათ, იმის მიზეზი, რომ სავიზო რეჟიმისა და რეგისტრაციის წესების დამრღვევთ კურდღლებივით იჭერენ, ენით აუწერელ შეურაცხყოფას აყენებენ, ამცირებენ და გამთენიისას ჯიბეცარიელებს ქუჩაში უშვებენ.

სწორედ ზოგიერთი ჩინოვნიკისა და ადმინისტრატორის წყალობით, არასასიამოვნო სიტუაციაში მოხვედრილ სავიზო რეჟიმის წესების დამრღვევი, ვითარების გარკვევამდე, მილიციას ობეზიანნიკში მიჰყავს. თუ დაკავება ღამის საათებში მოხდა,დაკავებული რკინის გისოსებს მიღმა გათენებას ელოდება. ხშირად არის შემთხვევა, როცა მოსკოველი სამართალდამცველები წესრიგის დამრღვევს ელემენტარულად "ატყავებენ", თუ მას პატრონი არ გამოუჩნდა.

დაახლოებით ასეთი უსიამოვნო ინციდენტი შეემთხვა მოსკოვში ერთ ცნობილ ქართველ მეცნიერს, რომელიც სარეგისტრაციო "ტონკოსტებში" არავინ გაარკვია და, საბედისწეროდ, მოხდა ისე, რომ საქართველოს საელჩოსთან არსებულ სასტუმროში გაფორმებისას რეგისტრაციის ბეჭედი არავინ ჩაურტყა. სასტუმროს ადმინისტრაცია ამ ფაქტს სიჩქარით ხსნის. ამ ადმინისტრაციული ლაფსუსის გამო კი, ქუჩაში გასული მეცნიერი უმალ მილიციონერების ხელში აღმოჩნდა.

როგორც უკვე ითქვა, მოსკოვური მილიცია შესაშური ენთუზიაზმით მუშაობს "კავკასიურ კონტინგენტზე". რადგანაც ამ სამწუხარო რეალობას ვერსად გავექცევით, იქნებ იმან, ვის ხელშიცაა მოსკოვში საქართველოს მოქალაქეების იურიდიული დაცვის ელემენტარული მექანიზმი, ცოტა მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინოს და თანამემამულეები ასეთ განსაცდელში არ ჩააგდოს.

ვიღაცის დაუდევრობით, ვიღაცის უყურადღებობით, და საერთოდ, ორი ქვეყნის ურთიერთობებში პრობლემის გამო, თავის მოსკოველ კოლეგებთან სასიამოვნო შეხვედრის, ანუ როგორც თვითონ მეცნიერი ამბობს, "მეორე რუსეთთან ჩახუტების შემდეგ", მოსკოვური მილიციის ერთ ჩვეულებრივ განყოფილებაში მოხვდა, რომლის გამობრუჟულმა მორიგემ, მას მერე, რაც შევარდნაძის ჯავრი დაკავებულზე იყარა და დარწმუნდა, რომ ტერორისტთან არა აქვს საქმე, სასტუმროს წარმომადგენელს ტელეფონით ლექციაც წაუკითხა, რომ საკუთარ სტუმარს გადატანილი მორალური ზარალისათვის ბოდიში უნდა მოუხადონ.

ამ ინციდენტის ფინალი კი რომანტიკულ-სევდიანი იყო. ლენინსკის პროსპექტზე მდებარე მილიციის განყოფილებიდან გამოსულმა ქართველმა პროფესორმა ცას ახედა და ამოიძახა: ხალხო, შეხედეთ, მოსკოვში რა ლამაზად თენდებაო...

# ადვოკატს ადამიანის წამებაში ადანაშაულებენ

ინგა ალავიძე

გიგა ბიწაძე რესპუბლიკურ საავადმყოფოში გუშინწინ უგონო მდგომარეობაში მყოფი მიიყვანეს. ნეიროქირურგიულ განყოფილებაში მოთავსებულ ავადმყოფს, რომელსაც თითქმის მთელი სხეული იარებითა და სისხლჩაქცევებით აქვს დაფარული, სამჯერ რამდენიმე წუთით დაუბრუნდა აზროვნების უნარი. სწორედ ამ დროს უთხრა გიგა ბიწაძემ მამამისს, - პოლიციაში მცემესო.

**"ადვოკატ თემურ გოგსაძის ბიძაშვილი დაიკარგა ორი წლის წინ, 2000 წლის იანვარში. თემურ გოგსაძე მოვიდა ჩემს ბიჭთან და უთხრა, ბოლოს შენთან უნახავთო და თან დაემუქრა. ამ ამბის შემდეგ გიგა კარგა ხანს სოფელში ცხოვრობდა, შემდეგ თბილისში, სახლში, რომელიც დაკეტილი გვაქვს. არავის დამალვია, უბრალოდ, სიტუაციას გაერიდა.**

**გიგა გუშინწინ ღამის სამ საათზე მიიყვანეს მამიდამისთან - სასტიკად ნაცემი, ნაწამები, უგონო მდგომარეობაში მყოფი სახლის წინ დააგდეს და წავიდნენ. გონს რომ მოვიდა, მითხრა, ჯერ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციაში, შემდეგ კი ვაკე-საბურთალოს პოლიციაში, არაყიშვილის ქუჩაზე მიმიყვანეს და მცემესო. გიგა პოლიციაში თემურ გოგსაძემ მიაყვანინა და სწორედ მისი შეკვეთით აწამეს ჩემი შვილი. არადა, წესით, ადვოკატი ძალადობის წინააღმდეგ უნდა იბრძოდეს,"** – ამბობს გიგას მამა.



*გიგა ბიწაძე საავადმყოფოს პალატაში*

ბესო გულაშვილის ფოტო

გიგა ბიწაძის ახლობლები, ჯერჯერობით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნავენ. თუმცა, ავადმყოფისთვის ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ, აუცილებლად მიმართავენ ადამიანის უფლებების დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასევე, სამართალდამცველ ორგანოებს და იმ პირების დასჯას მოითხოვენ, ვინც გიგა აწამა.

ავადმყოფს უკვე ჩაუტარდა გამოკვლევა და დიაგნოზიც დაუსვეს. გიგა ბიწაძის მკურნალი ექიმის განცხადებით, **"ავადმყოფს პირველადი გამოკვლევა სრულად ჩაუტარდა. დიაგნოზი ასეთია: ქალა-ტვინის დახურული შეშუპება, სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა. ავადმყოფს სერიოზული დაზიანებები აქვს მიღებული, მაგრამ მისი მდგომარეობა, ჯერჯერობით, სტაბილურია. მინდა გითხრათ, რომ, ნეიროქირურგიული თვალსაზრისით, ავადმყოფი ნამდვილად გადარჩა. არა მგონია, რომ მისი მდგომარეობა დამძიმდეს.**

**თუმცა, ავადმყოფს მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა აქვს მიღებული. ამ შოკიდან იგი გამოვა, მაგრამ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ტრავმა იმდენად მძიმეა, რომ პოლიციელის დანახვაზე მას ყოველთვის საშინელი რეაქცია ექნება."**

გიგა ბიწაძე ოფიციალურად დანაშაულში ეჭვმიტანილად კანონდამცველებს არ გამოუცხადებიათ. აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს, იგი მოიტაცეს და პოლიციაში დაშინების მიზნით მიიყვანეს. სხვათა შორის, ძალადობის ამ აქტის ორგანიზატორი თუ მართლაც ადვოკატი თემურ გოგსაძეა, როგორც ამას გიგა ბიწაძის ახლობლები აცხადებენ, მისთვის, როგორც იურისტისთვის, ალბათ, ისიც იქნება ცნობილი, რომ სისხლის სამართლის კოდექსი ადამიანის გატაცება-წამებისთვის საკმაოდ მძიმე სასჯელს ითვალისწინებს.

## პოლიცია პოლიციელს იჭერს

საზოგადოებაში ჭორის სახით გავრცელებული ხმები, კრიმინალურ სამყაროსთან ძალოვანთა მჭიდრო ურთიერთობის შესახებ, ბოლო რამდენიმე კვირის მანძილზე ფაქტებით გამყარდა. სულ მცირე დროის მონაკვეთში, დანაშაულებრივი სამყაროს ავტორიტეტებთან ძალოვანთა დანაშაულებრივი კავშირის ზედიზედ ორი შემთხვევა გამოვლინდა. თუ პოლიციის მიერ უშიშროების მაიორის დიდძალი იარაღით დაკავებას კანონიერი ქურდის მანქანაში, ერთგვარად, უწყებრივი დაპირისპირების იერიც დაჰკრავდა, ამჟამად პოლიციის უფროსი ლეიტენანტი, კრიმინალებითა და ნარკოტიკით სავსე მანქანასთან ერთად, მისმა უშუალო კოლეგებმა დააპატიმრეს.

არც მეტი, არც ნაკლები — მარნეულის შინაგან საქმეთა განყოფილების ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან მებრძოლი ქვეგანყოფილების უფროსი, ფაქტობრივად თავისიანებმა —ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა – დააკავეს, ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს პოლიციელებთან ერთად.

დაკავების ოპერაცია თბილისის გარეუბანში, ფონიჭალის საგზაო პოლიციის საგუშაგოზე ჩატარდა. ოპერაციის ნადავლი — ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი ექვსი პირი, თბილისელთათვის არც თუ ისე უცნობი ხალხია; მათ, ჩვეულებრივ, "წამალზე შემჯდარებს" უწოდებენ.

არაერთხელ ნასამართლევ ქურდული სამყაროს ავტორიტეტებსა და გამოუსწორებელ ნარკომანებს შორის პოლიციის უფროსი ლეიტენანტის, უშუალოდ ნარკომანიასთან ბრძოლაში უფლებამოსილი მურთაზ შეროზიას გამოჩენა, პოლიციის შელახული იმიჯისთვის კიდევ უფრო საზიანო იქნებოდა, ამ ფაქტის დაფარვა რომ ეცადათ. მით უმეტეს, რომ ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფ შეროზიას თან ცხრა ე.წ. "ბაშად" დაფასოებული 11,49 გრამი ჰეროინი აღმოაჩნდა. მაგრამ დანაშაულის ფაქტზე კრიმინალებთან ერთად უკვე მეორედ ძალოვანის დაკავება, იმედი ვიქონიოთ, რომ აქტიურ თვითკრიტიკაზე მეტყველებს. სახელისგამტეხებთან და მუნდირის ღირსების შემლახავებთან ბრძოლის ვერსიას კი საზოგადოება მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიჯერებს, თუ დამნაშავე-სამართალდამცველთა დაკავებას მასობრივი ხასიათი მიეცემა — სინამდვილეში ხომ არავისთვისაა საიდუმლო, რომ მსგავს კრიმინალურ-პოლიციურ ალიანსებს, მართლაც, მასობრივად აქვს ადგილი.

სხვა მხრივ კი, გუშინწინდელი ოპერაციის შედეგებით პოლიციელებს თავისმოწონება ნამდვილად შეუძლიათ. შეროზიასთან ერთად დაპატიმრებულია მრავალჯერ ნასამართლევი, ე.წ. „კანონიერი ქურდი" მამუკა ირემაშვილი, მეტსახელად „სიო", რომელსაც აღმოაჩნდა 12.9 გ მარიხუანა. დაკავებულია ასევე ადრე ნასამართლევი გიორგი კაჭარავა, მეტსახელად „წიე", ასევე წარსულში ნასამართლევი თეიმურაზ ქარსელაძე, მეტსახელად „თეკუჩა", დავით ჯაში და ადრე ნასამართლევი გიორგი გორდელაძე.

ყველა ამ პირის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც გენერალური პროკურატურა გამოიძიებს. საინტერესოა, მივა თუ არა დანაშაულის კვალი იმ პირებამდე, ვისგანაც დაკავებულებმა ნარკოტიკები შეიძინეს; მით უმეტეს, რომ გზის ის მონაკვეთი, რომელზეც ოპერაცია განხორციელდა, როგორც ამბობენ, ნარკოტიკების მაძიებელთა მანქანებით საკმაოდ გადატვირთულია.

*მოქალაქის უფლებები*

# რა უფლებები გააჩნია წვევამდელს

ინგა ალავიძე

სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ კანონის თანახმად, წვევამდელად ითვლება საქართველოს 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქე, რომელიც იმყოფება სამხედრო აღრიცხვაზე.

პირადი სურვილითა და საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით შეიძლება, რომ სამხედრო სამსახურში ჩაირიცხოს უცხო ქვეყნის მოქალაქეც.

17 წლის შესრულებისთანავე მოქალაქე ვალდებულია, რომ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სამხედრო კომისარიატში დადგეს აღრიცხვაზე.

გასაწვევ უბანზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოქალაქე ისჯება ფულადი ჯარიმით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე.

მოქალაქეს უფლება აქვს სამხედრო-სააღრიცხვო კომისიას წარუდგინოს დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც იგი დროებით, ან საერთოდ გათავისუფლდება სამხედრო სამსახურისგან.

სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი 18 წლის მოქალაქე, თუ ის წვევამდელია, უწყების მიღების შემდეგ ვალდებულია, უწყებაში მითითებულ დროს გამოცხადდეს სამხედრო კომისარიატში, კომისიაზე.

თუ წვევამდელი კომისიაზე არ გამოცხადდება სამხედრო ვალდებულებისგან თავის არიდების მიზნით, მოუწევს 2500 ლარის ჯარიმის გადახდა. განმეორებით კომისიაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში კომისარიატი ჩაატარებს მოკვლევას და მასალებს გადაუგზავნის პროკურატურას.

თუ წვევამდელი პროკურატურიდან გამოგზავნილი უწყების შემდეგაც არ გამოცხადდება პროკურატურაში, ასეთ შემთხვევაში სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდების ფაქტზე აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე.

სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდებისთვის წვევამდელი ისჯება ადმინისტრაციული სანქციებით, ჯარიმითა და ტუსაღობით სამიდან ექვს თვემდე, ან სამი წლის პატიმრობით.

თუ პოლიციის, ან სამხედრო კომისარიატის თანამშრომლებმა წვევამდელი იძულებით დააკავეს, მოქალაქემ უნდა მიმართოს რაიონის სამხედრო პროკურატურას.

თუ იძულებითი დაკავება პოლიციის თანამშრომლებმა განახორციელეს, საჩივარი პოლიციის უფროსთან იგზავნება. თუ ეს მცდელობა უშედეგოდ ჩაივლის, მოქალაქემ პოლიციელის უკანონო ქმედება ქალაქის პროკურორთან, ან სასამართლოში უნდა გაასაჩივროს.

წვევამდელმა სამხედრო სამსახურისთვის საკუთარი ვარგისიანობის დასადგენად უნდა გაიაროს შემოწმება სამედიცინო კომისიაზე.

თუ მოქალაქე უკანონოდ წაიყვანეს კომისიაზე, მას უფლება აქვს არ გაიაროს სამედიცინო შემოწმება, ხელი არ მოაწეროს დოკუმენტს და მოითხოვოს კანონით გარანტირებული საკუთარი უფლებების დაცვა.

სამედიცინო კომისია ვარგისიანობის კატეგორიების განსაზღვრის შემდეგ დასკვნას გადასცემს გამწვევ კომისიას, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს წვევამდელის სამხედრო სამსახურში გაწვევის, გაწვევის გადავადებისა და გაწვევისგან გათავისუფლების საკითხი.

გამწვევი კომისიის თავმჯდომარემ გადაწყვეტილება პირადად უნდა გააცნოს წვევამდელს.

წვევამდელმა უნდა მოითხოვოს გამწვევი კომისიის საჯაროდ ჩატარება.

მოთხოვნის მიუხედავად, თუ სხდომა მაინც დახურულ სიტუაციაში ჩატარდება, ის უკანონოდ ჩაითვლება და წვევამდელმა კომისიის გადაწყვეტილება უნდა გაასაჩივროს.

კომისიის გადაწყვეტილება უნდა გასაჩივრდეს მიღებიდან 10 დღეში ცენტრალურ გამწვევ კომისიაში, ან სასამართლოში.

"არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ" კანონის საფუძველზე მოქალაქეს უფლება აქვს, გააკეთოს არჩევანი სავალდებულო სამხედრო სამსახურსა და არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურს შორის, რომლის გავლის ვადაა 36 თვე.

თუ სამხედრო სამსახურში გაწვევისას ჩამოთვლილი ნორმებიდან რომელიმე დაირღვევა, მოქალაქემ აუცილებლად უნდა მიმართოს სასამართლოს და დაიცვას საკუთარი შელახული უფლებები.

## კასპიისკის ტერაქტში მონაწილე ეჭვმიტანილი ტულაში დააკავეს

რუსი სამართალდამცველები კასპიის ტერაქტიდან რამდენიმე დღეში შეუდგნენ იმის მტკიცებას, რომ ტერაქტის მოწყობაში მთავარი ეჭვმიტანილი საქართველოს, კერძოდ, პანკისის ხეობას აფარებდა თავს. რუსეთის გენპროკურატურამ ოფიციალურადაც კი მიმართა ქართველ კოლეგებს და ვინმე ჩეჩენი ხალილოვის გადაცემა სთხოვა. თავის მხრივ, ქართველი ძალოვნები გამუდმებით ირწმუნებოდნენ, რომ არავითარი ხალილოვი საქართველოში არ იმყოფება. ამჟამად რუსეთის შს ორგანოებმა კასპიისკის ტერაქტის განხორციელებაში ერთ-ერთი ეჭვმიტანილი რუსეთისავე ტერიტორიაზე – ტულის ოლქში დააკავეს.

დაკავებული აზერბაიჯანის მკვიდრი გახლავთ. სამართალდამცველები ეჭვობენ, რომ მას უშუალო მონაწილეობა აქვს მიღებული 9 მაისს კასპიისკში მომხდარ აფეთქებაში. იგი ეჭვმიტანილია გახმაურებულ ტერაქტში, რომელიც ქალაქ კასპიისკში მოეწყო. ადრე ნასამართლევი დივერსანტის დატუსაღება ტულის ოლქში, ქალაქ ალექსინეში ერთობლივი სპეცოპერაციის შედეგად მოხდა. სპეცოპერაციას რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულებათა წინააღმდეგ მებრძოლი მთავარი სამმართველო, დაღესტანის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო და ტულის ოლქის უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლები ატარებდნენ.

ერთი კვირის წინ, 24 ივნისს რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილემ ვლადიმერ კოლესნიკოვმა მახაჩყალაში განაცხადა, რომ კასპიის ტერაქტის საქმე, რომელსაც 43 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, გახსნილია. ტერაქტის ორგანიზატორთა და შემსრულებელთა ვინაობა დადგენილია. გამოძიებამ გამოააშკარავა დივერსიულ-ტერორისტული დაჯგუფების 18 წევრის ვინაობა. კასპიის ტერაქტში უშუალოდ მონაწილე 8 ბოევიკი უკვე დაკავებულია, დანარჩენ 10 მონაწილეზე ძიებაა გამოცხადებული.

# ძალადობა ქალებზე

სპეციალურმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ყოველწლიურად 14 ათასი რუსი ეროვნების ქალი ქმრისა და ნათესავების ხელით იღუპება.

რუსეთის ფედერალური საბჭოს სოციალური პოლიტიკის კომიტეტის მონაცემებით, რუსი ქალების 70 პროცენტი ძალადობის მსხვერპლი გამხდარა, აქედან 30 პროცენტი კი ძალადობას საკუთარ ოჯახში აწყდება.

შეგახსენებთ, რომ გაეროს მონაცემებით, დედამიწაზე ქალების სიკვდილიანობის მიზეზი, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ძალადობაა. სულ ცოტა, ხუთიდან ერთი ქალი ერთხელ მაინც გამხდარა ფიზიკური თუ სექსუალური ძალადობისა და მამაკაცების მხრიდან სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი.

გაეროს ექსპერტები თვლიან, რომ ქალებზე ძალადობა მათი სიკვდილის, ჯამრთელობის გაუარესებისა და შრომის უუნარობის ისეთივე სერიოზული მიზეზია, როგორიც კიბო, საგზაო შემთხვევები და მალარია.

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ, მაგალითად, ამერიკაში ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ყოველდღიურად 11 ქალი ხდება.



ყაზახეთში სექსუალური ძალადობა და მკვლელობა ყოველ 5-6 საათში ხდება, ყოველ სამ საათში კი მძიმე ფიზიკური ძალადობის ფაქტები ფიქსირდება. ყაზახ ქალთა 60 პროცენტი ცხოვრებაში ერთხელ მაინც აწყდება ფიზიკურ ან სექსუალურ ძალადობას, სამი ქალიდან ერთი კი ამ ძალადობის მსხვერპლი საკუთარ ოჯახში ხდება.

რაც შეეხება რუს ქალებს, სტატისტიკის მიხედვით, რუსეთში ყოველწლიურად, საშუალოდ, 250 ათასზე მეტი ძალადობის ფაქტი ფიქსირდება. კერძოდ, გასულ წელს 7,9 ათასი გაუპატიურების, 6,3 ათასი სექსუალური ხასიათის დანაშაულის, 145 ქალზე ძალადობის შემთხვევა აღინიშნა.

ეს ჩამონათვალი მხოლოდ ოფიციალური სტატისტიკაა, ხშირად უამრავი გაუპატიურებისა და ოჯახური ძალადობის ფაქტი დაფარული რჩება. მათ გამოაშკარავებას ყველა დაზარალებული ვერ ახერხებს, ხშირ შემთხვევებში კი ამგვარი ფაქტების გახმაურებას ქალები შეგნებულად არიდებენ თავს.

## FBI ციმბირის წყლულის გამავრცელებელს ამერიკის არმიაში ეძებს

11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ამერიკა ციმბირის წყლულის გავრცელების საშიშროებამ შეძრა. რიგი სახელმწიფო მოხელეებისა და საინფორმაციო საშუალებების თანამშრომლების ინფიცირებამ (ფოსტით მიღებულ კონვერტებში მოთავსებული ფხვნილით) ბიოლოგიურ ტერორზე საუბარს ჩაუყარა საფუძველი. ხანგრძლივი გამოძიების შემდეგ FBI-მ ეჭვმიტანილთა წრე შეავიწროვა და ციმბირის წყლულის ვირუსის ფოსტით გამავრცელებლებს ამერიკის შეერთებული შტატების ჯარში ნამსახურებ და მომსახურე ჯარისკაცთა შორის ეძებს. კერძოდ, FBI გამოძიებას აწარმოებს მერილენდის შტატის დეტრიკის პორტში, სადაც ამერიკის ჯარი ბიოტერორიზმის საწინააღმდეგო თავდაცვით ზომებს ამუშავებს.

შარშან შემოდგომაზე ბიოტერორიზმის ამ აქტს ხუთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. FBI-ის ვარაუდით, მხოლოდ 20-30 ადამიანი თუ მოიძებნება, ვისაც მსგავს ვირუსთან აქვს შეხება და თანაც მისი საფოსტო კონვერტით გაგზავნის ცოდნა და შესაძლებლობა გააჩნია.

ამჟამად, დეტრიკის პორტში, დაახლოებით, 200 მეცნიერი მუშაობს. ისინი ბიოტერორიზმის ფენომენს იძიებენ. მეცნიერებს დროდადრო FBI-ის თანამშრომლები იწვევენ და "სიცრუის დეტექტორზე" ამოწმებენ. ზოგიერთი მათგანის სახლში ჩხრეკაც ჩატარდა. ჯერჯერობით FBI-ის არავინ დაუკავებია, თუმცა, "სიცრუის დეტექტორზე" ინსტიტუტის 200-ზე მეტი ყოფილი და ახლანდელი თანამშრომელი შეამოწმა. შემოწმება გაიარეს იუტას შტატის გამოსაცდელი პოლიგონის თანამშრომლებმაც, რადგან სწორედ იუტას შტატში მისცეს ციმბირის წყლულს ფხვნილის ფორმა.

*მოკლედ*

### მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს

ზესტაფონის პოლიციამ დააკავა აფხაზეთიდან დევნილი ამირან გაჩეჩილაძე, რომელმაც ზესტაფონში ერთ-ერთი სახლის ეზოში ბაწრით გაგუდა ზესტაფონელი ვაჟა ხუსკივაძე. გაჩეჩილაძემ კვალის დაფარვის მიზნით გვამი ეზოში დამარხა. საქმე გამოსაძიებლად გადაეცა ზესტაფონის პროკურატურას.

### მზადდება ძებნილი ჩეჩენის ექსტრადიცია

პოლიციამ დააკავა ძებნილი რასუ მაგამედოვი. იგი იარაღის შეძენა-შენახვისთვის ახმეტის პოლიციის მიერ იძებნებოდა. რასუ მაგამედოვი ჩეჩნეთში, ქალაქ სტაროპრომისლოვსკში დააკავეს.

მაგამედოვის საქართველოში ექსტრადიციასთან დაკავშირებით საქართველოს შსს მასალებს ამზადებს.

### იცვლება სანომრე ნიშნები

საგზაო პოლიციამ ავტომანქანების სანომრე ნიშნების შეცვლა დაიწყო.

უკვე შეიცვალა 400 ნომერი. სანომრე ნიშნები შეეცვალათ პრეზიდენტის, პრეზიდენტის აპარატის, კანცელარიის, სახელმწიფო მინისტრის, იუსტიციის სამინისტროს ავტომანქანებს.

*კურიოზი*

# აფიორამ არ გაამართლა

სანკტ-პეტერბურგელი ბოროტმოქმედი პოლიციას ციხეში დაემალა.

მოხერხებულმა ბოროტმოქმედმა სანკტ-პეტერბურგის სისხლის სამართლის საქმეთა სამმართველოს მე-9 განყოფილების თანამშრომელთა მოტყუება შეძლო. განსასჯელი აპკაროვი 1999 წლიდან ფედერალურ ძებნაში იმყოფებოდა. მას ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრობა და ყაჩაღობის დროს იარაღის გამოყენება ბრალდებოდა. სასამართლო პროცესის ჩატარების შემდეგ, აპკაროვი თავდებით გაათავისუფლეს. ჩადენილი დანაშაულის ხელმეორედ გადახედვის შემდეგ, სასამართლომ განაჩენი შეცვალა და თავდებით გათავისუფლებულ დამნაშავეზე დაკავების სანქცია გასცა. სასამართლომ მას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მაგრამ ბრალდებულმა პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან შეძლო გაქცევა.

სულ ახლახან კი მე-9 განყოფილების იზოლატორის ოპერატიული ჯგუფისთვის ცნობილი გახდა, რომ ძებნილი აპკაროვი სხვისი სახელით იმალება ... ციხეში, სადაც ვინმე სერგეევის სახელით ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის 5-წლიან სასჯელს იხდის. ამჯერად გვარგამოცვლილ დამნაშავეს თავიდან მოუწევს სასამართლოს წინაშე წარდგომა. აპკაროვის ციხეში მოსახდელი წლების რაოდენობას აფიორისთვის მისჯილი წლებიც დაემატება.

# რობერტ ჰანტერი: საქართველო არ არის არშემდგარი ქვეყანა

პირველი გვერდიდან

იზოლაციონიზმი საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს. აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ძირითადი ამოცანა, ჩემი აზრით, საკმაოდ მარტივია: გარდავქმნათ აშშ-ს პოტენციური ძლიერება მთელ მსოფლიოზე მის გრძელვადიან გავლენად. ამის მიღწევა შესაძლებელია ინსტიტუტების, მექანიზმების, ჩვეულებებისა და განწყობების შექმნით, რომლებიც როგორც შეერთებული შტატების, ისე სხვა ქვეყნების სასარგებლოდაც იმუშავებენ. ჩემი აზრით, ეს იმას ნიშნავს, რომ ცალმხრივი და მრავალმხრივი მიდგომების მომხრეებს შორის კამათი უნაყოფო და უაზროა. ამერიკას სხვა გზა არა აქვს გარდა იმისა, რომ ითანამშრომლოს სხვა ქვეყნებთან, 1941 წელს პერლ-ჰარბორზე იაპონიის თავდასხმამ ამერიკაში იზოლაციონიზმი, ხოლო 11-მა სექტემბერმა ამერიკული დაცულობის შეგრძნება დაასამარა. ამერიკელები მიხვდნენ, რომ უცხო ძალას მათთვის დიდი ზიანის მიყენება შეუძლია. ჩვენი პასუხი ამაზე უნდა იყოს არა მხოლოდ კონტრ-ტერორიზმი, არამედ იმ მიზეზების აღმოფხვრაც, რომლებიც წარმოშობენ ტერორიზმს - ისეთები, როგორებიცაა: სიღარიბე, უმუშევრობა, დაავადებების გავრცელება, ცუდი განათლება, ცუდი მმართველობა, ცუდი რეპუტაცია, რომელსაც აშშ-ს მთავრობის მიერ “ცუდი” მთავრობების მხარდაჭერა წარმოშობს. ასე რომ, ჩვენ უზარმაზარი პასუხისმგებლობა გვაკისრია არა მხოლოდ საკუთარი ქვეყნის დაცვის, არამედ ადამიანურ ღირებულებათა და ადამიანურ პრინციპთა დაცვისა, კოლექტიური თავდაცვის ორგანიზების თვალსაზრისით.

**- არის დღეს ტერორიზმი ისეთივე დიდი საფრთხე, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო ცივი ომის დროს? ანუ, თუ აერთიანებს ქვეყნებს ტერორიზმის აჩრდილი, ისე, როგორც თავის დროზე კომუნიზმის აჩრდილი აერთიანებდა?**

- ტერორიზმი დიდი ხანია არსებობს, უბრალოდ, ჩვენ აქამდე საკმაოდ დაცულები ვიყავით მისგან. ტერაქტები ამერიკელების წინააღმდეგაც ხდებოდა, მაგრამ 11 სექტემბრის მსგავსიც კი არაფერი ყოფილა. ტერორიზმის საფრთხე, რასაკვირველია, ახლოსაც ვერ მივა საბჭოთა საფრთხესთან. ბიოტერორიზმის, ბირთვული იარაღის გამოყენების, კიბერტერორიზმის საფრთხე ახლაც არსებობს. თუმცა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ვერ შეცვლის დანარჩენ საგარეო პოლიტიკას, და მას არა აქვს ისეთი გამაერთიანებელი ხასიათი, როგორიც საბჭოთა საფრთხეს ჰქონდა.

**- სად არის საქართველოს და კავკასიის ადგილი აშშ-ს საგარეო პოლიტიკაში? რა კონტექსტში განისაზღვრება აშშ-ს პოლიტიკა საქართველოს მიმართ?**

- აშშ მზარდ დაინტერესებას იჩენს კავკასიით და, მათ შორის, საქართველოთი, უფრო სწორად, უპირველეს ყოვლისა, საქართველოთი. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ საქართველო, მეზობლებთან შედარებით, ნაკლებად კონფლიქტურია. თქვენც გაქვთ პრობლემები, მაგრამ ისინი თავიანთი მასშტაბით მთიან ყარაბაღს ჩამოუვარდებიან, სადაც სახელმწიფოთშორისი კონფლიქტი მიმდინარეობს. საქართველოთი დაინტერესება საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია და დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისადმი მიზანმიმართულმა სწრაფვამ გააღრმავა. ასე რომ, საქართველოს მნიშვნელობა იზრდება და 11 სექტემბერი რომც არ ყოფილიყო, ეს მაინც ასე იქნებოდა. ახალ ვითარებაში საქართველოს მნიშვნელობას ის ფაქტიც ზრდის, რომ მის ჩრდილოეთ ნაწილში ტერორისტები არიან თავმოყრილნი. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია საქართველოს ენერგოსატრანზიტო ფუნქციაც. ამავე დროს, საქართველო პროგრამის “პარტნიორობა მშვიდობისათვის” წევრია. ეს პროგრამა შეიქმნა არა მხოლოდ იმისთვის, რომ ქვეყნები ნატო-ს წევრობისათვის მოამზადოს და იმ ქვეყნებს, რომლებიც ჯერ ალიანსის წევრები არ არიან, აგრძნობინოს, რომ ისინი ვილაცის გავლენის სფეროში არ არიან მიტოვებულნი, არამედ იმიტომაც, რომ ამ ქვეყნების სუვერენიტეტი განამტკიცოს. მე, რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვი, რომ კავკასია აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ცენტრალური საკითხია, მაგრამ ამჟამად იგი უფრო დიდ ადგილს იკავებს, ვიდრე ოდესმე ისტორიაში და ეს მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება. აშშ-ს პოლიტიკაში საქართველოსადმი წმინდა ადამიანური განზომილებაც შეიძლება მოიძებნოს: დემოკრატია, ადამიანის უფლებები, განვითარების ქცევა სტაბილურობის და არა დესტაბილიზაციის წყაროდ. ამავე დროს, მე ვიტყოდი, რომ საქართველო რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებისთვის ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდია. იმის მიხედვით, თუ როგორ მოექცევა რუსეთი საქართველოს, ამერიკა განსაზღვრავს, საით მიდის რუსეთი. 11 სექტემბრის შემდეგ აშშ-რუსეთს სრულიად განსხვავებული ურთიერთობები აქვთ. მაგრამ თუ რუსეთს ერთა საერთაშორისო ოჯახის სრულუფლებიანი წევრობა და საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებზე მეტი გავლენის მოპოვება სურს, იგი ამ ოჯახში მიღებულ წესებს უნდა დაემორჩილოს. ამ წესთაგან ერთ-ერთი სხვა ქვეყნების სუვერენიტეტის პატივისცემაა. ეს იმასაც გულისხმობს, რომ რუსეთს არ უნდა ჰყავდეს ჯარები იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც მათი ყოფნა მასპინძელს არ სურს. ჩვენ ყველამ უნდა გავითვალისწინოთ რუსეთის ინტერესები, მათი იგნორირება არ შეიძლება, მაგრამ ერთია რუსეთის ლეგიტიმური ინტერესების გათვალისწინება და სულ სხვაა - მისთვის თავისუფალი მოქმედების საშუალების მიცემა. ამის მიღწევას დრო სჭირდება, მაგრამ რუსეთი გარესამყაროსთან ურთიერთობაში ზრდასრულივით უნდა იქცეოდეს.



რობერტ ჰანტერი

ბესო გულაშვილის ფოტო

**- ხომ არ მიგაჩნიათ, რომ საქართველოს ხელისუფლებას ჰგონია, რომ მას გარანტირებული აქვს ამერიკული მხარდაჭერა?**

- არა, ამას ვერ ვიტყვი.

**- სხვა რა ლაკმუსის ქაღალდები არსებობს რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებში?**

- ნებისმიერ ურთიერთობებში უცხო ქვეყანასთან სრული თანხმობის მიღწევა შეუძლებელია, თვით მოკავშირეებთანაც კი. ამის მაგალითია აშშ-საფრანგეთის ურთიერთობები. რუსეთთან ურთიერთობებში რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტია. პირველ რიგში, ესაა რუსეთის პატივისცემა საერთაშორისო ნორმებისადმი და მისი ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან, უპირველეს ყოვლისა, ჩვენთან და ჩვენს მოკავშირეებთან, მაგრამ ასევე სხვებთანაც. მეორე, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, რუსული საზოგადოების ევოლუციას ეხება. ჩვენ მტკიცედ გვწამს თეზისის, რომ დემოკრატიული ქვეყნები ერთმანეთთან არ ომობენ. ადამიანის უფლებები და დემოკრატია, ეკონომიკური განვითარება, სამხედროებზე მკაცრი კონტროლი უაღრესად მნიშვნელოვანია. რუსეთი წარმატებული მხოლოდ მაშინ იქნება, თუ ამ პრობლემებს მოაგვარებს. ჯერჯერობით კი ჩვენ მისი მისამართით საკმაოდ ბევრი კითხვა გვაქვს. პირველ რიგში, ეჭვს იწვევს მათი საქციელი როგორც საქართველოში, ისე სომხეთში. მეორე პრობლემატური საკითხია რუსული მასმედიის მდგომარეობა - აქ შეზღუდვები, კლების ნაცვლად, იზრდება და მთავრობაც აშკარად არასწორი გზით მიდის. ამასთან დაკავშირებით ვითარების გამოსწორებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ თავად რუსეთის მომავლისთვისაც. ჩეჩნეთიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ლაკმუსის ქაღალდია. ჩეჩნეთი დიდ პრობლემებს ქმნის ფედერაციის მომავალთან დაკავშირებით. ჩვენ გვესმის, რომ იქ ტერორისტები არიან, მათ შორის, საერთაშორისო ტერორისტებიც, მაგრამ, მეორეს მხრივ, ჩეჩნეთში ორივე ომის განმავლობაში რუსები წარმოუდგენელ სიმხეცეს მიმართავდნენ. დაუშვებელია, რომ თანამედროვე სახელმწიფო ასე იქცეოდეს.

**- თქვენ სომხეთი ახსენეთ.**

- ვფიქრობ, შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთ კავკასია ერთიანი “პაკეტია”, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ჩრდილოეთ კავკასიასთან. ამიტომ მშვიდობისა და სტაბილურობის მისაღწევად რამდენიმე პირობა ერთდროულად უნდა შესრულდეს. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ საქართველოს სუვერენიტეტის შენარჩუნების აუცილებლობაზე. მეორე, აუცილებელია, რომ თურქეთმა გახსნას საზღვრები სომხეთთან. სომხეთი ძალიან ცუდ დღეშია. მე იქ ვიყავი და შემიძლია გითხრათ, რომ იგი საქართველოზე გაცილებით ღარიბია. მათ უნდა მიეცეთ საშუალება, რაღაც შექმნან, რუსეთის ალტერნატივაც უნდა ჰქონდეთ, რაც ჯერ, სამწუხაროდ, არა აქვთ. აზერბაიჯანშიც და სომხეთშიც უნდა დაიწყოს მოძრაობა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გადასაჭრელად. ამ კონფლიქტში სომხეთს აქვს უპირატესობა, ამიტომ მოლაპარაკებებში იგი უფრო მოქნილი უნდა იყოს. არა მგონია, რომ ვინმე, ვისაც კავკასიის ბედი აღელვებს, და მათ შორის - ჩვენც, დაინტერესებული იყოს სტატუს კვოს შენარჩუნებით. ჩვენ მივესალმებოდით მოლაპარაკებების დაწყებას აზერბაიჯანსა და სომხეთს, თურქეთსა და სომხეთს შორის. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ სომხეთმა რუსეთის ჯარებთან დამოკიდებულება შეიცვალოს, რომ სრულად სცეს პატივი საქართველოს სუვერენიტეტს, რომ “დაილუქოს” საქართველო-ჩეჩნეთის საზღვარი, რომ რუსებს აქედან საქმე არ გაურთულდეთ და არ ეგონოთ, რომ მათი ინტერესების იგნორირება ხდება. ეს ძალზე რთული შესათანხმებელია, მაგრამ ეს უმთავრესი მიზნებია.

**- ბუში-პუტინის სამიტი და მათი ერთობლივი განცხადება ნიშნავს თუ არა იმას, რომ ჩამოყალიბდა ერთიანი, კონსტრუქციული მიდგომა კავასკიის უსაფრთხოების პრობლემატიკისადმი? და თუ არის ერთიანი მიდგომა, ერთიანი მექანიზმი, რა ადგილს იკავებს მასში თურქეთი?**

- მე არ დავსწრებივარ ამ შეხვედრას, მაგრამ, ვფიქრობ, დასკვნების გაკეთება ჯერ ადრეა. ამავე დროს, მიმაჩნია, რომ რაიმე ერთიანი მიდგომა კავკასიისადმი, და მათ შორის - საქართველოსადმი, ჯერ ჩამოყალიბებული არ არის. ჯერ ერთი, კავკასია, უბრალოდ, აშშ-რუსეთის მოლაპარაკებათა ობიექტი არ გახლავთ. რეგიონის მომავლის ფორმირებაში გადამწყვეტი სიტყვა თავად რეგიონის ქვეყნებმა უნდა თქვან. ამერიკელებმა და რუსებმა შეიძლება კონსტრუქციულად ისაუბრონ, რაც რუსეთის დამოკიდებულებას რეგიონისადმი უფრო შეარბილებს და რუსებს საშუალებას მისცემს, ჩრდილოეთ კავკასიაში უფრო უსაფრთხოდ იგრძნონ თავი, უფრო იოლად მოილაპარაკონ ჯარების გაყვანის პირობებზე. რასაკვირველია, თურქეთი ჩართული იქნება რეგიონში მიმდინარე პროცესებში. იგი ახლო მეზობელია, რომელსაც სერიოზული ინტერესები აქვს კავკასიაში. თურქეთს თავიდან ძალზე დიდი ამბიციები ჰქონდა ცენტრალურ აზიაში, რომელიც ნელ-ნელა შემცირდა, რადგან თურქებმა აღმოაჩინეს, რომ მათი გახორციელება ძნელია და დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, თანაც, ბევრმა ქვეყანამ თურქეთი ისე ხელგაშლილად არ მიიღო, როგორც ამას ანკარაში ვარაუდობდნენ. კავკასიაში, თურქეთს აუცილებლად ექნება თავისი როლი.

**- ნატო-რუსეთის საბჭო ერთხელ უკვე შეიქმნა და კრახი განიცადა. ეს ახალი ოცთა საბჭო არის ჯილდო რუსეთისათვის, თუ ნატო-ს გაფართოების ახალი ტალღისაგან ყურადღების გადატანა? მომავალი თუ აქვს ახალ საბჭოს?**

- ნატო-რუსეთის 1997 წლის დამფუძნებელი აქტი იყო იმ დიდი სტრატეგიის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ უფროსმა ბუშმა შეიმუშავა. მისი მიზანი “ერთიანი და თავისუფალი ევროპის” შექმნა გახლდათ. ეს იყო პირველი მცდელობა ისტორიაში - ევროპასა და ევრაზიაში ერთიანი უსაფრთხოების სისტემა შექმნილიყო, რომლისგანაც ყველა ქვეყანა ნახავდა სარგებელს და არც ერთ ქვეყანას საფრთხეს არ შეუქმნიდა. ეს მიდგომა, ფორმალურად მაინც, ყველამ გაიზიარა, ლუკაშენკოსა და მილოშევიჩის გარდა. ამ სისტემის მთავარი ნიშანია, რომ აქ ყველას შეუძლია, იპოვოს თავისთვის რაღაც სასარგებლო. შეიძლება ეს სისტემა მთლიანად არავის მოეწონოს, მაგრამ ყველამ უნდა მიიჩნიოს, რომ მთლიანობაში სისტემა მის სასარგებლოდ და არა მის წინააღმდეგ მოქმედებს. ამ სტრეტაგიას რამდენიმე საფეხური და ელემენტი აქვს. პირველ რიგში ნატო-მ მიიღო ახალი წევრები და კარი ღია დატოვა დანარჩენებისთვის, შემდეგ შეიქმნა “პარტნიორობა მშვიდობისათვის”, რომელიც, შეიძლება, ყველაზე მნიშვნელოვანია და რომელშიც საქართველო აქტიურად მონაწილეობს, შეიქმნა “ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო” და “ნატო-რუსეთის დამფუძნებელი აქტი”, “ნატო-უკრაინის ქარტია”, გახორციელდა ნატოს სარდლობის რესტრუქტურიზაცია, მასში სამშვიდობო ფუნქციის ჩადება და ჩამოყალიბდა ახალი ურთიერთობები ნატო-ევროკავშირს შორის. ამ პაკეტში რაღაც ყველასთავის მოიძებნება. ნატო-ს ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია ევროპაში ომის საფრთხის საბოლოოდ აღმოფხვრა. ნატო-ს გადასაჭრელი ჰქონდა ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა: როგორ უზრუნველეყო ცენტრალური ევროპის უსაფრთხოება - რუსეთის გაუცხოების გარეშე და როგორ გაერღვია რუსეთის იზოლაცია - ცენტრალური ევროპის ქვეყნების შეშინების გარეშე. რეცეპტი სწორედ “ნატო-რუსეთის დამფუძნებელ აქტში,” პროგრამა “პარტნიორობა მშვიდობისათვის” შექმნასა და ალიანსის გაფართოებაში მდგომარეობდა. ჩვენ შევპირდით რუსეთს, რომ ახალ წევრ ქვეყნებში ბირთვულ იარაღსა და მუდმივმოქმედ სამხედრო ბაზებს არ განვალაგებდით, თუმცა სამხედრო წვრთნებსა და სხვა მოსამზადებელ სამუშაოებს ჩავატარებდით. ამ იდეამ ვერ იმუშავა, იმიტომ, რომ საბჭოთა მენტალიტეტის გამო რუსებმა ის მთლად კარგად ვერ გაიგეს. ეს მენტალიტეტი კი ნულოვანჯამიან თამაშს გულისხმობს, რომელშიც თუ ერთი მხარე იგებს, მეორე, შესაბამისად, აგებს, მაშინ, როცა დასავლეთი ფიქრობდა, რომ ორივე მხარეს შეეძლო მოეგო. რუსებს ეს ჯერაც არ ესმით. მეორე მიზეზი იყო კოსოვოს კამპანიაზე ჩვენს შორის არსებული უთანხმოება. შემდეგ უკვე იყო 11 სექტემბერი, რომლის მერეც პუტინმა დიდი სტრატეგიული გადაწყვეტილება მიიღო - გაეხსნა ქვეყანა დასავლეთისათვის. ამიტომ, ჩვენ გადავწყვიტეთ კიდევ ერთხელ გვეცადა. ახლანდელი ოცთა საბჭო დიდად არაფრით განსხვავდება ძველი საბჭოსაგან და მისი შექმნა უფრო კოსმეტიკური ხასიათისაა, მაგრამ, ამავდროულად, ეს საბჭო არის შანსი იმისა, რომ რუსეთისა და ნატო-ს ურთიერთობები უკეთესობისკენ განვითარდეს. რუსეთთან დაახლოება სხვა ქვეყნების ხარჯზე არავითარ შემთხვევაში არ მოხდება და მისი შექმნა სხვა ქვეყნების ხარჯზე რუსეთთან განსაკუთრებული ურთიერთობების დამყარების მცდელობას არ წარმოადგენს. ეს უფრო არის საშუალება რუსებისთვის, ისწავლონ, როგორ მოიქცნენ საერთაშორისო არენაზე.

**- ხომ არ გააგრძელებს რუსეთი ნატო-ს გაფართოებისთვის ხელის შეშლას?**

- არა, მათ უკვე მიგვანიშნეს, რომ ხელის შეშლას არ აპირებენ. პუტინისთვის მთავარი ამოცანა ახლა ფედერაციის მთლიანობის შენარჩუნება, ძალაუფლების ცენტრალიზაცია და დასავლეთთან ინტეგრაციით ეკონომიკური სარგებლის მიღებაა. ჩემი აზრით, ცენტრალური ევროპის ქვეყნების მიღება ნატო-ში ზრდის კიდეც რუსეთის უსაფრთხოებას.

**- როგორ მოხდა, რომ რუსეთის საზოგადოებამ მხარი დაუჭირა ამ იდეას, მაშინ, როდესაც მან პირველი ნატო-რუსეთის საბჭო არ მიიღო?**

- მე არ ვიტყოდი, რომ არ მიიღო, უბრალოდ საბჭომ არ იმუშავა. პუტინმა თავისი ბედი სასწორზე შეაგდო, როდესაც ნატო-სთან თანამშრომლობა გადაწყვიტა. მას ჰქონდა სხვა ალტერნატივებიც, მაგრამ ისინი არაფრის მომტანი არ იყო. მას შეეძლო ალიანსში შესულიყო ჩინეთთან, მაგრამ ეს მას არაფერს აძლევს. იზოლირება და ავტარქიისაკენ მისწრაფებაც, როგორც საბჭოთა კავშირის დროს იყო, არაფრის მომტანია. მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია დასავლეთთან ეკონომიკური ინტეგრაცია.

როდესაც რუსეთში ჩადიხარ, ძალიან ბევრი გეკითხება, ჩვენ ამდენი რამ გავაკეთეთ თქვენთვის 11 სექტემბრის შემდეგ, როდის მივიღებთ რამეს სამაგიეროდ? მათ უკვე რაღაც მიიღეს, უფრო მეტი ლეგიტიმურობა. პუტინი ისეთი კლუბების წევრი გახდა, სადაც მას აქამდე არავინ შეუშვებდა. გარდა ამისა, რუსეთმა უნდა მიიღოს ეკონომიკური დივიდენდები.

**- თქვენ “ახალი ნატო-ს” ერთ-ერთი მთავარი არქიტექტორი ბრძანდებით და, ალბათ, ყველაზე კარგად შეგიძლიათ, აუხსნათ ქართველ მკითხველს, რა არის ნატო და რაში მდგომარეობს მისი უმთავრესი მისია?**

- ნატო-ს ხუთი უმთავრესი მიზანი აქვს. პირველი, უზრუნველყოს აშშ-ს მუდმივი ყოფნა ევროპაში. მეორე, შექმნას გარემო, სადაც გერმანია შეძლებს უსაფრთხოდ არსებობას, გამორიცხოს ევროპაში ომის დაწყების საშიშროება და შეინარჩუნოს გაერთიანებული სამხედრო სარდლობა ევროპაში. მესამე, ხელი შეუწყოს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ინტეგრირებას მსოფლიოში. მეოთხე, გამოიყვანოს რუსეთი საკუთარი ნაჭუჭიდან და მეხუთე, დაასრულოს კონფლიქტები აღმოსავლეთ ევროპაში, მაგალითად, ბოსნიასა და კოსოვოში. ამის გარდა, ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ნატო-ს ეკონომიკური განზომილება, რომელიც თავდაპირველად მარშალის გეგმას, შემდეგ ევროკავშირის შექმნას მოიცავდა. ნატო ითვალისწინებს უსაფრთხოების სხვა ელემენტებსაც. ქვეყანა უსაფრთხოა, როდესაც მას აქვს დემოკრატია, სამართლიანი სოციალური სისტემა, როცა ეკონომიკა მუშაობს და ქვეყანას გააჩნია თავდაცვის სისტემა, როგორც სამხედრო, ისე არასამხედრო საფრთხის მოსაგერიებლად. ეს ყველა კომპონენეტი ერთად უსაფრთხოებას ქმნის. დღეს დასავლეთ ევროპაში ქვეყნებს შორის ომის დაწყება სრულიად წარმოუდგენელია. გარდა ამისა, არის მეორე განზომილებაც - ღირებულებები. ჩვენ გვწამს, რომ განვითარებული და დემოკრატიული ქვეყნები ნაკლებად აგრესიულნი არიან და მეტად ისწრაფვიან დავების მშვიდობიანი გზით გადაჭრისკენ, როგორც ერთმანეთთან, ისე მშიერ და არადემოკრატიულ ქვეყნებთან. ეს იდეა შეიძლება გულუბრყვილოდ ჩანდეს, მაგრამ დასავლეთ ევროპაში მან იმუშავა. იმუშავებს კი იგი კავკასიაში? ბალკანეთში მშვიდობა დამყარდა, რაც ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ არარეალურად ჩანდა. ახლა ბევრი ფიქრობს, რომ დემოკრატიისა და განვითარების გზით კავკასიაში და რუსეთში მშვიდობის მიღწევა უტოპიურია. ჩემი აზრით, ისინიც ცდებიან. ერთი არსებული და ერთი პოტენციური ზესახელმწიფო - აშშ და ევროკავშირი, ბევრს აკეთებენ ამ მიზნის მისაღწევად. თუ ჩვენ სწორად წავმართავთ ჩვენს პოლიტიკას, ვფიქრობ, შევძლებთ ამ ქვეყნებისთვის დახმარების აღმოჩენას. შეიძლება ეს გულუბრყვილოდაც ჟღერდეს, მაგრამ ისტორიაში პირველად გაჩნდა საერთაშორისო ურთიერთობების ახლებურად მოწყობის შანსი. შეიძლება, ჩვენ მისი გამოყენება ვერ მოვახერხოთ, მაგრამ ცდა ნამდვილად ღირს.

**- თქვენი აზრით, სადამდე შეიძლება გაფართოვდეს მშვიდობისა და უსაფრთხოების ზონა, აქვს თუ არა მას ბუნებრივი საზღვარი?**

- მე ვიტყოდი არა გაფრთოებას, არამედ - გაზიარებას. სახელმწიფოების მიერ პოლიტიკური და სოციალური დემოკრატიის იდეების გაზიარება, ეკონომიკის მდგრადი განვითარების მიაღწევა, რომელსაც სამართლიანობის გარკვეული ხარისხიც ახლავს თან, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფორმალური კავშირები.

მშვიდობისა და უსაფრთხოების ზონის გაფართოების იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ის ღირებულებები და პრინციპები, რომლებმაც დასავლეთში იმუშავა, სხვაგანაც უნდა გავრცელდეს. მათი გავრცელებისთვის საზღვრებს მე ვერ ვხედავ. ეს არ ნიშნავს ევროპული ინსტიტუტების უსაზღვროდ გაფართოებას, ეს ამ ზონის დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების მეშვეობით გავრცელების შესაძლებლობას ნიშნავს.

**- როგორ შეაფასებდით იმ პროგრესს, რომელიც ბოლო 10 წლის მანძილზე მიაღწია საქართველომ დემოკრატიისა და რეფორმების გზაზე.**

- საქართველომ საკმაოდ დიდ წარმატებებს მიაღწია. რომ შეადარო საქართველო აზერბაიჯანს, აქ არის სიტყვის თავისუფლება, იქ კი - არა. შევარდნაძე სამ წელიწადში დატოვებს პოსტს, უზბეკეთის პრეზიდენტი კი ამას წინათ სამუდამო პრეზიდენტად გამოცხადდა. თხუთმეტივე პოსტსაბჭოურ რესპუბლიკას იმ თვსალსაზრისით რომ შეხედო, თუ ვინ წავიდა ყველაზე წინ, საქართველო საუკეთესო სამეულში ან ოთხეულში მოხვდებოდა. რომ შეადაროთ თქვენი პრეზიდენტი დანარჩენ პოსტსაბჭოურ ლიდერებს, რომლებიც კომუნისტური ნომენკლატურიდან მოვიდნენ, შევარდნაძე ყველაზე დემოკრატიულია. არა მგონია, რომელიმე ქართველს სურდეს შუა აზიაში ან მოლდოვასა და ბელორუსში ცხოვრება. მაგრამ მთავარი სხვა რამეა: დემოკრატია ერთ დღეში არ მოდის, იგი უნდა დაიმსახურო. რამაც გამაკვირვა ამ ქვეყანაში, ეს ნიჭიერი ხალხის დიდი რაოდენობაა, რომელიც პროფესიონალურად და ღიად საუბრობს პრობელემებზე და იმაზე, რა უნდა გაკეთდეს. ამას ცენტრალურ ევროპაშიც კი ვერ ნახავთ. თუმცა, აშკარაა, რომ ქვეყანას რაღაც აკლია, მე არ ვიცი, რა. აქ არსებული ადამიანური პოტენციალი იძლევა იმის საშუალებას, რომ რაღაც გაკეთდეს. საქართველო არავითარ შემთხვევაში არ არის არშემდგარი ქვეყანა და არც იქცევა ასეთად. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გვახსოვდეს, ამ ქვეყნის მომავალზე პასუხისმგებლობა ეკისრება არა იმ თაობას, რომელიც საბჭოთა კავშირიდან მოვიდა, არამედ იმ თაობას, რომელიც ახლა მოდის და რომელსაც ძალიან ძვირფასი რამ დარჩა ძველი თაობისგან - შანსი, ყველაფერი თავიდან დაიწყო და საზოგადოება შეცვალო, მისგან რაღაც ჭეშმარიტი შექმნა.

გილოცავთ ამ გაზეთის დაარსებას. ვფიქრობ, რაც მეტი იქნება ამგვარი ორგანიზაციები, მით უფრო სწრაფი იქნება პროგრესი საქართველოში.

დალიეთ "კოკა-კოლა" და იმღერეთ "სულიკო" B4

"ნოეს ახალი კიდობანი" კარპატებში დაეშვა B5

ჟორდანია წინასაარჩევნოდ უეფა-ში იმაგრებს პოზიციებს B7

www.24hours.ge

24

B

# მელომანების სათაყვანებელი ბობ მინცერი



ბესო გულაშვილის ფოტო

B2 სტილი B3 რეკლამა B4 კულტურა B5 კულტურა B6 სპორტი B7 სპორტი B8 სხვადასხვა

# დამაინტრიგებელი ლენი კრავიცი და 80-იანი წლების ნოსტალგია

## ანუ, როგორ იქმნება იმიჯი სათვალით


დევიდ ბექჰემი


ლუჩანო პავაროტი


პრინცი ჩარლზი


ბილ კლინტონი


ფიდელ კასტრო


მელანი გრიფიტი

REUTERS

თამარ ბაბუაძე

მე აშშ-ს დიდ ქალაქებში მინახავს, თორემ, რა თქმა უნდა, ყველგან იქნებიან: თმადაკუწკუწებული შავკანიანები, რომელთაც სათვალე არა მხოლოდ თვალებზე უკეთიათ, მთელ ტანზე აქვთ "ასხმული" და გატაცებით "მღერიან" – "ოქლი შეიდს", "გუდ ოქლი შეიდს", ზოგჯერ იქვე, ექსპრომტად გამოგონილ მელოდიაზე არც აცეკვებას თაკილობენ. შავკანიანთა გოსპელივით კი ჟღერს, მაგრამ, სინამდვილეში, ეს მომღერლები ქუჩის ბაზრობებიდან არიან, ტურისტების მოახლოებას უკვე სუნით გრძნობენ და სათვალეების ხოტბას, ვინ იცის, უკვე მერამდენჯერ იმეორებენ ხალისიანად. Oakley-ს გარდა, ქუჩის გამყიდველები "ნამდვილ" CK-საც ჰყიდიან, Nike-საც, Liz Claiborne-საც, Gucci-საც და Fendi-საც და ისევე, როგორც Oakley-ს, მათაც სულ რაღაც ხუთ-ათ დოლარად.

ჰო, თითქმის, ჩვენებური ბოშებივით და თბილისში შემოსული "ვერსაჩეს" მაისურებივით არის, მაგრამ, რას ვიზამთ – ტურისტები ხშირად ყველა ქვეყანაში სიამოვნებით იტყუებენ თავს და კაპიკებად ყიდულობენ ნამდვილ, პირდაპირ ქარხნიდან წამოღებულ (ვითომ) Nike-ის სპორტულ ფეხსაცმელს და Gucci-ს სათვალეებსაც.

ტურისტები თავს კი იტყუებენ, მაგრამ ეს სასტიკად არ მოსწონთ სპეციალისტებს. ისინი დაჟინებით გვასწავლიან, რომ ძვირფასი სათვალე ფუფუნება არ არის, ის ჯანმრთელობისათვის მეტად აუცილებელი ატრიბუტია. მზის სათვალემ, უპირველეს ყოვლისა, თავისი უმთავრესი ფუნქცია უნდა შეასრულოს – თვალი ზაფხულის მავნე მზისა და ულტრაიისფერი გამოსხივებისგან დაიცვას.

არჩევანი ასეთ სათვალეებშიც დიდია, მაგრამ არ დაიბნეთ. მთავარია, იცოდეთ 2002 წლის ზაფხულის მოდური ტენდენციები და მერე ცხოვრება უფრო მშვენიერი გახდება.

მაშ ასე – წელს მოდაშია 80-იანი წლებით შთაგონებული ჩარჩოები, მაღალტექნოლოგიური, სპორტული და მდიდრული სათვალეები. ერთი სიტყვით, მოდაშია ცოტ-ცოტა ყველაფერი. გააჩნია თქვენს სტატუსს, გემოვნებას და საერთო სტილს.

კიდევ ერთი საჭირო ინფორმაცია. სათვალე სახეს უნდა მოუხდეს, სახე კი, ძირითადად, შვიდი ფორმის არის: რომბის, ოვალის, ამობრუნებული სამკუთხედის, ჩვეულებრივი სამკუთხედის, კვადრატის, მრგვალი და მართკუხედი ფორმის. ანუ, სანამ მაღაზიებს დაივლიდეთ, ჯერ სარკეში რეალურად შეაფასეთ საკუთარი სახის "შესაძლებლობები", ის შემდეგ ზაფხულის ახალ ჰიტებს შეუსაბამეთ, და იქნებ, სწორი არჩევანიც გააკეთოთ. გამხნევების მიზნით კი გეტყვით, რომ ამერიკელები ყოველივე ამას მშვენივრად ახერხებენ – მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში მათ 96 მილიონი წყვილი მზის სათვალე შეიძინეს და შეჩერებას არც ამ სეზონზე აპირებენ...

ახლა კი თქვენს წინაშეა 80-იანი წლების მოგონებები: დიდი, ფართო და თითქოს, მსუქანიც – ასეთი ჩარჩოები შეიძლება ყოველდღიური მოხმარებისთვის კომფორტული არ იყოს, მაგრამ ნუ დაიწუნებთ. ამ გრანდიოზულ ჩარჩოს შეუძლია თქვენს ჩაცმულობას სწორედ ის დამაგვირგვინებელი შტრიხი შესძინოს, რაც კიდევ უფრო გემოვნებიანს გამოგაჩენთ. თანაც, სადაც არ უნდა იყოთ – პლაჟზე თუ ქალაქში. 80-იან წლებს დახვეწილად იგონებს Fendi თავის ახალ კოლექციაში და რამდენიმე დიდი ზომის სათვალეს გვთავაზობს, ძირითადად, შავი და იასამნისფერი ჩარჩოთი.

მაღალტექნოლოგიური შეიძლება იყოს არამხოლოდ სარეცხი მანქანა. ასე ეძახიან სათვალეებს, რომლებიც, ასოციაციურად, კომპიუტერებს, კომპაქტ-დისკებს და ციფრულ ფოტოაპარატებს გაგონებთ. ასეთია, მაგალითად, CK-ს ახალი, ვერცხლისფერი მეტალის, ლურჯშუშიანი სათვალე, რომელიც ყინულივით ცივ შესახედაობას მოგანიჭებთ.

ასეთია, საერთოდ უხრახნო და უჩარჩოო სათვალეც Maui Jim-ის Titanium Sport კოლექციიდან, რომელიც სუპერ-მსუბუქია (ის სულ 11 გრამს იწონის) და თვალს ულტრაიისფერი სხივებისგან თითქმის სრულყოფილად იცავს. მაღალტექნოლოგიურ შესახედაობას მოგანიჭებთ Oakley-ს ახალი კოლექციის ძირითადად სპორტული სათვალეებიც.

სპორტულ თემატიკას, რა თქმა უნდა, არც Nike ღალატობს. მისი ზაფხულის სიახლე მხედველობის პრობლემით შეწუხებულ მომხმარებელზეა გათვლილი. უფრო ზუსტად, Nike-ს ახალ სათვალეებს სპეციალურად ახლო და შორს მხედველებისთვის ნომრიანი შუშები მოჰყვება, რათა მომხმარებელმა სპორტული თამაშების დროს თვალები მზისგანაც დაიცვას და საგნების გარჩევაც ნორმალურად შეძლოს.

Bolle კი უფრო შორსაც მიდის და მზის სათვალეს საგანგებოდ ჩოგბურთელთათვის უშვებს. ეს სათვალე ჩოგბურთელს საშუალებას აძლევს, ბურთი გარკვევით დაინახოს, ამავე დროს, ის ბლოკავს კაშკაშა შუქს და მავნე ულტრაიისფერ სხივებს.

იტალიური Serengeti მძღოლებისთვის ზრუნავს. მისი ახალი სათვალე ექსკლუზიურად მძღოლებისთვის არის განკუთვნილი და მათ გზის, ხეების, საგზაო ნიშნების და საერთოდ ყოველი წვრილმანის უკეთ დანახვაში ეხმარება, თანაც, ისე, რომ ეფექტურად ბლოკავს მზის შუქსაც.

ძვირფასი სათვალის ჯერიც დადგა, ანუ ისეთის, ფუფუნების საგანი უფრო რომაა. ასეთებს, ძირითადად, CK, დონა კარანი, ჯორჯო არმანი, შანელი ამზადებენ. წელს მოდაშია უჩარჩოო, ეგზოტიკური მეტალებით დამზადებული სათვალეები. და ელიტარული დიზაინერებიც ფორმების, მეტალების და შუშის ფერების შერჩევისას უკიდეგანო ფანტაზიას იყენებენ. მაგალითად, ჯორჯო არმანის მოდელი №2516 ავიღოთ. ის თვალებსა და საფეთქლებზე მჭიდროდ მომდგარი, შავი პლასტიკატის ჩარჩოიანი სათვალეა, რომელსაც თან რამდენიმე ფერის მაგნიტური შუშა მოჰყვება: ცისფერი და მწვანე, იასამნისფერი და ყავისფერი, მწვანე და ნაცრისფერი, ან ყვითელი და ყავისფერი... ანუ, რაც უფრო უცხო ფერის იქნება თქვენი შუშა, მით უფრო მოდურად ჩაგთვლიან. თანაც, გახსოვდეთ, რომ კარგი სათვალე მოდის ყოველწიურ ვარიაციებსაც უძლებს და რამდენიმე სეზონზე "მუხლჩაუხრელად" გემსახურებათ.

კვლავაც მოდაშია Oliver Peoples (OP) სათვალეები. მის ნაწარმს ელტონ ჯონი და ლენი კრავიცი დღემდე არ ღალატობენ. ეს ვარსკვლავები თვლიან, რომ OP მათ იდუმალი, მიუწვდომელი და დამაინტრიგებელი ადამიანის იმიჯს უქმნის.

ლიზ კლეიბორნის სათვალის სპეციალისტის, ლესლი მიულერის ცნობით კი, წელს მოდაში კვლავ შემოვიდა ჟაკლინ კენედის სათვალის სტილი. დღეს ასეთ სათვალეს მსახიობი სარა ჯესიკა პარკერი იყენებს. შერონ სტოუნი 80-იანი წლების ნოსტალგიაშია გადავარდნილი და კანის ფესტივალიდან დაწყებული, დიდჩარჩოიან სათვალეს არ იშორებს.

როცა სათვალეზე გაორმაგებული ასო C-ს ლოგოს დაინახავთ, უკვე იცით, რომ ამ წამოწყების უკან შანელი დგას, მაღალი მოდის სიმბოლო. მისი ახალი უჩარჩოო, სწორკუთხეებიანი სათვალის მოდელი ისე პრესტიჟულად მიიჩნიეს, რომ ოქროს გლობუსის ცერემონიალზე ის საჩუქრად ნომინანტებს დაურიგეს. მათ შორის: ჯულია რობერტსს, სანდრა ბალოქს, რენე ზელვეგერს და კეიტ ჰადსონს.

დაბრუნდა Rayban-ის მოდაც. ახალ Rayban-ს Shooter ჰქვია. მას მეტალის წვრილი ჩარჩო და პლასტიკატის ბოლოები აქვს. Rayban-ის ახალი მოდელის ჩარჩო ოქროსფერი, ვერცხლისფერი, შავი და ნაცრისფერი არსებობს. შუშები კი – ლურჯი, ვარდისფერი, ოქროსფერი და ტრადიციული Rayban-სეული – მონაცრისფრო-მომწვანო.

თავადაც ხომ დარწმუნდით, არჩევანი დიდია. თუმცა, სანამ მზის სათვალის საშუალებით, იდუმალის, მხიარულის, სასაცილოს და კიდევ ათასი მოდური იმიჯის შექმნას შეეცდებოდეთ, ექიმის რჩევები გაითვალისწინეთ. ამერიკელი დოქტორი, ჯეფრი ვივერი ამტკიცებს, რომ სანამ იგივე შერონ სტოუნს და ლენი კრავიცს მივბაძავდეთ, ჩვენმა სათვალემ ულტრაიისფერი სხივების 99-100 პროცენტის დაბლოკვა უნდა შეძლოს, სინათლის კი – 75-90 პროცენტის.




# მესამე თაობის მობილურები აზიური წარმოშობისაა

ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში მესამე თაობის მობილური კავშირები ტელეკომ-ინდუსტრიისა და მისი განვითარების აზიური ვარიანტის ბუმად იქცა. სეულსა და სხვა საფეხბურთო ქალაქებში, ფუტურისტულ ეროვნულ სამოსში - ხანბოკში გამოწყობილი გოგონები, მომავლის ტელეფონის გამოცდის მსურველებს ეხმარებოდნენ ფოტოებისა და ვიდეოკლიპების გაგზავნაში.

მსოფლიო მარკეტინგული კვლევის ცენტრმა იწინასწარმეტყველა, რომ 2007 წლისთვის მობილური ტელეფონების მხოლოდ 27% იმუშავებს მესამე თაობის რეჟიმში.

ლონდონის კომპანიის ანალიტიკოსმა პაოლე პესკატორემ დაასკვნა, რომ ჩემპიონატი ახალი ტექნოლოგიის გავრცელების ძლიერი იმპულსი გახდება.

იაპონური კომპანია NTT DoCoMo, რომლის დებიუტიც შარშან გაიმართა, ფეხბურთის ფანებს მატჩებიდან ოთხწუთიან ვიდეოფრაგმენტებს სთავაზობდა. კომპანიამ ყველა ქალაქში გააბა ქსელი.

მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ მარტში იაპონიაში 4 000 ფოტოობიექტივიანი მობილური გაიყიდა, მწარმოებლები მესამე თაობის პოპულარობის დაბალ ხარისხს უჩივიან, რაც, ექსპერტთა ანალიზით, უკვე არსებული მეორე თაობის მობილურების დამაკმაყოფილებელი მომსახურებით აიხსნება.

NTT DoCoMo-ს ადგილობრივმა კონკურენტმა კომპანია KDDI-მ მესამე თაობის ტექნოლოგიაზე გადასვლის ხავერდოვანი გზა აირჩია და გაამართლა. მან მეორე თაობის ქსელი განაახლა და ჯერ უზრუნველყო მონაცემთა დიდი სიჩქარით გადაცემა. კომპანია ახალ ქსელზეც მცირე დანაკარგებით გადავიდა, მისი კლიენტები პროგრესს თანდათან მიყვნენ.

პლატფორმის შეცვლა სამხრეთკორეულმა კომპანიებმაც გადაწყვიტეს. ამრიგად, მესამე თაობის სტანდარტისთვის ბრძოლა გრძელდება.

ევროპულმა კომპანიებმაც გადაწყვიტეს W-CDMA პლატფორმაზე გადასვლა, რომ არ შეეჯახონ ამერიკულ კომპანიას Qualcomm, რომელსაც პატენტი აქვს სტანდარტზე CDMA2000. აშკარაა, რომ აზიური ფირმები საერთაშორისო როუმინგის ტორტიდან ნამდვილად დიდ ნაჭერს მიიღებენ.

მომავალი წლის მარტში Korea Telecom ახალ მომსახურებას სრულმასშტაბიან რეჟიმში აამოქმედებს და წინასწარმეტყველებენ, რომ მსოფლიოს 80% მესამე თაობას აღიარებს.

სატელევიზიო რეკლამების კვლევა და მონიტორინგი
ჯორჯიან რისარჩი
ჯორჯიან რისარჩი სატელევიზიო რეკლამების მონიტორინგს აწარმოებს 1997 წლის მაისიდან. ამ პერიოდიდან ჩვენ მოგვეპოვება სრული მონაცემები საქართველოს სატელევიზიო სარეკლამო ბაზრის შესახებ.
- რამდენი სარეკლამო რგოლი იქნა გაშვებული თქვენთვის საინტერესო არხზე ერთი დღის/კვირის/თვის/წლის განმავლობაში
- რამდენი წამი/წუთი/საათი ეჭირა მოცემული არხის ეთერში დროის მოცემულ შუალედის რეკლამას
- როგორი იყო ამ მონაცემთა პროცენტული განაწილება არხებზე რომელ სატელევიზიო გადაცემაში მოხვდა რეკლამის მაქსიმალური რაოდენობა (მაღალრეიტინგული გადაცემები)
- რომელ არხზე გავიდა ყველაზე მეტი რეკლამა
- რომელი არხის ეთერში უჭირავს რეკლამას ყველაზე დიდი დრო და ა.შ.
ეს მონაცემები დაგეხმარებათ სარეკლამო კამპანიის სწორად დაგეგმვასა და წარმართვაში. ჩვენი შედეგების მიღება შესაძლებელია ყოველკვირეულად ან 10 დღეში ერთხელ, ან ყოველთვიურად. ეს შესაძლებელს ხდის ოპერატიულად შეცვალოთ სარეკლამო პოლიტიკა და უფრო მოქნილი გახადოთ იგი.
ჩვენი ტელეფონებია: 25-35-48; (899) 51-19-94


სატელეფონო კავშირი
8-07
www.online.ge

# მელომანების სათაყვანებელი ბობ მინცერი

## დღეს ფილარმონიაში ტრადიციული ჯაზის თაყვანისმცემლები ისიამოვნებენ

ვერა ნეფარიძე

წუხელ თბილისში British Airways-ის ავიახაზებმა (ნიუ-იორკი-ლონდონი-თბილისი) ნიუ-იორკელი ჯაზმენები ჩამოიყვანა. ქართველი მელომანების სათაყვანებელი ბობ მინცერი უკვე თბილისშია.

ამერიკელ მუსიკოსებს წუხელ აეროპორტში მასპინძლები: "ისთერნ პრომოუშენის" წარმომადგენლები, თბილისის ბიგ-ბენდის ხელმძღვანელი გივი გაჩეჩილაძე (ბენდის რამდენიმე წევრთან ერთად), მუსიკათმცოდნე მაია დათუნაშვილი და ქართული თეატრალური სივრციდან ჯაზის დიდი თაყვანისმცემლები: გაიოზ კანდელაკი და დათო საყვარელიძე დახვდნენ. ბობ მინცერი საქართველოში საკუთარ რიტმ-სექციასთან ერთად ჩამოვიდა. დრამერი ჯონ რილი, ბასისტი ჯეი ანდერსონი და პიანისტი ფილ მარკოვიჩი, ისევე როგორც მინცერის ორკესტრის მთელი შემადგენლობა, ჯაზის სამყაროში თვალსაჩინო ფიგურები არიან.

წუხელ აეროპორტში ბობ მინცერმა და გივი გაჩეჩილაძემ გაიხსენეს დანიაში ათი წლის წინანდელი შეხვედრა, როდესაც საქართველოში მიწვევაზე მინცერმა გაურკვევლად უპასუხა: "სიამოვნებით ჩამოვიდოდი, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდები, სად არის ეს ქვეყანა". მას შემდეგ დიდი დრო გავიდა: საქართველო დამოუკიდებელი ქვეყნისათვის შესაფერისი კონტურებითაა აღნიშნული მსოფლიო რუქაზე და ფესტივალზე მიწვევისას "ისთერნ პრომოუშენს" არ დასჭირვებია დრო, ამერიკელი მუსიკოსისთვის გეოგრაფიული მდებარეობის ახსნაზე; სიმართლე რომ ვთქვათ, ბობ მინცერიც აღარაა ის მუსიკოსი, ვინც დანიის რომელიღაც უცნობი (ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის) ქალაქის კლუბში მართავს გაუხმაურებელ კონცერტებს (სწორედ იქ გაიცნეს გივი გაჩეჩილაძემ და გაიოზ კანდელაკმა ბობ მინცერი) – თებერვალში მინცერმა ამერიკის მუსიკალური აკადემიის უმაღლესი ჯილდო, "გრემის" გრამოფონი აიღო. მინცერის წარმატებული კარიერა გარკვეულწილად განსაზღვრა დასაწყისში ისეთ ფიგურებთან მუშაობამ, როგორებიც არიან: დეო დატო, ტიტო პუენტე, ტედ ჯონსი და მელ ლუისი. ჯაზის ავტორიტეტებთან (ბადი რიჩი, ვუდი გერმანი, დევიდ გრუზინი) მრავალწლიანი შემოქმედებითი თანამშრომლობის შემდეგ კი მინცერი თავად იქცა უდიდეს ავტორიტეტად. დღეისათვის იგი მსოფლიოში ერთ-ერთი პოპულარული, "ფიუჟენის" მეორე თაობის ჯგუფებს შორის ყველაზე გამორჩეული, ანსამბლ Yellow Jackets სოლისტია. სამასამდე ფირფიტა გამოშვებული აქვს ისეთ ისეთ მუსიკოსებთან ერთად, როგორებიც არიან: ტედ ჯონსი, მაიკლ ფრენკსი, დაიანა როსი, ბადი რიჩი, "ქუინი" და მრავალი სხვა.

"არაჩვეულებრივი გრძნობაა, როდესაც სცენაზე უყურებ მას. მან იცის, როგორ უნდა გაგრძნობინოს თავი კარგად, როგორ მოგიყვანოს აღტაცებაში. თუმცა, ყველაფერი ეს ზომიერების ფარგლებში ხდება, რაც ოცდახუთწლიანი მუშაობის შედეგია", – წერენ მასზე დასავლეთის გავლენიანი პერიოდული გამოცემები. ევროპელი კრიტიკოსების უტყუარობაში ქართველი მსმენელი დღეს საღამოს დარწმუნდება.

# ფერებით საუბრის ხელოვნება

## N გალერეაში ეკა სირაძის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა

ნანა ბასილაშვილი





ჭუპრიდან ამოღებულ ფთილაზე, აბრეშუმის ნაჭერზე, ბატიკასა და გობელენზე ორიგინალურად შესრულებული ნამუშევრები საზოგადოებას დასათვალიერებლად და შესაფასებლად ტექსტილისტ-დიზაინერმა, ეკა სირაძემ წარმოუდგინა. N გალერეის სივრცეში გამოფენილი არატრადიციული მასალისგან შექმნილი უცნაური ექსპოზიციები დამთვალიერებელს მართლაც სასიამოვნო განწყობას უქმნიდა. დარბაზში შეკრებილი საზოგადოების უმრავლესობა ვერნისაჟის მასპინძლის ნაცნობ-მეგობრები, კოლეგები და პედაგოგები (მედეა ჩიხლაძე, ნანა კიკნაძე, თინა მაცაბერიძე, გივი ყანდარელი, ვიქტორ ჭუმბურიძე და სხვანი) იყვნენ. ამ უკანასკნელთათვის მხატვრობის ეს დარგი კარგად ნაცნობი, არაპროფესიონალთავის, კი, - აღმოჩენა იყო. დამთვალიერებლები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ დარბაზის სივრცეში გაშლილი ულამაზეს ფერთა პალიტრა მათ სიმშვიდესა და სიხალისეს ანიჭებდა.

სახვით ხელოვნებაში ზედმიწევნით განსწავლულობა სულაც არაა საჭირო იმისათვის, რომ ეკა სირაძის ნამუშევრებში ფერის გრძნობა, დახვეწილი გემოვნება და ტაქტი შენიშნო. დაკვირვებული თვალი იმასაც შეამჩნევს, რომ მის კომპოზიციურ აზროვნებაში ნაკეთობის საექსპოზიციო სახეც აისახება. ამაზე აბრეშუმის, ბატიკისა თუ ქაღალდის ორიგინალურად გაწყობილი ჩარჩოები მეტყველებს. ძალზედ საინტერესო იყო, ერთი შეხედვით, აბსოლუტურად შეუფერებელი მასალის სინთეზი, აბრეშუმის ქაღალდი და რკინის დეტალები, სიმინდის ფუჩეჩებისა და ბამბუკის კომბინაციები და ა.შ.

ეკა სირაძე ქართული ტექსტილის 80 - კაციანი ჯგუფის წარმომადგენელია. 1991 წელს სამხატვრო აკადემია ქსოვილის დიზაინერის სპეციალობით დაამთავრა. მას შემდეგ მოღვაწეობს, როგორც თავისუფალი მხატვარი. თუმცა, ამ ხნის განმავლობაში, 1996 წლიდან კულტურის ინსტიტუტში მუშაობდა; ეკა სირაძე მონაწილეობდა არაერთ ჯგუფურ გამოფენაში, ეს კი მისთვის რიგით მესამე პერსონალური გამოფენაა. დამოუკიდებლად იგი პირველად 1993 წელს, თბილისში გამოიფინა. 1995 წელს კი გერმანიაში, როგორც თავად აღნიშნავს, საკმაოდ წარმატებულად. ამჟამად ეკა სამხატვრო აკადემიაში ბატიკაზე მუშაობას ასწავლის.

N გალერეაში გამოფენილი ბოლო შვიდი წლის ნამუშევრებში პროფესიონალთათვის შესამჩნევი იყო, რომ ტექსტილისტ-დიზაინერი აშკარად ცდებსა და ძიებაშია. "იგი იმ თაობის წარმომადგენელია, რომლებმაც ამ ხელოვნებაში რევოლუცია მოახდინეს. აქ არის ქართულ წნეხში გატარებული დღევანდელი მსოფლიოს გამოძახილი. ავტორისეული ცდები და ექსპერიმენტები უდიდეს იმედს იძლევა", - აღნიშნა სამხატვრო აკადემიის ქსოვილების კათედრის გამგემ გივი ყანდარელმა.

ბატიკაზე მუშაობას ანუ, უფრო სწორად (როგორც დოცენტმა ნანა კიკნაძემ შემისწორა), ქსოვილის ხელით მოხატვას ჩვენში არც თუ დიდი ხნის ისტორია აქვს (ამ სპეციალობას პროფესორმა მედეა ჩიხლაძემ თბილისის სამხატვრო აკადემიაში 1980 წელს ჩაუყარა საფუძველი). ამის მიუხედავად, ეს დარგი საქართველოში პროგრესულად ვითარდება. 1997 წელს თბილისში ტექსტილის საერთაშორისო სიმპოზიუმიც მოეწყო. სიმპოზიუმზე ჩამოსულები იყვნენ ამ დარგის უცხოელი სპეციალისტები.

"ქართული ტექსტილის წინსვლა, იქნება ეს შიბორის ტექნიკა, მოთელვა, თუ სხვა რამ, უცხოელი კოლეგების დამსახურებაა. თუმცა ისინი ჩვენგან ყველაზე მთავარს, მხატვრობას სწავლობენ, მაგრამ ეს სფერო ურთიერთ გაცვლის გარეშე შეუძლებელია", – გამესაუბრა პროფესორი მედეა ჩიხლაძე.

N გალერეაში წარმოდგენილი ნამუშევრები ავტორმა შეგნებულად უსათაუროდ გამოფინა. "დამთვარიელებელს ვთავაზობ აბსოლუტურად თავისუფალ არჩევანს, რათა თავად ამოიცნონ თემა და დაინახონ ის, რისი დანახვის საშუალებასაც ნახატი იძლევა", – აღნიშნავს ეკა სირაძე. მხატვარი დამთვარიელებლებს ერთ კვირს უმასპინძლებს.

# სპორტის სასახლე - „მზიურის" ალტერნატივა

## დალიეთ „კოკა-კოლა„ და იმღერეთ „სულიკო„

თამარ სუხიშვილი

გასული კვირის ბოლოს ქართველ პოპ-შემსრულებელთა ერთმა ჯგუფმა "მზიურში" წასვლას სპორტის სასახლეში თავმოყრა არჩია. ეტყობა, ამინდის ბიუროსაგან განსხვავებით, სწორად გათვალეს იმდღევანდელი ამინდის პროგნოზი და ღია ცის ქვეშ წვიმაში დასველებას საიმედო თავშესაფრის ქვეშ გამოსვლა არჩიეს.

სპორტის სასახლის მესამე სექტორი, რომელიც პირდაპირ უყურებდა სცენას, შვიდი საათისთვის უკვე შევსებული იყო, გარეთ შეკრებილი ჯიბეგაფხეკილი ფანები კი, ჩვეულებისამებრ, ცდილობდნენ, რამენაირად დარბაზში შეეღწიათ. თავიდან საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ უბილეთოები სპორტის სასახლეში ცხვირს ვერ შეყოფდნენ, მაგრამ თანდათანობით ქართველ მუსიკოსთა ცოცხალმა შესრულებამ კარებში მდგარი კონტროლიორები და დაცვის მუშაკებიც გაიტაცა და უბილეთოებმაც ფეხაკრეფით იწყეს შესვლა დარბაზში.

"33ა", "ზუმბა", "მწვანე ოთახი", "აუტსაიდერი", ნინო ქათამაძე და ჯგუფი "ინსაითი", "ჩვენ", "შუქი მოვიდა", "მთვარის კლუბი" და სხვანი 28 ივნისს მრავალფეროვანი რეპერტუარით წარდგნენ საკმაოდ მრავალფეროვანი აუდიტორიის წინაშე. ბუნებრივია, დარბაზში ახალგაზრდები ჭარბობდნენ, რომელთაც საზაფხულო არდადეგების პერიოდში ყველაზე მეტი თავისუფალი დრო აქვთ და გასართობი საღამოებიც ყველაზე მეტად ესაჭიროებათ, მაგრამ აქ თითქმის ყველა ასაკისა და თაობის წარმომადგენელს შეხვდებოდით. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ცნობილი ქართული ჯგუფებიდან რამდენიმემ ("33ა", "ზუმბა", "ინსაითი"...) უკვე დაიმკვიდრა თავისი ადგილი ჩვენს მუსიკაში და, საერთოდ, ჩვენს ყოფაში. საზოგადოებას სჭირდება მათი მუსიკა, რადგან მასში ხედავს იმას, რისი დანახვა თუ გამოთქმა სურს. ამიტომ, მაგალითად, ჯგუფ "33ა"-ს სოლისტის, ნიაზ დიასამიძის სიმღერათაშორისი რეპლიკები: ეს სიმღერა ეძღვნება იმ ადამიანებს, რომლებიც ვერ ბედავენ საკუთარი სათქმელის გამოხატვას და მისთანანი - გულთან ახლოს მიჰქონდა აუდიტორიას და დარბაზი გამოძახილით ხვდებოდა.

"33ა"-ს მუსიკა ქართველი მსმენელისთვის ძალიან მისაღები და ადვილად აღსაქმელია თავისი უშუალობით, სიმარტივით, ფოლკლორულობითა და ბუნებრიობით. ამ გულწრფელობას და სიმარტივეს კი ხალხი დღეს განსაკუთრებით არის მონატრებული. შეიძლება, არც იყო შემთხვევითი, რომ კონცერტი სწორედ ჯგუფმა "33ა"-მ გახსნა. კონცერტის დაწყებამდე და მისი მსვლელობის დროსაც ჯგუფის წევრები დიდხანს აწყობდნენ გიტარებს, და დროდადრო ხმამაღლა (თუმცა უფრო თავისთვის და არა სხვათა გასაგონად) პროზაულად ჩაურთავდნენ ხოლმე: რას იზამ, ზოგი გიტარა აშლილია, ზოგი აწყობილიო და ა.შ. პირველი სიმღერა, რომლითაც გაიხსნა კონცერტი, "ყველას უყვარს თოვლი" იყო, და მსმენელმაც ნელ-ნელა გაიწია სცენისკენ. ამას მოჰყვა სხვა სიმღერები ჯგუფის ყველასათვის კარგად ცნობილი რეპერტუარიდან და შედარებით ახალი სიმღერა გალაკტიონის "დროშები ჩქარას" ტექსტზე. განსაკუთრებული ტაშით შეეგება დარბაზი "33ა"-"ზუმბას" დუეტს, თუმცა არანაკლებ პოპულარული "ზუმბას" გამოსვლა ამით არ დამთავრებულა, ცოტა მოგვიანებით ჯგუფი თავისი ორიგინალური რეპერტუარითაც წარდგა მსმენელის წინაშე, აქცენტი ქართული მელოდიების არანჟირებაზე გააკეთა და დარბაზი ააცეკვა კიდეც. "მწვანე ოთახი" რატომღაც მისების გარეშე გამოვიდა (ჯგუფის წევრი მისები, ალბათ, ჯაზ-ფესტივალისთვის ინახავენ თავს), მაგრამ ამას "ნაზი მისების" შესრულებაში ჯგუფისთვის ხელი არ შეუშლია. სოლისტმა აჩიკო გულედანმა სწორედ ამ სიმღერის დროს სთხოვა დარბაზს, აგვყევითო, და თვითონვე იხუმრა: რა თქმა, უნდა, თუ ტექსტი იცით, ან საერთოდ გესმით, რას ვამბობთო.

საღამოს დაწყებიდან კარგა ხნის მერე გაირკვა, რომ კონცერტი, თურმე, მამუკა ბერიკას მიჰყავდა. წამყვანი დიდი ენაწყლიანობით არ გამოირჩეოდა, ეტყობა, იფიქრა, რომ ასე აჯობებდა. წამყვანს კინაღამ იმის თქმაც კი დაავიწყდა, რომ სპორტის სასახლის ფოიეში რამდენიმე გამომსვლელის კომპაქტ-დისკები იყიდებოდა. მოკლედ, მამუკა ძირითადად მხოლოდ ჯგუფების სახელებს აცხადებდა (ისიც ხანდახან), დანარჩენს კი თვითონ მუსიკოსები ამბობდნენ, თანაც ცოცხალი შესრულებით...

მე არ მესმის, როგორ შეიძლება მომღერალმა უარი თქვა იმ სიამოვნებაზე, რასაც ცოცხლად სიმღერა ჰქვია, - გულწრფელად გაიკვირვა ერთ-ერთ ინტერვიუში "ინსაითის" სოლისტმა ნინო ქათამაძემ. მართალია, ეს სიტყვები ფონოგრამასთან დაკავშირებული დიდი მღელვარების დროს იყო ნათქვამი, მაგრამ მის სიმართლეში ეჭვი არავის შეჰპარვია. "მომღერალი, რომელსაც წარდგენა არ სჭირდება", - ასე წარადგინა "ინსაითის" სოლისტი კონცერტის წამყვანმა და მაშინვე მიხვდა ყველა, რომ სცენაზე ნინო ქათამაძე ავიდოდა.



ნინო ქათამაძე

ნინო ქათამაძეს თავისი სცენურობითა და შესრულების გამორჩეული მანერით ახლაც არ გასჭირვებია დარბაზის დაპყრობა. აუდიტორია მონუსხულივით მისჩერებოდა "ინსაითის" სოლისტს. მისმა ხმის ტემბრმა და ენერგიამ მაყურებელი ჩაითრია და, რა თქმა უნდა, არც არავის მიუქცევია ყურადღება იმისთვის, რომ ცნობილი "სულიკოს" ტექსტში სულგანაბული ბულბულის ადგილი ვარდმა დაიკავა. დარბაზიდან აღტაცების შეძახილები ისმოდა, მსმენელთა ასეთი ერთგულებით გახარებული ნინო სცენიდან მადლობების თქმას ვერ აუდიოდა (კიდევ ერთი სიახლე ნინო ქათამაძის ფანებისათვის: ივნისში ნიკა მემანიშვილის დახმარებით "ინსაითის" კონცერტი ვენაში გაიმართება, ივლისის თვეში კი ჯგუფი საბერძნეთში გამართულ ფესტივალზე მიიღებს მონაწილეობას). ერთ რამეზე კი ძალიან დაწყდათ გული ნინო ქათამაძის ფანებს: "ინსაითის" სოლისტს, მათდა გასაკვირად, "ახ, ტურფავ" არ უმღერია.

კონცერტმა კარგა ხანს გასტანა, მაგრამ მსმენელებისთვის ხომ "დრო დროზე ჩქარა მიქრის", და გაფიქრება ვერც კი მოვასწარით ("დრო აღარ გვაქვს ჩვენ ფიქრის"), რომ უკვე გარეთ ამოვყავით თავი.

კონცერტს საქველმოქმედო ხასიათი ჰქონდა. მისი ორგანიზატორი იყო მეომარ ვეტერან-ინვალიდთა კავშირი "ფარი და მახვილი". კონცერტის დასასრულს მეომრები თავიანთი და დაღუპული მეგობრების ოჯახების სახელით მადლობას უხდიდნენ კონცერტის მონაწილეებს ასეთი თბილი საღამოს მოწყობისათვის. კონცერტიდან შემოსული თანხა (ბილეთი 5 ლარი ღირდა) სამაჩაბლოში დაღუპულთა მემორიალის აგებას მოხმარდება, რომელიც თამარაშენში დაიდგმება. დადგმით კი დაიდგმება, მაგრამ... ჯერ გასარკვევია, რა ზომის იქნება ეს მემორიალი და რა მასალისაგან დამზადდება. ეს ინფორმაცია განსაკუთრებით საინტერესო იქნებოდა ჩვენი ძეგლების მძარცველებისთვის.

იმ დღეს სპორტის სასახლეში ბევრი ბატი-ბუტი და კიდევ უფრო მეტი "კოკა-კოლა" გაიყიდა.



ლევან ხერხეულიძის ფოტოები

# „ნოეს ახალი კიდობანი" კარპატებში დაეშვა

## კავკასიური კულტურის განვითარების ცენტრი უკრაინას დაუმეგობრდა

მადი სერებრიაკოვა

ინტერნაციონალური პროექტი "ნოეს ახალი კიდობანი", რომელსაც უკრაინული სახელოვნებო ორგანიზაცია "ძიგა" ატარებს, უკვე დიდი ხანია არსებობს. ტრადიციულად იგი კარპატის მთებში, სრულიად მიყრუებულ ადგილას, ველური ბუნების წიაღში ტარდება და მასში მონაწილეობის მისაღებად ყოველწლიურად რამოდენიმე ხელოვანს (მუსიკოსებს, მწერლებს, მხატვრებს, დიზაინერებს, არტ-კრიტიკოსებს) ეპატიჟებიან დედამიწის ოთხივე კუთხიდან. წლევანდელი ფესტივალის მთავარი გმირები ქართველი არტისტები: მუსიკოსები ლადო და ბაკურ ბურდული, დიზაინერი ქეთი მესხი და ვიდეო-არტისტი მიხო ქოჩაკიძე იყვნენ.

ამ ორიოდ წლის წინ, როდესაც ლადო ბურდულმა კავკასიური კულტურის ცენტრი დააარსა, საკმაოდ ბუნდოვანი იყო, თუ რა წვლილს შეიტანდა იგი ქართული ალტერნატიული კულტურის, არატრადიციული ხელოვნების განვითარების საქმეში. თუმცა მოგვიანებით, ცენტრის მიერ ორგანიზებული რამდენიმე არტ-ფესტივალი თბილისში და მისი წევრების აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში – საკმაოდ მნიშვნელოვან მოვლენებად იქცა ადგილობრივი არტ-წრეებისთვის. მიუხედავად ამისა, “ნოეს ახალი კიდობანი” მაინც ბევრით გამოირჩეოდა დანარჩენებისგან.

პირველი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ “კიდობანში” ჩვეულებრივი ფესტივალებისგან განსხვავებით, სულაც არ ცდილობენ მაქსიმალური რაოდენობის ამა თუ იმ რანგის ვარსკვლავების მიპატიჟებას. აქ არც ბილეთები იყიდება და არც რეკლამების განთავსებაზეა თავ-პირის მტვრევა. ეს უკიდურესად ალტერნატიული, არაკომერციული პროექტი ორიენტაციას მარგინალურ არტისტებზე იღებს და სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა დაახლოებას ცდილობს. ამჯერადაც, ორგანიზატორებმა ქართველ მონაწილეებს რუსი, პოლონელი და უკრაინელი კოლეგები “მიამაგრეს”, საუკეთესო სამუშაო პირობები შეუქმნეს და - “აბა, თქვენ იცით და თქვენმა კაცობამო” – დაუბარეს. ჩვენი სვანეთის მსგავს გარემოში, სადაც ერთ მხარეს თხა კიკინებდა, ხოლო მეორე მხარეს - უკრაინელი “ხახოლები” ჩასტუშკებს მღეროდნენ – ქართველი სტუმრები ალტერნატიულ ესთეტიკას ავითარებდნენ. დეტალურად კი ეს ამბავი ასე ხდებოდა:

### რას იცვამენ უკრაინელი ხეები ანუ კულტურათა დიალოგი ბურდულების ინტერპრეტაციით

უკრაინული ხეების ჩაცმულობა, რომელიმე უხეირო პოეტის ფრთიანი მეტაფორა არ გეგონოთ. იგი სავსებით პირდაპირ გამოხატავს ქართველი დიზაინერის – ქეთი მესხის პერფორმანსის შინაარს. მესხის ტანსაცმლის ახალ კოლექციის დეფილე შუა მინდორში მოეწყო და მანეკენების ფუნქციას აქ კარპატების ბუნებისთვის დამახასიათებელი ჯიშის ხეები ასრულებდნენ. თვითმხილველებს თუ დავუჯერებთ, მათ ეს გადასარევად გამოუვიდათ და ბევრ წამყვან ტოპ-მოდელსაც არ დაუდეს ტოლი. როგორც ჩანს, ამ პერფორმანსმა საუკეთესოდ გამოხატა “ნოეს ახალი კიდობნის” ძირითადი იდეა, რომელიც განსხვავებული კულტურების, ბუნებისა და ცივილიზაციის “ახალი” კავშირების აღმოჩენას ითვალისწინებს. ქეთი მესხს კი იქვე გამოუჩნდნენ მიმდევრები და მისი თემის გასაგრძელებლად ქვებზე დაკრული საფოსტო მარკების ინსტალაციები გამოფინეს.

ამ ფოტოზე ლადო ბურდული Звуки Му-ს გიტარისტ ანდრეისთან და უკრაინელ გლეხთან – ტიმკოსთან ერთად არის წარმოდგენილი. ფესტივალ “ნოეს ახალ კიდობანის” ფარგლებში ლადო ბურდულს სწორედ მათ წრეში უხდებოდა ფრთების მუსიკალურად გაშლა. უფრო სერიოზულად კი, ლადოსა და ბაკურ ბურდულებს, რომელთაც ფესტივალის დასასრულს, ლვოვში, კლუბ Лялька-ში უნდა გაემართათ კონცერტი, ჯგუფის წევრებად სრულიად განსხვავეული კულტურების და მიმართულების წარმომადგენელი მუსიკოსები მიუჩინეს პოლონეთიდან და უკრაინიდან.

ყველაზე დიდი სიურპრიზი მუსიკოსებისთვის ის იყო, რომ იმ ქვეყნის დასალიერში, ცივილიზაციისგან მივიწყებულ ადგილას, სადაც ჩვეულებრივი მანქანაც ვერ აღწევს, მუსიკოსებს უმაღლესი კლასისა და სიმძლავრის მუსიკალური აპარატურა მოუმზადეს. “ხახოლი” ტიმკოც თავის თანასოფლელებთან ერთად ისიც ხშირად მართავდა ხალხური შემოქმედების კონცერტებს ფესტივალის არცთუ ხალხმრავალი, ძირითადად ისევ არტისტებისა და ჟურნალისტებისაგან დაკომპლექტებული პუბლიკის წინაშე.

Лялька-ში გამართული კონცერტი კი ერთობ წარმატებული გამოდგა. ბაკურმა და ლადომ ჩვენთვის ნაცნობი, უკრაინელებისთვის კი სრულიად უჩვეულო სიმღერები ახალ ინტერნაციონალურ შემადგენლობასთან ერთად წარმოადგინეს. ამ ყველაფერს საყოველთაო ძიგ-ძიგიც მოყვა და, რაც მთავარია, ბოთლების ერთმანეთის თავში წაშენაზე არც უფიქრია არავის.

განსხვავეული იყო ფესტივალზე ვიდეო-არტისტის – მიხო ქოჩაკიძის ფუქცია. იგი აქ ძირითადად დამკვირვებლის მოვალეობას ასრულებდა და უკრაინული აბანოსა და საკლუბო ცხოვრების დეგუსტაციას ახდენდა.

ფესტივალის მსველობის დროს “ძიგას” წევრებმა ქართველი არტისტებისა და “ნოეს კიდობნის” წლევანდელი ვერსიის შესახებ ფილმი გადაიღეს და მუსიკალური დისკიც ჩაწერეს. ამ ფილმის პირველი ჩვენება ამ კვირას, ლადო ბურდული საავტორო გადაცემაში შედგება. კავკასიური კულტურის განვითარების ცენტრის მომავალ გეგმებს რაც შეეხება, ლადო ბურდულმა, რომელსაც უკვე რამოდენიმე ფესტივალის ორგანიზება აქვს ზურგზე წამოკიდებული, გადაწყვიტა ამიერიდან ორიენტაცია სწორედ ასეთ – ვორკშოპის მსგავს ფესტივალებზე აიღოს და “რევანშის” ასაღებად უკვე დაიწყო კიდეც მასპინძელი უკრაინული ჯგუფების მასალების შესწავლა. სავარაუდოდ, “ნოეს ახალ კიდობანს” გაგრძელება ამ შემოდგომაზევე მოჰყვება.

# კინორეჟისორი, რომელიც უყვარდათ დიასახლისებს, კინოკრიტიკოსებს, საბჭოთა და ამერიკელ იდეოლოგებს

## გუშინ მსოფლიომ უილიამ უაილერის 100 წლის იუბილე აღნიშნა

გიორგი გვახარია

"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"




1995 წელს მსოფლიოს სვადასხვა ქვეყნის კინოკრიტიკოსთა ტრადიციული გამოკითხვა "ყველა დროისა და ხალხის ასი საუკეთესო ფილმი" კინოხელოვნების მეასე წლისთავს მიეძღვნა. გამარჯვებულებს შორის მოხვდა ამერიკელი რეჟისორის უილიამ უაილერის "რომაული არდადეგებიც" –ერთადერთი სურათი კინოს საიუბილეო ანკეტაში, რომელიც 60-იანი წლების დასაწყისიდან, როცა ფილმი საბჭოთა ეკრანებზე გამოვიდა, დღემდე, როცა ამ სურათს განუწყვეტლივ უჩვენებენ ჩვენი ტელეარხები, ფაქტიურად ყველა ქართველმა დიასახლისმა ზეპირად შეისწავლა. "რომაული არდადეგების" ფინალი ერთნაირად უჩუყებს გულს მრავალშვილიან დედებსა და შინაბრებს, შეყვარებულებსა და მიტოვებულებს. ყველას წყდება გული ამერიკელი ჟურნალისტისა და პრინცესა ანას რომაული რომანის სევდიანად დასრულების გამო. მითუმეტეს, როცა წინასწარ იცის ფინალი, ე.ი. აღარ არის დაძაბული სურათის სიუჟეტით და ფილმის პირველივე კადრებიდან ფიქრობს ეპილოგზე - რატომ არ შეიძლებოდა ისინი ერთად დარჩენილიყვნენ. იმ დიასახლისებს, რომლებიც "საპნის ოპერების" გარდა დღეს არც არაფერს უყურებენ, ნაკლებად აინტერესებთ "კინემატოგრაფიული ნიუანსები" – ის, რომ უილამ უაილერმა ფილმში თამამად დაანგრია ჰოლივუდის კლიშეები და ამერიკული მითების ტრანსფორმაციას მიმართა.

კინემატოგრაფის ნიუანსებში არც ის კომუნისტი ჩინოვნიკები ერკვეოდნენ, რომლებმაც, თავის დროზე, სიამოვნებით შეისყიდეს ეს საკმაოდ ძვირი ფილმი და საბჭოთა ეკრანებზე გაუშვეს. მაგრამ ისინი ძალიან კარგად ერკვეოდნენ იდეოლოგიის "ნიუანსებში", ამიტომ პოპულარული ფილმი პოპულარული მსახიობებით მაშინათვე გამოიყენეს კონტრპროპაგანდისთვის. იმ ადამიანებმა, რომლებიც მართავდენ საბჭოთა კულტურას, გაითვალისწინეს, რომ ოდრი ჰეპბერნსა და გრეგორი პეკს ჩვენშიც ბევრი მიმბაძველი გაუჩნდებოდა, ამიტომ მათი გმირების სიყვარულის სევდიანი დასასრული აღიქმებოდა, როგორც კანონზომიერი მოვლენა კაპიტალისტურ სამყაროში, სადაც ყველაფერი იყიდება და თუ არ გაყიდე, აუცილებლად დამარცხდები. საქმეშიც და სიყვარულშიც... ასეც მოხდა. ქართველებმა გრეგორი პეკი ისე შეიყვარეს, რომ ფილმის ეკრანებზე გამოსვლისთანავე ჭორი გაავრცელდა - "გრეგორი პეკი ქართველიაო". მოგვიანებით, ახლა უკვე 70-იანი წლების დასაწყისში, როცა ეკრანებზე უილიამ უაილერის მიუზიკლი "სასაცილო გოგონა", შემდეგ კი "როგორ მოიპარო მილიონი" გამოვიდა, ნათელი გახდა, რომ ჰოლივუდის კლასიკოსის ეს ფილმები "საბჭოთა მასების" მანიპულაციის საუკეთესო საშუალება გახდა. იგივე საქართველოში, აღდგომის ღამეს, სწორედ უაილერის ამ ფილმებს უჩვენებდნენ ყველაზე ხშირად ტელევიზიით. იმხანად ეს იყო ეფექტური, კარგად მოფიქრებული ხერხი, რომელიც ახალგაზრდობას ტელევიზორებთან დატოვებდა და "ტაძრისკენ მიმავალ გზას" გადაუკეტავდა. თანაც, კიდევ ერთხელ გაახსენებდა ყველას, რომ ჰოლივუდის მითი კონკიაზე "ელემენტარული ბოდვაა", რომელსაც "პროგრესული ამერიკელი რეჟისორი", უილიამ უაილერი აცამტვერებს. მაყურებელს იმასაც ახსენებდნენ, რომ "რომაული არდადეგები" უაილერმა მაშინ შექმნა, როცა ამერიკაში "კუდიანებზე ნადირობა" დაიწყო. ერთი შეხედვით ფილმი თითქოს ზუსტად გამოხატავდა მაშინდელი ამერიკელი კონსერვატორების აკვიატებულ იდეას "ყველას თავისი ადგილი აქვს". ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს უაილერი იღებდა ფილმს უმანკო, ზნეობრივად სპეტაკი ქალისა და "ასპროცენტიანი" ამერიკელი ვაჟკაცის სიყვარულზე. ასეთი სიუჟეტი მაკარტიზმის ეპოქაში მოდაში იყო. მაგრამ უაილერმა ყველაფერი პირიქით გააკეთა. ამ "თანამედროვე ზღაპარში", როგორც თავად უწოდებდა ფილმს, მან ყველაფერი გადმოატრიალა. "გადმოატრიალა", და არა "დაანგრია", და არა "მოსპო", როგორც ამტკიცებდნენ საბჭოთა იდეოლოგები, რომელთაც ძალიან უნდოდათ ეს "ასპროცენტიანი" ამერიკელი, უილიამ უაილერი - "ანტიამერიკელის" როლში გამოეყვანათ.

"რომაული არდადეგების" პირველივე ეპიზოდში, როცა ჯოს დაძინებული ანა სახლში მიყავს და დარწმუნებულია, რომ ქალი მთვრალია, დაკარგული ფეხსაცმლის სახე გაიელვებს. მაშინათვე ჩნდება ასოციაცია კონკიას ამბავთან. ანა იღვიძებს ახალ სახლში და ეწყება "რომაული არდადეგები" – მოტოციკლეტით სეირნობს, ვიტრინებს ათვალიერებს, ნაყინს ჭამს და, საპარიკმახეროში "ბიჭურად იყენებს" ვარცხნილობას. პრინცესა ანა "ქალაბიჭა" ხდება და სწორედ ასეთი ანდროგენული არსება ცხადდება თავისუფლების იდეალად - "ვარცხნილობის შეცვლა" აქ თავისებური გამოწვევაა. უილიამ უაილერი ყველაფერს აკეთებს, რათა მაყურებელს "თავისთავადობის", ანუ ამ "პირველადი ქალაბიჭობის" ნოსტალგია გაუჩნდეს. არსებული ქვეყნის პრინცესის ოფიციალური ვიზიტი უძველესი კულტურის ცენტრში, რომში, უძველესთან, "წარმართულთან" მაყურებლის დაახლოების იმპულსად იქცევა. ეს არის ზიარება იმ ღვთით ნაბოძებ დროსთან, რომელსაც უილიამ უაილერი "არდადეგებს" უწოდებს.

მაგრამ საბჭოთა პროპაგანდამ "რომაული არდადეგებში" სულ სხვა მოტივებზე დასვა მახვილები. აბსოლუტურად აპოლიტიკური იგავი მშვენიერი იარაღი აღმოჩნდა ანტიამერიკული პროპაგანდის გასაჩაღებლად. ეგრეთ წოდებული "კინოპროპაგანდის საბჭოთა ბიუროს" თანამშრომლები ამ ფილმის ასლით მოგზაურობდნენ ციმბირსა და ურალში, შორეულ აღმოსავლეთსა და კავკასიაში და მაყურებელს არწმუნებდნენ, რომ "მითი კონკიაზე" ამერიკელ იდეოლოგთა ფარისევლობას გამოხატავს. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ 80-იან წლებში, ამ პროპაგანდისტულ პროგრამებში "რომაულ არდადეგებს" დაუმატეს ამერიკული "ოსკარით" აღნიშნული, ვლადიმერ მენშოვის ფილმი "მოსკოვს ცრემლების არ სჯერა" - ამბავი, ამჯერად, "საბჭოთა კონკიაზე", რომელიც უილიამ უაილერის "რომაული არდადეგების" ანტიპოდად უნდა აღქმულიყო: თუ დასავლეთში პრინცესასაც კი არა აქვს უფლება იცხოვროს თავისი ცხოვრებით, საბჭოთა კავშირში ყველა ქალს შეუძლია მოიწყოს ცხოვრება და მუშათა კლასის "პრინცესა" გახდეს.

ეს კინოპროპაგანდისტული მანქანა, ცოტა არ იყოს შეარყია უილიამ უაილერის ფილმის, "სასაცილო გოგონას' საბჭოთა ეკრანებზე გამოსვლამ. უიალამ უაილერმა აქ თითქოს ხელუხლებლად დატოვა კონკიას იგავი, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად ამ როლზე ბარბარა სტრეიზანდი დაამტკიცა. ე. ი. არა მარტო იმის დამტკიცება დაიწყო, რომ ნიჭი უპირველესია გარეგნობაზე და, თუ ადამიანს თვითირონიის უნარი აქვს, ის მართლაც ბევრს მიაღწევს, არამედ ახალი ტიპის სილამაზის დამკვიდრებას შეეცადა - ბარბარას იმხანად მთელი ამერიკა მიბაძავს, ჩაიცმევენ ისე, როგორც ფანის აცვია ფილმში. 60-იანი წლების მიწურულს ჰოლივუდში ახალი მოდაც ჩნდება - მოდა ცხვირებზე...

საბჭოთა კავშირში "სასაცილო გოგონა" გაასაღეს, როგორც ერთი ჩვეულებრივი, კომერციული ფილმი. თუმცა "ასპროცენტიანი" ამერიკელი რეჟისორის საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენების მცდელობა იმხანადაც შეიმჩნეოდა. "პროგრესული ამერიკელი რეჟისორი უილიამ უაილერი გვახსენებს - წერდა ერთი საბჭოთა რეცენზენტი - რომ კაპიტალისტურ სამყაროში ხელოვანს განუწყვეტლივ უწევს გააკეთოს არჩევანი კარიერასა და პირად ცხოვრებას შორის. ან ერთი უნდა დათმოს, ან მეორე"

ნაკლებად სარწმუნოა, რომ მსოფლიო კინოს კლასიკოსი, უილიამ უაილერი ჩვენს პრესას ეცნობოდა და იცოდა, როგორ ასწავლიდნენ მისი ფილმების "ყურებას" საბჭოთა მოსახლეობას. ცნობილია მხოლოდ, რომ "პროგრესული რეჟისორი" რამდენჯერმე დაპატიჟეს მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე, მაგრამ უაილერი საბჭოთა კავშირში ჩამოსვლაზე უარს ამბობდა. იგი 80 წლისა გარდაიცვალა. სიცოცხლის ბოლო დღეები თავის მრავალშვილიან ოჯახში გაატარა. კარიერაც შეიქმნა და ბედნიერადაც იცხოვრა. ჰოლივუდი კი 1 ივლისს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული რეჟისორის ასი წლის იუბილეს აღნიშნავს.



# გერმანიამდე ჯერ კიდევ შორია

## „სელესაოს" ტრიუმფი და ეიფორია ბრაზილიაში





ბრაზილია ზეიმობს



REUTERS

ნინო პირველი

იტალიელი არბიტრის პიერლუიჯი კოლინას საფინალო სასტვენის შემდეგ ოცდამეერთე საუკუნის პირველი მუნდიალი ისტორიის საკუთრებად იქცა და ბრაზილიაში გიჟური ზეიმი დაიწყო. ტეტრაკამპეონებმა მეხუთე ტიტული მოიპოვეს და დანარჩენ საფეხბურთო სამყაროს მნიშვნელოვნად გაუსწრეს. ძნელი სათქმელია, რომელი ქვეყნის ნაკრები შეძლებს, მიუახლოვდეს ბრაზილიელებს. ალბათ, ისევ გერმანელები, რადგან მომავალი მუნდიალი გერმანიაში ტარდება და, ბუნებრივია, ოთხი წლის შემდეგ ჩემპიონატის ძირითადი ფავორიტები სწორედ მასპინძლები იქნებიან. თუმცა, მარტო საკუთარი კედლების იმედით ეს შეუძლებელია. ვის აქვს იმის გარანტია, რომ სამხრეთამერიკელთა ჩემპიონობისკენ სწრაფვას გერმანელები შეაჩერებენ და ბრაზილიელები მეექვსედაც არ მოიპოვებენ მსოფლიო თასს?

მეექვსე ტიტულზე დღეს ბრაზილიაში არავინ ფიქრობს. 2006 წლის მუნდიალზე ასე ნაადრევად ლაპარაკი, დამარცხებულმა გერმანელებმა დაიწყეს. გამარჯვებული ბრაზილიელები კი მოპოვებული წარმატებით ტკბებიან. მთელი ქვეყანა ეიფორიაშია, ყველა ცეკვავს, მღერის, მხიარულობს. ჩვეულებრივ გადაჭედილი კოპაკაბანა ამ მშვენიერ ამინდში აბსოლუტურად ცარიელია. პლაჟზე წოლას ბრაზილიელები მეგობრებთან ერთად ზეიმს ამჯობინებენ. რიო-დე-ჟანეიროს და ბრაზილიის სხვა დიდი თუ მცირე ქალაქების ქუჩები სავსეა სიხარულისგან გადარეული ხალხით. თითქმის ყველა ქუჩაზე მოძრაობა გადაკეტილია. მოედნებსა და პროსპექტებზე ხალხი სამბას ცეკვავს, ბრაზილიის დროშებით მორთული მანქანებიდან, რომლებიც ხალხის მასაში ნელნელა იკვლევს გზას, ხმამაღალი მუსიკა ისმის. ყველა ბრაზილიელი, ბავშვებით დაწყებული და მოხუცებით დამთავრებული, ეროვნული ნაკრების ლურჯ-ყვითელ მაისურაშია გამოწყობილი. ხალხი საყვარელი გუნდის კიდევ ერთ დიდ წარმატებას ზეიმობს და არავინ ფიქრობს იმაზე, რომ მუნდიალი დასრულდა და, დროა, ქვეყანამ ნორმალური რიტმით იცხოვროს.

სხვათა შორის, რიოს რადიომ მოსახლეობას შეახსენა, სამშაბათს ფეხბურთელები იოკოჰამადან ბრუნდებიან, ოთხშაბათიდან კი სამუშაო კვირა იწყებაო, მაგრამ ვის სცალია ამისთვის! ბრაზილიელები ხომ ჯერ იაპონიიდან დაბრუნებულ გმირებს უნდა დახვდნენ და მათთან ერთად იცეკვონ და იმხიარულონ, რა დროს მუშაობაზე ფიქრია!

მუნდიალის მოგება ბრაზილიაში, მართლაც, ეროვნული დღესასწაულია. ქვეყნის პრეზიდენტმა ფერნანდუ ენრიკე კარდოზუმ ფეხბურთელებს გულთბილად მიულოცა წარმატება და მადლობა გადაუხადა თავდადებისთვის. ფეხბურთელებს პრეზიდენტი მაშინვე მიიღებს, როგორც კი ისინი ბრაზილიაში ჩავლენ. ბრაზილიის ფოსტამ, მსოფლიო ჩემპიონატის მოგების აღსანიშნავად, სპეციალური მარკების გამოშვება გადაწყვიტა.

როცა მთელი ქვეყანა ეროვნული ნაკრების წარმატებას ზეიმობს, ყველა ბედნიერი უნდა იყოს. ღარიბები და უპოვრები არ უნდა ფიქრობდნენ თავიანთ მწარე ბედზე და თანამემამულეებთან ერთად უნდა ხარობდნენ. ასე მიაჩნიათ რივალდოს ძმებს და ახლო ნათესავებს და სწორედ ამიტომაც მოაწყვეს საქველმოქმედო ალაფურშეტი ფეხბურთელის მშობლიურ ქალაქ პაულისტაში, სადაც ყველა ღარიბს შეეძლო, "სელესაოს" საოცარი წარმატება რივალდოს ოჯახთან ერთად ეზეიმა.

რა თქმა უნდა, უსაზღვროა თავად ფეხბურთელთა სიხარული. რონალდომ ისიც კი თქვა, მუნდიალზე გამარჯვება უფრო სასიამოვნოა, ვიდრე სექსით ტკბობაო. "ამ გამარჯვებამ მე უდიდესი სიხარული მომანიჭა, უფრო მეტი, ვიდრე სექსისგან შეიძლება მიიღოს ადამიანმა. ბოლოს და ბოლოს, მუნდიალი მხოლოდ ოთხ წლიწადში ერთხელ იმართება, სექსით ტკბობის შესაძლებლობა კი უფრო ხშირად გვეძლევა", - საფირმო ღიმილით დასძინა "ფენომენმა".

ლუიშ ფელიპე სკოლარის ზეობის ხანა უდგას. ალბათ, ყველას კარგად ახსოვს, მუნდიალის დაწყებამდე როგორ აკრიტიკებდნენ "სელესაოს" თავკაცს. ბრაზილიის ნაკრებისა და სკოლარისგან ჩემპიონობას არავინ ელოდა, მაგრამ... მაგრამ დღეს ბრაზილია პენტაკამპეონეა და სკოლარიც ტკბება ტრიუმფით. "ბევრი ამბობდა, რომ ჩვენს გუნდს სუსტი დაცვა ჰყავს. ახლა ხომ ხედავთ, რომ ბრაზილიელი მცველები და მთლიანად ბრაზილიის ნაკრები მსოფლიოში საუკეთესოა", - სიხარულისგან ბრწყინავს "დიდი ფილი".

"ფერარის" პილოტის რუბენს ბარიკელოს სიხარულს აღარ იკითხავთ? მიუხედავად იმისა, რომ ბარიკელო და მიხაელ შუმახერი მეგობრები არიან, ბრაზილიელი სულ გერმანელის ჩრდილშია და მაშინაც კი უწევს შუმახერისთვის გზის დათმობა, როცა რბოლას თავად იგებს. მატჩის წინ ბარიკელო და შუმახერი თავგამოდებით ამტკიცებდნენ თავიანთი ეროვნული ნაკრებების სიდიადეს და ორივეს სჯეროდა გამარჯვების. ბარიკელოსთვის "სელესაოს" წარმატება ორმაგად საამაყოა - მან ხომ ამით შუმახერსც "დაამარცხა", რომელიც ფეხბურთს საკმაოდ კარგად თამაშობს და ბუნდესნაკრების დიდი ფანია.

მოკლედ, ბრაზილიის ნაკრების ფანები ყველგან ზეიმობენ – ბრაზილიაში, იაპონიაში, საქართველოში და თვით გერმანიაშიც კი, სადაც უამრავი კაფე ლატინოა. "სელესაოს" ფანების მხიარულება გერმანელებს არ აღიზიანებთ. ევროპელები ფიქრობენ, რომ სამხრეთამერიკელებმა ეს ტრიუმფი დაიმსახურეს და იმედი აქვთ, რომ ოთხი წლის შემდეგ თავად იზეიმებენ გერმანიის ნაკრების მეოთხე ტიტულს. ვნახოთ... მანამდე ჯერ ძალიან შორია.

# გერმანელები გმირები არიან

კახა ფარუაშვილი

ასე აფასებენ გერმანიის ნაკრებს სამშობლოში და ეჭვიც არ ეპარებათ, რომ 2006 წელს ბუნდესნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდება. გერმანელი ფანები თავიანთი კერპების მარცხს მშვიდად შეხვდნენ. მუნდიალის წინ ისინი არ მოელოდნენ, თუ ფიოლერის შეგირდები ასე შორს წავიდოდნენ და, რადგან წავიდნენ, 24 წლის ბრემენელი გულშემატკივრის მარკო რააბის თქმით, 2006 წელს ისინი მსოფლიო ჩემპიონები გახდებიან.

**"ბედნიერი ვარ ბრაზილიის ნაკრების გამო. ისინი მშვენივრად თამაშობდნენ. ჩვენ კი 2006 წელს მსოფლიო ჩემპიონები გავხდებით",** – ეს სიტყვები 24 წლის ქომაგს ეკუთვნის. საინტერესოა, რომ ფინალური მატჩის საყურებლად (ბრემენში გიგანტური ეკრანი იყო დამონტაჟებული) მარკო რააბი რონალდოს მაისურით გამოცხადდა. **"გვიყურეთ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, როცა სახლში ვითამაშებთ",** – გაისმა ბრემენელთა სკანდირება საფინალო სასტვენის შემდეგ.

ოპტიმისტური განწყობილება მარტო გულშემატკივრებში არ შეიმჩნევა. ამ აზრს ქვეყნის ხელისუფალნი და ფეხბურთის სპეციალისტებიც იზიარებენ. მომავალი მუნდიალის ორგკომიტეტის თავმჯდომარემ ფრანც ბეკენბაუერმა განაცხადა: **"ჩვენ შეგვიძლია, ოპტიმიზმით შევხვდეთ 2006 წელს. ამ ჩემპიონატმა გვიჩვენა, რომ ბევრი კარგი ფეხბურთელი გვყავს. ჩვენ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავედით, რაც დიდი მიღწევაა. ვფიქრობ, გერმანიას შეუძლია თავისი გუნდით იამაყოს",** – ეს სიტყვები კი 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონს იურგენ კლინსმანს ეკუთვნის. ბუნდესნაკრების მარცხის გამო არც მთავარი მწვრთნელი რუდი ფიოლერია სასოწარკვეთილი. **"პირველი 35 წუთი კარგად ვითამაშეთ. შემდეგ ბრაზილია მთელი ძალით ათამაშდა და დაგვანახა, თუ რამდენად ნიჭიერი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. სკოლარის გუნდმა დამსახურებულად მოიგო".**

**"ბუნდესნაკრებს სამშობლოში შეხვდებიან, როგორც გმირებს",** – განაცხადა გერმანიის პრეზიდენტმა იოჰანეს რაუმ. გერმანელ ფეხბურთელებს გუშინ, მართლაც, მეფური დახვედრა მოუწყვეს. მაინის ფრანკფურტის აეროპორტიდან, სადაც ტოკიოდან მომავალი გერმანიის ნაკრები დაეშვა, ქვეყნის წამყვანმა ტელეკომპანიებმა პირდაპირი რეპორტაჟები გადასცეს.

ქალაქის რატუშასთან, მაინის მეტროპოლიაში, საზეიმო შეხვედრა მოეწყო. რატუშის მოედანზე, ქალაქის ისტორიულ ცენტრ რემერბერგში, 30 ათასმა ადამიანმა მოიყარა თავი. გუნდთან შესახვედრად საავტომობილო კონცერნმა "მერსედესმა" სპეციალური ავტობუსი შექმნა. მფლობელთათვის ყველა ადგილი წინასწარ განსაზღვრული იყო.

პირველი სკამი მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მეკარეს ოლივერ კანს ერგო. მის უკან რუდი ფიოლერი, მეტსახელად "დეიდა კეტი", მოთავსდა. ავტობუსში სპეციალური ადგილი ბურთისთვის არის განკუთვნილი. კონცერნის თანამშრომლებს თადარიგი დაუჭერიათ იმ შემთხვევისთვის, თუ გერმანიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატს მოიგებდა და ავტობუსში დაამონტაჟეს კვარცხლბეკი, რომელზეც მსოფლიოს თასი უნდა დაედგათ, მაგრამ... კვარცხლბეკს უქმად ყოფნა მოუწევს. ხუთკილოგრამიანი ოქროს ქანდაკება "სელესაომ" ბრაზილიის გზას გაუყენა.

თუმცა, იმ ფაქტს, რომ გერმანიის ნაკრები ვიცე-ჩემპიონობით დაკმაყოფილდა, საერთო, საზეიმო განწყობილება არ შეუცვლია. ფრანკფურტს ფეხბურთის უამრავი ფანი ესტუმრა. ერთ-ერთი რესტორნის მფლობელის თქმით, სახელგანთქმული ფრანკფურტული სოსისი ცხელია, ხოლო ვაშლის ღვინო - ცივი. მობრძანდით და მოილხინეთ.




შემდეგ მუნდიალს გერმანია უმასპინძლებს

REUTERS

# ახლანდელ მუნდიალს პოპულარობით წინამ აჯობა

ორი დღის წინათ დასრულებული მსოფლიო ჩემპიონატი, როგორც გაირკვა, წინა, საფრანგეთში გამართულ მუნდიალზე ნაკლებად პოპულარული აღმოჩნდა. ამის შესახებ ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის იაპონური მხარის მიერ გამოქვეყნებული მასალები მეტყველებს.

ტურნირის 64 მატჩს საერთო ჯამში 2 705 197 მაყურებელი დაესწრო, საშუალოდ 42 269 თითოეულ მატჩზე, მაშინ როცა ანალოგიური მაჩვენებელი 1998 წელს გამართულ მუნდიალზე 43 366 მაყურებელი იყო.

კორეასა და იაპონიას შორის კი ფეხბურთი ამომავალი მზის ქვეყნის შვილებს უფრო ჰყვარებიათ. იქ მუნდიალის მატჩებს 1 438 600 მაყურებელი დაესწრო, კორეაში კი 1 266 000.

# არარეზულტატური მუნდიალი

იმ მრავალ ფაქტორთაგან, რომლის გამოც წლევანდელი მუნდიალი ბევრმა უარყოფითად შეაფასა, ისიცაა, რომ კორეა-იაპონიაში გამართული ტურნირი ერთ-ერთი არარეზულტატური გამოდგა ფეხბურთის ისტორიაში. ტურნირის 64 მატჩში გატანილ იქნა 161 გოლი, საშუალოდ 2,52 გოლი მატჩში. ამ მხრივ ყველაზე უარესი 1990 წელს, იტალიაში გამართული ჩემპიონატი იყო, როცა საშუალოდ მატჩში 2,21 გოლი გადიოდა. ყველაზე უხვგოლიანი კი ომის შემდგომი, 1954 წლის მუნდიალი იყო. მაშინ 26 მატჩში მაყურებელმა 140 გოლი იხილა, საშუალოდ 5,38 გოლი მატჩში.

# იაპონელები შემოსავალს ითვლიან

დაახლოებით თვენახევარია, რაც იაპონური მედიის მთავარი თემა ამ დღეებში დამთავრებული წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატია. თუმცა, თუკი მანამდე ჟურნალისტები, ძირითადად, ტურნირის ორგანიზებასა და შედეგების ანალიზს უთმობდნენ ყურადღებას, ახლა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებსაც შეეხნენ.

გაზეთ "ასახის" თქმით, იაპონიისა და კორეის ძალისხმევა, უმაღლეს დონეზე ჩაეტარებინათ ესოდენ დიდი მნიშვნელობის ტურნირი, წარმატებით დასრულდა. იგივე გაზეთი ხაზს უსვამს, რომ მუნდიალი მსოფლიოს უდიდესი რვა ქვეყნის სამიტს დაემთხვა და მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის კორეა-იაპონიაში მიმდინარე მოვლენები უფრო მნიშვნელოვანი იყო.

"იომიური" ძირითადად ეკონომიკურ ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას. იმ სტადიონებიდან, რომლებიც იაპონიაში აშენდა, უმეტესობა ეკონომიკურად წამგებიანი გახდება და წელიწადში, დაახლოებით, 20 მილიონი დოლარით აზარალებს სახელმწიფოს, თუმცა, თუ შემდგომი 30 წლის განმავლობაში იაპონიამ კიდევ ერთხელ მოახერხა მუნდიალის მასპინძლობა, ძალიან კარგი იქნებაო.

გაზეთი "მაინიტი" კი ქვეყნის ეკონომიკურ სარგებელს ითვლის კომპანია "სუმიტომო სეიმეის" კვლევითი ინსტიტუტის მიერ გაკეთებული დასკვნების მიხედვით. ირკვევა, რომ მსოფლიო ჩემპიონატმა იაპონია დაახლოებით 4 მილიარდი დოლარით გაამდიდრა, თუმცა, ისიც აღინიშნა, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად ეს ზღვაში წვეთია.

სხვა გაზეთების ინფორმაციით, ქვეყანამ უფრო მეტი მოგება ნახა. მიახლოებითი ციფრი ახლო მომავალში დადგინდება, მაგრამ ტურნირით რომ ქვეყანამ იხეირა, ფაქტია. ერთადერთი, რაც ყველა გაზეთმა აღნიშნა, ბილეთების რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები იყო. ჯერაც არაა ბოლომდე გარკვეული, თუ რა გზებით ხვდებოდა ოფიციალურ პირთათვის განკუთვნილი ბილეთები შავ ბაზარზე, ან როგორ დაიკარგა 100 000 ბილეთი. გაზეთების თქმით, ყოველივე ეს იაპონიისა და კორეის პრესტიჟზე უარყოფითად მოქმედებს, ხოლო სამართალდამცველებსა და ფიფა-ს მაღალჩინოსნებს მოუწოდებენ, დროულად გაერკვნენ ვითარებაში და დამნაშავენი საკადრისად დასაჯონ.

# ჟორდანია წინასაარჩევნოდ უეფა-ში იმაგრებს პოზიციებს


ვალერი ჩოლარია

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ პრესკონფერენცია გამართა შვეიცარიის ქალაქ ნიონიდან ახლად დაბრუნებულმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ. მან და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ 27-29 ივნისს, ამ ქალაქში მდებარე უეფა-ს შტაბ-ბინაში შეხვედრები გამართეს ევროპული ფეხბურთის ხელმძღვანელებთან.

პირველ დღეს სფფ-ს ხელმძღვანელები უეფა-ს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დახმარების ბიუროს მენეჯერს, ქართული საფეხბურთო წრეებისთვის კარგად ნაცნობ ერიხ ჰეპლეს შეხვდნენ. განიხილეს უეფადან სფფ-სთვის კიდევ ერთი გრანტის მინიჭების საკითხი. გენერალური მდივნის თქმით, "ლოკომოტივის" სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებარე სფფ-ს ოფისის ტექნიკური აღჭურვისთვის ჩვენი ფედერაცია 250 ათას შვეიცარიულ ფრანკს მიიღებს. ამავე შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ქართული ფეხბურთის შეფების თხოვნით, 24 აგვისტოს სფფ-ს საანგარიშო ყრილობაზე და არჩევნებზე უეფა თავის დელეგატს გამოგზავნის.

ჟორდანია და ჩოლარია გერმანული ფირმა "კირშშპორტის" წარმომადგენლებს შეხვდნენ. გერმანელები თანახმა არიან, განაგრძონ ურთიერთობები სფფ-სთან და კვლავაც შეიძინონ ექსკლუზიური უფლებები ჩვენი ეროვნული გუნდის მონაწილეობით მატჩების ტრანსლირებასა და რეკლამაზე. ამჟამად "კირშშპორტი" ამზადებს კონკრეტულ ფინანსურ შეთავაზებას, რომელსაც სფფ უეფა-ს გააცნობს და ამ ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით გააფორმებს კონტრაქტს გერმანელებთან.

28 ივნისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარგზავნილები საქმიან სადილზე მიიწვია უეფას გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა. მან ჟორდანიასგან მიიღო ინფორმაცია უეფა-ს გრანტით მიმდინარე სფფ-ს ოფისის მშენებლობის შესახებ. ოფისი საბოლოოდ მზად ორ კვირაში იქნება და მის ოფიციალურ პრეზენტაციას უეფა-ს უმაღლესი ჩინის ხელმძღვანელები დაესწრებიან. ბატონ ჩოლარიას თქმით, 10-11 ივლისს ნიონში გაიმართება უეფას აღმასკომის სხდომა, რომელზეც გადაწყდება, თუ კონკრეტულად როდის - ივლისის ბოლოს თუ აგვისტოს დასაწყისში - მოიცლიან ევროპული ფეხბურთის მამები საქართველოში ჩამოსაბრძანებლად.როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, გერჰარდ აიგნერს დიდი ინტერესით მოუსმენია ჟორდანიას მიერ მიწოდებული ინფორმაცია მესამე ყრილობისა და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მზადების თაობაზე.

სფფ-ს გენერალურმა მდივანმა ისიც გვითხრა, რომ 24 აგვისტოს ყრილობისა და არჩევნების შედეგების მიუხედავად, უკვე დაგეგმილია საქართველოს ეროვნული ნაკრების მომზადების განრიგი ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის, რომელიც 7 სექტემბერს აიღებს სტარტს. შეგახსენებთ, რომ ამ დღეს ჩვენი ეროვნული გუნდი გასვლით შეხვედრას ჩაატარებს შვეიცარიაში ამ ქვეყნის ნაკრებთან. ჩოლარიას თქმით, ამ თამაშამდე საქართველოს ნაკრები შვეიცარიასთან ახლოს მდებარე გერმანიის ქალაქ რიუიტში ერთკვირიან საწვრთნელ შეკრებას გაივლის.

ცნობილი გახდა ისიც, რომ სპორტული ეკიპირების იტალიურ ფირმა "ლოტოს", სფფ-სთან გაფორმებული კონტრაქტის შესაბამისად, ჩვენი ნაკრები გუნდებისთვის უკვე დაუმზადებია ახალი დიზაინის სპორტული ეკიპირება, რომელსაც 10 დღეში მოაწვდიან ჩვენს ფედერაციას. იმის გამო, რომ ჯერ ვერ მოხერხდა სფფ-ს ახალი ემბლემის შერჩევა, ახალ ფორმებს ემბლემა არ ექნება. თუმცა, ვალერი ჩოლარიამ პირობა დადო, რომ სფფ-ს აღმასკომი უახლოეს დღეებში განიხილავს ამ საკითხს და მალე სფფ-ს, შესაბამისად, საქართველოს ნაკრებსაც, ახალი ემბლემა ექნება.

# რონალდო ოქროს ბუცის მფლობელია

ბრაზილიელი რონალდოსთვის წლევანდელი მუნდიალი ორმაგად სასიხარულო აღმოჩნდა. მსოფლიო ჩემპიონის ტიტულთან ერთად ბრაზილიელთა მთავარი პენტაკამპეონი ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და, როგორც ფიფა-ს ოფიციალური საიტი იტყობინება, ფეხბურთელმა "ოქროს ბუცი" უკვე მიიღო. ფორვარდი მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელობის ყველაზე რეალური კანდიდატიც არის.

რონალდომ მსოფლიო ჩემპიონატზე 8 გოლი გაიტანა, ამათგან ორი - ფინალში. ამ ნაბიჯით "კიჭამ" მსოფლიო ჩემპიონატების ახალი რეკორდისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. რონალდო ფინალურ ეტაპებზე გატანილი გოლებით პელეს გაუთანაბრდა და ორი გოლით ჩამორჩება მსოფლიო ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირს, გერმანელ გერდ მიულერს (14 გოლი), ხოლო ერთი გოლით, ერთ ჩემპიონატზე გატანილი გოლების რაოდენობით, მუნდიალების მუდმივ რეკორდსმენს, ფრანგ ჟიუსტ ფონტენს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ 2006 წელს რონალდო 30 წლისაც არ იქნება, მას ახალი რეკორდის დამყარების რეალური შანსი აქვს. ერთადერთი, რამაც შეიძლება ფეხბურთელს ხელი შეუშალოს, როგორც თვითონ ამბობს, ტრავმაა. რონალდოს იმედი აქვს, რომ ამ მხრივ პრობლემები არ ექნება.

აღსანიშნავია, რომ რონალდომ 1974 წლის შემდეგ საუკეთესო შედეგი აჩვენა. მაშინ პოლონელმა ლიატომ 7 გოლი გაიტანა. 1974 წლის შემდეგ კი 6 გოლით ხდებოდნენ მუნდიალის ბომბარდირები.

წლევანდელ მუნდიალზე ბომბარდირს სამი გოლით რივალდო და გერმანელი კლოზე ჩამორჩნენ. მათ 5 გოლით მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს.

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირისთვის "ოქროს ბუცი" კომპანია "ადიდასმა" დააწესა. იმ შემთხვევაში, თუ ფეხბურთელები ერთნაირი რაოდენობის გოლებს გაიტანენ, პრიზის მფლობელი საგოლე გადაცემების რაოდენობით ვლინდება.

*უიმბლდონი*

# წვიმას კორექტივები შეაქვს


ლეიტონ ჰიუიტი

დიმიტრი ობოლაძე

უიმბლდონის ჩოგბურთელთა ტურნირი გადამწყვეტ ფაზაში შედის. გუშინდელი დღე იმდენად დაძაბული და საინტერესო გამოდგა, რომ მაყურებელს საფინის, სამპრასისა და აგასის არყოფნა დაავიწყა. ტურნირის პირველმა ნომერმა, ავსტრალიელმა ჰიუიტმა უიმბლდონს უკანასკნელი რუსი ჩოგბურთელი ჩამოაშორა. მიხაილ იუჟნიმ შეხვედრის განმავლობაში 42 ორმაგი შეცდომა დაუშვა და კანონზომიერად, სამ სეტში წააგო. ჰიუიტს მხოლოდ მესამე სეტში გაუჭირდა, რომელიც მან 7-5 მოიგო.მანამდე კი ორჯერ, 6-3, 6-3 გაიმარჯვა და მომდევნო ეტაპზე გავიდა. გაცილებით დაძაბული გამოდგა ბრძოლა ეკვადორელ ნიკოლას ლაპენტისა და ფრანგ არნო კლემენსს შორის. პირველი სეტი ფრანგმა 6-3 მოიგო, მეორეში კი ლაპენტიმ 7-5 გაიმარჯვა.ისტორია განმეორდა. კლემენმა მესამე სეტში მოუმატა და იოლად, 6-2 გაიმარჯვა. მეოთხეში უკვე მისი მეტოქე დომინირებდა და 7-5 მოიგო, რითაც გადამწყვეტი ფსიქოლოგიური უპირატესობა მოიპოვა. მეხუთე სეტში ლაპენტიმ 6-3 გაიმარჯვა და მომდევნო ეტაპზე გავიდა.

მესამე კორტზე ურთიერთობას ესპანელი ფელისიანო ლოპესი და ბრაზილელი ანდრე სრა არკვევდნენ. უფრო გამოცდილმა ლოპესმა ოთხ სეტში მოიგო. ტურნირის მეთვრამეტე ნომერმა, შიენგ შალკენმა ყოველგვარი პრობლემების გარეშე 6-2, 7-5 და 7-5 დაამარცხა ჩეხი იან ვასეკი. დაძაბული აღმოჩნდა არგენტინელი დავიდ ნალბანდიანისა და ავსტრალიელი უეინ არტურსის დუელი. სომხური წარმოშობის სამხრეთამერიკელმა ოთხ სეტში მოიგო. არსანიშნავია, რომ ნალბანდიანმა ორჯერ ტაიბრეიკებით, 9-7 და 7-4 გაიმარჯვა. ქალთა ტურნირში გაიმარჯვა რუსმა ელენა ლიხოვცევამ, რომელიც მომდევნო ეტაპზე, ანუ მეოთხედფინალში ვინუს უილიამსს შეხვდება. გუშინ ლიხოვცევამ ორ სეტში, 6-3 და 6-4 მოუგო ბულგარელ ჩოგბურთელ, ქალთა ტურნირის მეცხრამეტე ნომერს მაგდალინა მალეევას. იოლი გასეირნება გამოუვიდა ვინუს უილიამსსაც, რომელიც ქალთა ტურნირის პირველი ნომერია. ამერიკელმა ლიზა რეიმონდმა ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია მეტოქეს და ორ სეტში, 1-6, 2-6 დამარცხდა. მთლიანობაში გუშინდელი დღე ხმაურიანი სენსაციების გარეშე დასრულდა. სამი უდავო ფავორიტის გამოთიშვა, სპეციალისტთა აზრით კანონზომიერია. სამპრასი, აგასი, საფინი არ იმყოფებოდნენ ოპტიმალურ ფორმაში და დიდ პასუხისმგებლობას ვერ გაუძლეს.

გუშინდელი დღის ბევრი შეხვედრა ძლიერი წვიმის გამო გადაიდო. ასე აქტიურად ბუნება პირველად ჩაერია უიმბლდონის მსვლელობაში. სინოპტიკოსების პროგნოზი ოპტიმისტურია.ფინალების დღეებში, ანუ შაბათსა და კვირას მშრალი ამინდია მოსალოდნელი.

*მძლეოსნობა*

# ჩამბერსმა გრინს მოუგო

ნორვეგიაში მძლეოსანთა ოქროს ლიგის მორიგი ეტაპი გაიმართა. ბრძოლა 50-კილოგრამიანი ოქროს ზოდისთვის მიმდინარეობს. ლიგის გათამაშება შვიდ ეტაპადაა დაყოფილი. 50 კილოგრამ ოქროს ეტაპების გამარჯვებულები გაინაწილებენ.

ასპარეზობის პირველი დღე სენსაციური შედეგით დასრულდა. 100 მეტრზე მამაკაცთა შორის გარბენი ინგლისელმა დუეინ ჩამბერსმა მოიგო. გამარჯვებულმა დისტანციის დაფარვას 10 წამი და 05 მეასედი მოანდომა. ჩამბერსმა ორი ცნობილი ამერიკელი, მორის გრინი (10,06) და ტიმ მონტგომერი (10,10) ჩამოიტოვა. 400 მეტრზე კაცთა გარბენი ამერიკელი ბერდის ტრიუმფით დასრულდა. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, ამერიკელი პედიგრიუ და კუვეიტელი ალ-შამანარი გავიდნენ.

ქალთა შორის 100-მეტრიანი დისტანცია მერიონ ჯონსმა მოიგო. მისი შედეგია 10,96. ჯონსმა დიდი უპირატესობით მოუგო მეორე ადგილზე გასულ იამაიკელ ლოურენსს (11,13). 100 მეტრზე დაბრკოლებების გადალახვაში პირველი ადგილი გეილ დივერსმა მოიპოვა. დივერსის შედეგია 12,53.

*წყალბურთი*

# ჩომახიძის სამი გოლი

გაიმართა წყალბურთელთა მსოფლიოს ლიგის მორიგი შეხვედრები. რუსეთის ნაკრები, რომლის ლიდერიც ქართველი წყალბურთელი ჩომახიძე გახლავთ, საკუთარ "ოლიმპიისკის" აუზში უნგრელებთან დამარცხდა. პირველი თამაშიც უნგრელთა გამარჯვებით, 12:6 დასრულდა. ამ შედეგში გასაკვირი არაფერია.

უნგრეთის ნაკრები ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულის მფლობელია. მეორე შეხვედრაში ყველაზე უკეთ ჩომახიძე გამოიყურებოდა. მის ანგარიშზე სამი გოლია. ამავე ჯგუფში ამერიკის შეერთებული შტატების წყალბურთელებმა 15:13 მოუგეს ხორვატებს.

დაძაბული გამოდგა ესპანეთისა და საბერძნეთის გუნდების შეხვედრები. ესპანელებმა ორივე შეხვედრაში გაიმარჯვეს 9:8 და 12:6. იტალიელებმა კი ორივე გასვლითი მატჩი მოუგეს ბრაზილიის ნაკრებს 8:5 და 9:5. ლიგის მომდევნო შეხვედრები 4-5 ივლისს გაიმართება.

*NBA*

# იაო მინის ამბიცია

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დასრულებულმა დრაფტმა ბევრი ახალი სახე გამოაჩინა. როგორც წესი, ახალწვეულები, რომელთა უმრავლესობა კარგად გრძნობს ასოციაციის სიდიადეს, თავიდან კონკრეტული განცხადებებისაგან თავს იკავებს. გამონაკლისი გახდა ჩინელი გიგანტი, "ჰიუსტონ-როკეტსის" ახალწვეული იაო მინი. "ცოტა ხანში ამ მთას დავიპყრობ", - განაცხადა ჩინელმა. იაო მინი, რომელსაც ეროვნულ ასოციაციაში ჯერ არც ერთი ქულა არ მოუპოვებია, "ლეიკერსის" ლიდერს, შაკილ ონილს გულისხმობდა. ჩინელის მონაცემების გათვალისწინებით, ონილს სერიოზული მეტოქე უჩნდება. იაო მინის სიმაღლე 226 სანტიმეტრია, ონილისა კი "მხოლოდ" 216.

სპეციალისტთა აზრით, ჩინელი, დიდი მასის მიუხედავად, ძალიან სწრაფად მოძრაობს და ამ კომპონენტში უკვე აშკარად ჯობნის ონილს. აზიელის უნიკალურობაზე მეტყველებს შემდეგი გარემოებაც: ამერიკული კალათბურთის ისტორიაში პირველად, დრაფტის პირველი ნომერი უცხოელს, ჩინელ იაო მინს ერგო.

აღსანიშნავია, რომ ჩინეთის მთავრობა პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს მინის ამერიკაში მოხვედრის ფაქტს. ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ლი ჩიაჯნჟაომ პოლიტიკური განცხადება გააკეთა: "ჩვენ წარმატებას ვუსურვებთ იაო მინს. მან კარგად უნდა ითამაშოს და ხელი შეუწყოს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას". ასე რომ, იაო მინი არა მარტო შაკილის დამარცხებაზე უნდა ფიქრობდეს - მას ქვეყანამ პოლიტიკური ელჩის სტატუსიც მიანიჭა. "მოუთმენლად ველი იმ დღეს, როდესაც მოედანზე გავალ. ამერიკულ კალათბურთში ადაპტაცია არ გამიჭირდება," - განაცხადა ჩინელმა, რომელიც ასოციაციის საუკეთესო კალათბურთელის ტიტულის მოპოვებას აპირებს.

*FORMULA-1*

# რალფ შუმახერის დაბადების დღე

ფორმულა 1-ის სამყარომ რალფ შუმახერის დაბადების დღე აღნიშნა. 30 ივნისს გერმანელი პილოტი 27 წლის გახდა. რალფი 6 წლის ასაკში მიუჯდა საჭეს. იგი კარტინგის ჩემპიონატში იღებდა მონაწილეობას. კარიერა კი 1994 წელს, ფორმულა 3-ში დაიწყო. WTS-Racing-ის მფლობელი რალფისა და მიხაელის ყოფილი მწვრთნელი ვილი ვებერი იყო. სწორედ ამ გუნდში ჩაირიცხა რალფი, რომელმაც პირველი გამარჯვება წლის ბოლოს იზეიმა. ამ წარმატების წყალობით რალფ შუმახერი საერთო ჩათვლაში მესამე ადგილზე გავიდა და მხოლოდ იორგ მიულერთან და ალექსანდრ ვიურცთან წააგო.

მომდევნო სეზონში რალფი ნორბერტო ფონტანასთან დამარცხდა და ჩემპიონატში მეორე ადგილზე აღმოჩნდა. 1996 წელს უმცროსი შუმახერი გადავიდა ფორმულა 3000-ში, სადაც სამი გრან-პრი მოიგო და უკანასკნელ რბოლაში ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. 1997 წელი ისტორიული აღმოჩნდა. რალფ შუმახერი ფორმულა 1-ში გადავიდა და "ჯორდანის" საჯინიბოს შეუერთდა. სეზონის მესამე, არგენტინის გრან-პრი წარმატებული გამოდგა - რალფმა მესამე ადგილი დაიკავა. კრიტიკის საფუძველი გახდა ხშირი ავარიები. 1997 წლის განმავლობაში რალფ შუმახერმა 10-ჯერ ვერ დაასრულა რბოლა, აქედან ხუთჯერ სხვის მანქანას შეეჯახა. 1999 წელს რალფი "უილიამსში" გადავიდა და ჩრდილში მოაქცია ალექს ზანარდი.

გერმანელი სამჯერ ავიდა კვარცხლბეკზე და სეზონი 35 ქულით დაასრულა. ზანარდიმ კი ვერც ერთი ქულა ვერ მოიპოვა. შუმახერმა სერიოზულ წარმატებას მიაღწია 2001 წელსაც - მან თავისი პირველი გრან-პრი მოიგო და მთელი სეზონის განმავლობაში მეორე-მესამე ადგილებისთვის ებრძოდა კულტჰარდსა და ბარიკელოს. მიმდინარე სეზონში რალფ შუმახერი მეორე ადგილზეა და მხოლოდ თავის სახელოვან ძმას ჩამორჩება.



# მფრინავი მსახიობი უკვე ჰაერშია


GRAPHICS NEWS

ჯონ ტრავოლტამ გუშინ დანაპირები აასრულა – ბოინგ 707-ით მსოფლიოს გარშემო ათდღიანი ტურნე დაიწყო. პილოტმა მსახიობმა თვითმფრინავის მართვის მოწმობა 1981 წელს მოიპოვა, ახლახან კი სპეციალური კურსები ავიაკომპანია "კანტას"-ს ბაზაზეც გაიარა. გუშინ დაწყებული ფრენით ტრავოლტა შეეცდება "კანტას" და საერთოდ საჰაერო ტრანსპორტის პროპაგანდა გასწიოს. ავიაკომპანიების ხელმძღვანელების აზრით, ეს ტერაქტების შემდეგ დაზარალებულ საჰაერო ბიზნესს მართლაც წაადგება.

ბორტზე, მფრინავ ტრავოლტასთან და ეკიპაჟთან ერთად, მსახიობის მეუღლე კელი პრესტონი და მათი ორი ბავშვი – 10 წლის ჯეტი და 2 წლის ელა იმყოფებიან. ტრავოლტა აცხადებს, რომ 11 სექტემბრის შემდეგ სურს სხვადასხვა კონტინენტს მეგობრობისა და შერიგების მისიით ეწვიოს. პირველი გაჩერება ახალ ზელანდიაშია, შემდეგ ტრავოლტების ოჯახი ავსტრალიაში, სინგაპურსა და იაპონიაში ჩავა, ბოლოს კი იტალიაში, ლონდონსა და საფრანგეთში. სულ, ბოინგ 707 80 საათს იფრენს.

"იმის გარდა, რომ ფრენას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, ავიაკომპანიების გიჟი ვარ", - აღიარებს ტრავოლტა. მას ავიაკომპანია "კანტას" სიყვარულით ქალიშვილისთვის კანტას დარქმევაც სურდა, მაგრამ ცოლმა კატეგორიული უარი განუცხადა.

# ვინ აჯობებს - სანდლერი თუ კრუზი?

ტომ კრუზს იმედი ჰქონდა, რომ მისი და სპილბერგის ბოლო ნამუშევარი Minority Report ბილეთების სალაროებს დაიპყრობდა. თუმცა, სიტუაცია ადამ სანდლერის ახალი კომედიის გამოჩენამ შეცვალა. შაბათკვირას ჩრ. ამერიკულ სალაროებს ფილმი Mr. Deeds დაეპატრონა. გამოსვლიდან პირველივე სამ დღეში ფილმმა კინო-სალაროებიდან 36.6 მილიონი დოლარი ამოიღო, კრუზის Minority Report-მა კი იგივე პერიოდში – 21.6 მილიონი დოლარი და ჯერჯერობით მესამე ადგილზე გადაინაცვლა. სანდლერის კომედიას მეორე ადგილზე მულტიპლიკაციური ფილმი "ლილო და სტიჩი" მოსდევს, სალაროებიდან შესული 22.2. მილიონით.

Mr. Deeds 30-იან წლებში გადაღებული, ფრენკ კაპრას Mr. Deeds Goes to Town-ის რიმეიქია. ადამ სანდლერის გმირი ერთი უბრალო, მოსულელო კაცია, რომელიც პატარა ქალაქში ცხოვრობს და მოულოდნელად, მემკვიდრეობით 40 მილიარდი დოლარი ერგება. მის გაცურებას და თანხის მითვისებას მდიდარი ბიზნესმენი ცდილობს, მაგრამ მას ერთი შეხედვით დაბნეული სანდლერი გააცურებს. ფილმს, შეიძლება ითქვას, რომ მოკრძალებული ბიუჯეტი აქვს – 55 მილიონი დოლარი, აქედან 20 მილიონი დოლარი სანდლერის ჰონორარია. მას პარტნიორობას უინონა რაიდერი უწევს.

სპილბერგის Minority Report-ის გადაღება კი 102 მილიონი დოლარი დაჯდა. ის ამერიკულ დიდ ეკრანზე უკვე ათი დღეა გადის და ამ ხნის მანძილზე სულ 73.5 მილიონი დოლარი ამოიღო.

# ტომ ჯონსი ავტორის ამპლუაში

სუპერვარსკვლავ ტომ ჯონსის 40 წლიანი მუსიკალური კარიერის განმავლობაში ახალი დებიუტის ჯერია – ის სიმღერების წერას იწყებს. 62 წლის ვეტერანი მომღერალი დამოუკიდებლად შექმნილ სიმღერებს, ახალი ალბომის სახით, შემოდგომაზე გამოუშვებს. ჯონსის პროდიუსერია "ფუჯიზის" ყოფილი ვარსკვლავი, ჰაიტელი მუსიკოსი უიკლიფ ჯინი. ტომ ჯონსს მუსიკის და ტექსტის წერის პროცესი ისე მოსწონს, რომ აცხადებს: "სტუდიაში ასე შესანიშნავად არასდროს გამიტარებია დრო". ჯონსის ფანტასტიკური დროსტარების შედეგს პუბლიკა სულ მალე მოისმენს.

# TV პროგრამა 2 ივლისი

## რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ფიფქია
08.00 კურიერი
08.55 სერიალი „სიყვარულის სახელით"
09.50 „კომენიკატორი"
10.40 გრენდაიზერი
11.10 სერიალი „ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 ლუისი და კლარკი
18.00, 21.00, 03.10 კურიერი
18.20 პერეკროსტოკი
18.45 უიმბლდონის ტურნირის მიმოხილვა
19.50 სერიალი „ოცნების კოშკები"
22.00 კომუნიკატორი
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. „ჯიპერს კრიკერსი" მთ.როლებში ჯნტლა ფილიპსი, ჯასტინ ლონგი
02.00 უიმბლდონის ტურნირის მიმოხილვა

## პირველი არხი

07.30 „ალიონი"
09.45 მულტსერიალი „სიმბა ფეხბურთელი"
10.10 სერიალი „ძილის წინ"
10.25 დოკ. ფილმი „მსოფლიოს ველური ბუნება"
11.15 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი"
12.00, 15.00, 20.00, 22.50 მოამბე
12.15 სერიალი „გოგონები ქარში"
12.45, 19.00 ვიდეოაპატრული
13.00 „ნაშუადღევს"
14.05 სპა
14.35 ენა დედაა ერისა
15.15 ქართ. ფილმი „იყო შაშვი მგალობელი"
16.35 ბავშვთა უფლებების კონვენცია
17.00 ლერერის შოუ
18.00 „ვესტნიკი"
18.20 სერიალი „გოგონები ქარში"
19.10 სიტყვა კაზმული
19.40 ბასტი - ბუბუ
20.55 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი"
21.45 ჰოლივუდის ვარსკვლავები (ჰარისონ ფორდი)
22.10 ტალანტები და თაყვანისმცემლები (ელისო ვირსალაძე)
23.35 ტელესერიალი „ძილის წინ"
23.55 დოკ.სერიალი „მეოცე საუკუნე"
00.15 მხ.ფ. „დარტანიანი და სამი მუშკეტერი" (3 სერია)

## მეორე არხი

19Ч00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე ეხბურთი.
19.10 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი „სკარლეტი" მე-2 ნაწილი
21Ч15 სერიალი „მხოლოდ შენთვის"
22.10 მხ. ფილმი „ვერცხლი და ალმასი"

## ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 21.00, 00.00 „ვესტი"
10.15 მულტფილმი „პოკახონტასი"
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25, 21.30 „სალონი"
14.00, 23.00 სერიალი „მოქალაქე უფროსო"
15.20 კომპიუტერის შემსწავლელი კურსები
18.30 რუსული ენის ტელეგაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი
19.30 მუსიკალური ტაიმაუტი
20.00 მსოფლიო სპორტი
00.15 მხ.ფ. „სიყვარულის ზღვა"

## იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია
08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი
08.15, 20.15 აღსავალი
08.20, 09.55, 11.45, 20.20, 22.20, 00.00 მუსიკა
08.25 მხ.ფ. „იპოვნეთ და გაანადგურეთ"
10.05 მხ.ფ. „მექანიკური სიუიტი"
20.25 მხ.ფ. „იარაღის გზა"
22.30 ძველი კინო_მხ.ფ. „ლედი ჰამილტონი"

## პირველი სტერეო

07.15 „მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 „ტოროლა"
11.00 მუსიკალური ათეულის განმეორება
11.45 „ჩაძიროგანა" განმეორებით
13.15 მხ. ფილმი
15.10 მუსიკა
17.30 „სწ.მედია" მხ.ფ. „სასამართლო და შეცდომა"
19.00 მუსიკა
20.00 კლიპები შეყვარებულთათვის პირდაპირ ეთერში
22.00 ევრო-რუსული ათეული
23.00 „ბრავო" მხ.ფ. „გეჭდების მბრძანებელი". მთ. როლებში ელაიჯა ვუდი, ლივ ტაილერი
01.30 „ღამურა" მხ.ფ. „დაუვიწყარი". მთ. როლებში რეი ლიოტა, ლინდა ფიორენტინო
03.30 ნონ-სტოპი

## კავკასია

12.00 მხ.ფ. „სიკვდილამდე შეაშინო"
14.10 მხ.ფ. „შერკინება"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს"
17.15 მხ.ფ. „ბარი „ბინძური კოიოტი"
19.20 სპექტრი
21.00 დოკ. ფილმი
21.50 მხ.ფ. „ოქროს თვალი"

## მეცხრე არხი

სამშაბათი 2.07
09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღის ამბები"
09.20 მულტფილმი „ალექსი" 21-ე სერია
09.45 საბავშვო სერიალი „ჰორასი და თინა" 21-ე სერია
10.15, 11.15, 14.45, 15.55, 18.50, 20.25, 00.20 მუსიკა
10.30 მხ.სერიალი „ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
11.25 მხ.ფ. „ომი"
13.30, 15.00 დისქავერი
14.00 გადაცემა რაგბი
15.55 მხ. ფილმი „მხატვარი"
17.45 მულტფილმი „ალექსი" 22-ე სერია
18.15 საბავშვო სერიალი „ჰორასი და თინა" 22-ე სერია
18.55 მხ.ფ. „ფანტომასი მძვინვარებს" მთ. როლებში ლუი დე ფიუნესი, ჟან მარე, მილენ დე მონჟო
21.10 მულტფილმი „ტომი და ჯერი"
21.30 გადაცემა „მთავარი თემა"
22.15 მხ.ფ. „საჰაერო ტერორისტები" მთ. როლებში როდ რულანტი, კრისტინა ლოვერი
00.40 მხ.ფ. „პიროვა". მთ. როლებში ჯეკ ნიკოლსონი, მიკი რურკი

## აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ფანტასტიკა „ღამის სტუმრები"
11.00 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 ქართული ფილმი „ჭრიჭინა"
13.45 თრილერი „მეწამული მოქცევა"
16.15 მულტფილმები
17.30 თრილერი „სიკვდილის აქცია"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი"
19.30 დრამა „სასტიკი რომანსი"
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.10 „რა არ ხდება"
23.30 დოკუმენტური ფილმი
01.10 თრილერი „სახიფათო ზონა"
03.30 მხატვრული ფილმი „თავისუფლების სიმაღლეები"

## VII არხი

09.00 ანონსი
09.05 მოკლედ.... საინფორმაციო გამოშვება
09.15 მუსიკალური ტაიმაუტი
09.30 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.40 „აჩიკუდა"
10.05 „ბედნიერი ერი"
10.10 „სახლიდან გაუსვლელად"
10.30 მოკლედ... სპორტი
10.35 „ავტოტრეკინგი"
11.30 მულტსერიალი
11.50 მუსიკალური ბიორითმი - „ბექსტრიტ ბოისი"
12.10 დოკ.ფ. „ბრძოლა წესების გარეშე"
12.40 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
12.55 დისნეი და მისი მეგობრები
13.15 „სახლიდან გაუსვლელად"
13.45 სპორტი
13.50 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.25 სპორტული ინფორმაცია
18.30 „სახლიდან გაუსვლელად"
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 „აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საინფორმაციო გამოშვება
19.40 „სახლიდან გაუსვლელად"
20.10 სპორტული პროგრამა - „კასკადიორები"
20.30 „ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.40 მუსიკალური ობიექტივი
21.00 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
21.10 „ღამის კაპრიზი"
21.55 მოკლედ... სპორტი
22.05 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.15 „კინოკლუბი „ - მხ.ფილმი „ჯონ მალკოვიჩის თავი". ა.შ.შ. 2000 წელი. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟისორი - სფაიქ ჯონსი. როლებში: ჯონ მალკოვიჩი, ჯონ კიუსაკი, კემერონ დიაზი.
00.10 პრესის მიმოხილვა
00.20 მუსიკალური ტაიმაუტი
00.30 მოკლედ.... საინფორმაციო გამოშვება
00.40 დოკ.ფ. „ბრძოლა წესების გარეშე"
01.05 მუსიკალური ბიორითმი - „ბექსტრით ბოისი"
01.30 მხ.ფ. ჟანრებში: - „წითელი ნაპირი" ა.შ.შ. 1989 წელი. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟისორი - გორდონ ბოსი. როლებში: ჯორჯ კლუნი, დაგ სევენტი.
03.00 პრესის მიმოხილვა

## ОРТ

07.00 "Доброе утро".
10.00, 13.35, 16.00, 19.00 Новости.
10.15, 19.20 сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
11.15 х.ф. "НЕУДЕРЖИМЫЙ"
12.05 Дисней-клуб: "Любимчик"
12.30 Что да как
12.45 Ералаш
13.15 Сериал "ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНСТВА "ЛУННЫЙ СВЕТ"
14.20 Независимое расследование
15.00 "Народ против"
16.15 Док. фильм "Дикие штучки"
16.40 "СЕЙЧАС ИЛИ НИКОГДА"
17.55 Большая стирка
20.15 х.ф. "ОГОНЬ НА ПОРОЖЕНИЕ"
22.00 Время.
22.35 "Кто хочет стать милионером?"
23.25 Док. фильм "Ключ от ядерной кнопки"
00.05 Премьера сериала "УБОЙНАЯ СИЛА"
01.00 Ночное "Время"
01.30 "16-й ОТДЕЛ"
02.30 Сериал "ФИРМЕННЫЙ РЕЦЕПТ".

## РТР

06.50 - 10.00 Утро на РТР
06.50, 07.50, 08.50, 09.50, 19.15 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.30, 21.00 Вести.
07.10 “Православный календарь”.
07.15, 08.30 Семейные новости
07.25, 09.10 Дежурная часть
07.30, 08.40, 19.05 Афиша
07.40, 09.30, 19.05 Дорожний патруль
08.10, 09.40, 17.35 Экспертиза РТР
08.20 Национальный доход
08.25,15.20 Вести-спорт
09.15 Колоссальное хозяйство
10.10 Док. сериал “Это - голивуд!”
12.20 х.ф. “СВЕТ В КОНЦЕ ТОННЕЛЯ”
14.50 Мульфильмы
14.30 Док. Фильм “Америка в поисках энергии”
15.25 “Что хочет женщина”
16.20 Сериал “дикий ангел”
17.10 Сериал “ДРУЗЬЯ-4”
18.20 Док. Фильм “Союз бывших”
19.50 Сериал “комиссар рекс”
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 “АГЕНТСТВО НЛС”
22.55 х.ф.” ПУАРО АГАТЫ КРИСТИ, КЛЮЧ К РАЗГАДКЕ”.
00.00 Вести - Подробности
00.30 х.ф.” ДОМОСЕД”.

## НТВ

07.05 Утро на НТВ
09.50 “ПОЛИЦЕЙСКИЕ ВРАЧЕБНАЯ ТАЙНА”
11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня.
11.25 Внимание розыск!
12.10 В гостях у Е. Степаненко
12.50 Вкусные истории
13.20, 16.40, 19.40 Криминал
13.30 х.ф. “ШЕРЛОК ХОЛМС И ДОКТОР ВАТСОН. СОБАКА БАСКЕРВИЛЕЙ”. 2-я серия
15.05 Ток-шоу “Принцип “Домино”
17.30, 21.45 Сериал “СЛЕД ОБОРОТНЯ”
18.40 Сериал “ГРЯЗНАЯ РАБОТА”
20.25 х.ф.”УЛИЦИ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ”.
23.35 Сериал “СКОРАЯ ПОМОЩЬ-4”
00.35 х.ф.”УЛИЦИ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ”.
01.40 “О, Счастливчик!”. Игра.
02.15 х.ф.”ПО ТУ СТОРОНУ ВУАЛИ”.

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

დღეს

02:00 სთ-ზე
უიმბლდონის მიმოხილვა